ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ივლისი **სამშაბათი** 2011

№ 167 (13464) ფასი 80 თეთრი



3

# გოგუა და ვოლგა: გამოღმით მე ვარ...

# რატომ, რა ხდება?

## დაჩიამ შუა მცველები განზე გაწია

გამეზარდაშვილი ზესტაფონელებს აღარ დაუხვდება

ჩვენი ჩემპიონი მოლდოვაში გაემგზავრა

2-3





2

## ნიჭი აქვს და გააქვს

# ევრორეგულარი!



მიშელ პლატინი

### ამიერიდან სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს ევროპაც რეგულარულად დაასახელებს

დაახლოებით ერთი წელიწადი გავიდა მას მერე, რაც „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთი" ფიფას წლის საუკეთესო მოთამაშის გამოკითხვასთან გაერთიანდა და „ფიფას ოქროს ბურთად" იქცა. და აი, „უფროსი ძმის" კვალს უეფაც გაჰყვა - ამ ზაფხულს ევროპული ფეხბურთის მმართველები „ბებერი კონტინენტის" საუკეთესო ფეხბურთელს დააჯილდოებენ.

ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია: „პრეზიდენტ მიშელ პლატინის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვის აღდგენა სურდა და მის წინადადებაზე დაყრდნობით უეფამ ევროპის სპორტულ მედიასთად ერთად კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი დააწესა. ახალი გამოკითხვა საუკეთესო ფეხბურთელს უეფაში შემავალი ქვეყნების კლუბების მოთამაშეთა შორის გამოავლენს. ფეხბურთელის ეროვნებას მნიშვნელობა არ ექნება. გაირკვევა გასული სეზონის საუკეთესო - პირველ ჯერზე 2010-2011 წლების საუკეთესოს დაასახელებენ. გაითვალისწინებენ ყველა ტურნირში ნაჩვენებ თამაშს. ჩაითვლება როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო ასპარეზობები".

25 ივლისს სამკაციან შორთ-ლისტს 53 ცნობილი ჟურნალისტი დაასახელებს, ამ სამიდან საუკეთესო კი 25 აგვისტოს მონაკოში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის დროს გამოცხადდება.

ილია ბაბუნაშვილი



## ქართული ფეხბურთი

● ლეგიონერები



# რა ხდება?

## დაჩიას არც გამეზარდაშვილი ეყოლება, არც დობრე

"ზესტაფონისთვის" სასიამოვნო და მისი მეტოქე "დაჩიასთვის" უსიამოვნო ამბავი - ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ზესტაფონში 0:3 წაგების შემდეგ კიშინიოველები მნიშვნელოვნად დასუსტდნენ - განმეორებით მატჩში, 20 ივლისს მოლდოველები "ზესტაფონს" ორივე ცენტრალური მცველის, კაპიტან **ლუჩიან დობრესა** და **დავით გამეზარდაშვილის** გარეშე დაუხვდებიან.

ჩვენთვის უცნობია, რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი: ისინი არც დისკვალიფიცირებულები არიან და არც ტრავმირებულები. იმასაც ამბობენ, ჩვენებურს კლუბის დატოვება სურსო, სინამდვილეში კი რა მოხდა თუ ხდება, უახლოეს დღებში შევიტყობთ...

გუშინ დათოსთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ იგი ჩვენს ზარს არ პასუხობდა.

ფაქტი კი ისაა, რომ გამეზარდაშვილი და დობრე გუნდს ვერ დაეხმარებიან, რაც, იმედია, "ზესტაფონს" მომდევნო ეტაპზე გასვლას უფრო გაუადვილებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ჭანტურიამ ისევ გაიტანა

არნემის "ვიტესმა" გერმანულ "რეგენსბურგს" საკონტროლო მატჩი 4:0 მოუგო, **გიორგი ჭანტურიამ** კი ანგარიში გახსნა. ჰოლანდიელთა ქართველი ფორვარდი მეორე ტაიმში შეცვალეს. "ვიტესს" კვლავ უკაპიტნა **გურამ კაშიამ**, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი ჭანტურიას (მარცხნივ) გოლს ულოცავენ

● ინტერვიუ ჯაბა დვალთან

# დობროვოლსკიმ თქვასო... ზესტაფონი კიშინიოვში დაყრუებას არ აპირებს: უნდა გავიტანოთ!

**როგორც კი ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ზესტაფონის" მეტოქის ვინაობა შევიტყვეთ, მაშინვე შემოგთავაზეთ "დაჩიას" ყოფილი და იმერელთა ამჟამინდელი თავდამსხმელის, ჯაბა დვალის ინტერვიუ, სადაც მან მოლდოვის ჩემპიონთა ავ-კარგზე იმსჯელა და იმედი გამოთქვა, რომ ყოფილ გუნდთან ბრძოლაში თავს გამოიჩენდა.**

**ჯაბას იმედები გამართლდა – "ზესტაფონი"-"დაჩიას" პირველ მატჩში იგი ერთ-ერთი გამორჩეული იყო და კიშინიოველთა კარში გატანილი ორი ეფექტური გოლით "ზესტაფონს" მომავალი რაუნდისკენ დიდი ნაბიჯი გადაადგმევინა. დღეს "ლელოს" რესპონდენტი კვლავ დვალია.**

**- უპირველესად, დუბლს და გამარჯვებას გილოცავთ. რამ განაპირობა მატჩის ასეთი შედეგი?**



- მოლოცვისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი შევიტანე. ევროთასებს გუნდი კარგი კონდიციებით შეხვდა და ეს წარმატება მოედანზე გასული თითოეული ფეხბურთელის დამსახურებაა. რაღა თქმა უნდა, შესანიშნავად იმუშავა სამწვრთნელო შტაბმა, დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს ერთგულ გულშემატკივრებს, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში ერთგულად გვედგნენ მხარში. ძალიან ცუდი იქნება, უეფა ზესტაფონში თამაშს თუ აგვიკრძალავს, ჩვენს სტადიონზე სათამაშოდ სულ სხვა განწყობით გავდივართ ხოლმე.

**- "დაჩიას" კარში გატანილი გოლები ზუსტად ისეთი გამოგივიდა, როგორც ჩაიფიქრე, თუ ყველაფერი ინსტინქტურად გააკეთე?**

- თანამედროვე ფეხბურთში ისეთი ტემპია, ფეხბურთელს ფიქრისთვის ძალიან ცოტა დრო აქვს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც მოვასწარი გადაწყვეტილების მიღებაც და მისი სათანადოდ შესრულებაც. ისე კი, ეფექტური მხოლოდ ჩემი კი არა, ნიკა გელაშვილის გოლიც იყო. თანაც, პირველმა ბურთმა მატჩის საბოლოო შედეგში განსაკუთრებული როლი ითამაშა. სწრაფად დაწინაურებამ ფრთები შეგვასხა და ამის შემდეგ საკუთარი უპირატესობის რეალიზება აღარ გაგვჭირვებია.

**- რა დაავალა გუნდს მატჩამდე გია გეგუჩაძემ?**

- თავიდანვე უნდა დაგვეწესებინა კონტროლი ბურთზე, მოწინააღმდეგის ნახევარზე პრესინგი უნდა გვეთამაშა და სწრაფი გოლის გატანა უნდა გვეცადა. საბედნიეროდ, ამ ამოცანებს თავი წარმატებით გავართვით.

**- მეორე ტაიმი ნაკლებად სანახაობრივი გამოდგა.**

- გოლის გატანა და უპირატესობის კიდევ უფრო განმტკიცება შესვენების შემდეგაც გვინდოდა, მაგრამ ველარ შევძელით. პირველი ტაიმი ისეთ ტემპში ჩავატარეთ, რომ გასაკვირი არ არის, მეორეში იმდენივე რომ ველარ მოვახერხეთ. არა უშავს, საწყის 45 წუთში ისეთი უპირატესობა შევიქმენით, რომ წყვილის უდავო ფავორიტებად ვიქეცით. თანაც, რაც მთავარია, დაცვაშიც მაღალ დონეზე ვითამაშეთ და საკუთარი კარი მშრალად შევინახეთ, რაც ევროთასების საშინაო შეხვედრებში ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**- მატჩის შემდეგ, ალბათ, ძველ თანაგუნდელებს ელაპარაკე.**

- კი, ერთმანეთი თბილად მოვიკითხეთ. ყველანი ძალიან გულდაწყვეტილები იყვნენ, მაგრამ მაინც იმედოვნებენ, რომ კიშინიოვში მდგომარეობას გამოასწორებენ. იხტიბარი არც იგორ დობროვოლსკიმ გაიტეხა და განაცხადა, შანსი 50/50-ზეაო. ამაში ნამდვილად ვერ დავეთანხმები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გარანტირებული ჯერ არაფერი გვაქვს.

**- ელოდი, რომ განმეორებით მატჩზე "ზესტაფონი" ამხელა უპირატესობით გაემგზავრებოდა?**

- ამის დიდი იმედი მქონდა, რადგან მეტოქისადმი პატივისცემის მიუხედავად, საფეხბურთო მომზადების დონითაც და ფსიქოლოგიურადაც მზად ვიყავით არა მხოლოდ ამ ბარიერის გადასალახავად, არამედ გაცილებით სერიოზული მიზნებისთვის საბრძოლველად.

**- როგორი თამაშია მოსალოდნელი მოლდოვაში?**

- ვფიქრობ, საკმაოდ რთული და დაძაბული. მეტოქეს დასაკარგი აღარაფერი აქვს და ფარ-ხმალს იოლად არ დაყრის. დარწმუნებული ვარ, "დაჩია" აქტიურად შემოგვიტევს და სწრაფი გოლის გატანას ეცდება. დიდი ბრძოლა გველის, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულები ვართ და შევეცდებით, იქაც დავამტკიცოთ, რომ "ზესტაფონი" უკეთესი გუნდია. 3:0-ის მიუხედავად, მეც და ჩემი თანაგუნდელებიც კარგად ვაცნობიერებთ, რომ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია და სრული კონცენტრაციით თამაში გვმართებს. ყრუ დაცვაში ჩადგომას ნამდვილად არ ვაპირებთ, გოლი სტუმრადაც უნდა გავიტანოთ, რაც ყველაფერს გადაწყვეტს. კარგი იქნება, თუ სარეიტინგო ქულებს "დაჩიასთან" საპასუხო მატჩშიც მოვიპოვებთ. ყველანი მხოლოდ ამ შეხვედრაზე ვფიქრობთ და მომდევნო მეტოქეებზეც მხოლოდ ამის შემდეგ ვიმსჯელებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერმო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# იდინოს ვოლგამ გოგუას გარეშე. გოგიტა თავს მიხედავს



გოგიტა გოგუა

## არზიანმა ქება და ადგილი დაიმსახურა

**გოგიტა გოგუა** ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" აღარ ითამაშებს - 27 წლის ქართველი ნახევარმცველი კლუბის ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა.

*"ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, რომ გოგუა გუნდში დარჩენილიყო და ისევე ათამაშებულიყო, როგორც გასულ სეზონში ნალჩიკის "სპარტაკში". მაგრამ, გულახდილად გეტყვით, მწვრთნელთა შტაბი და კლუბის ხელმძღვანელობა გოგუასთან საერთო ენის გამონახვას ვერ ვახერხებდით. ამიტომ ორმხრივი შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება, დროულად დავშორებოდით ერთმანეთს. მის თაობაზე სხვა კლუბებიდან წინადადებები უკვე მივიღეთ. ასე რომ, გოგუა ან გაიყიდება, ან ერთწლიანი იჯარით გავუშვებთ"* – განაცხადა "ვოლგას" პრეზიდენტმა **ალექსეი გოიხმანმა** კლუბის ვებგვერდთან ინტერვიუში.

ამავე დროს, მისი სიტყვებიდან ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ "ვოლგას" ქართველ თავდამსხმელ **მათე ვაწაძეს**, რომელიც გოიხმანს ინტერვიუში არ უხსენებია, ძირითადში მოხვედრის შანსი არ მიეცემა.

*"მარცვალაძის წასვლით შემდეგ თავდასხმაში პრობლემა შეგვექმნა. მოვიყვანეთ ჯავადოვი, მაგრამ ტრანსფერზე გოგუას დაყენების შემდეგ, შესაძლოა, ის მარცხენა ფლანგზე გავამწესოთ და არა თავდასხმაში, ამიტომ კიდევ ერთი ფორვარდის შეძენას ვაპირებთ"* – ამბობს გოიხმანი იმ დროს, როდესაც ვაწაძე საუკეთესო ფორმაში შევიდა და ძირითადში მოხვედრას იმედოვნებდა. ჩვენთვის უსიამოვნო მინიშნებაა, თუმცა, იმედია, ვცდებით.

გეხსომებათ, ერთი თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ **ოთარ მარცვალაძის** კვალად "კრასნოდარში" გოგუაც მიდიოდა. მას შემდეგ 27 წლის ნახევარმცველი ნიჟნინოვგოროდელებს ავსტრიულ შეკრებაზე გაჰყვა და თემაც თითქოს მიჩუმათდა, მაგრამ აკი თავად რუსების ნათქვამია – კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს. ამ ვარაუდებს ამყარებს გოიხმანისვე სიტყვები - გოგუას თაობაზე წინადადებები უკვე მივიღეთო. თუ გოგიტა წასვლას არ აპირებდა და ეს ყველამ იცოდა, რა წინადადებები მიიღო?

ასეა თუ ისე, გოგუა უგუნდოდ ნამდვილად არ დარჩება, მისი დონის მოთამაშეებს რუსეთის პრემიერლიგაში უსაქმოდ არ დატოვებენ. ჩვენი ინფორმაციით, კლუბსა და გოგუას შორის წარმოქმნილი უთანხმოება სწორედ ქართველი ნახევარმცველის სურვილს უკავშირდებოდა – მას სურდა წასვლა იქ, სადაც უკეთეს ხელფასს სთავაზობდნენ.



ზურაბ არზიანი

შეგახსენებთ, რომ "კრასნოდარში" ოთარ მარცვალაძის გადასვლამდე იქ ჩაირიცხა და გუნდის კაპიტნად დანიშნეს **ალექსანდრე ამისულაშვილი.**

სხვათა შორის, "კრასნოდარს" რუსები კავკასიელების გუნდს უწოდებენ – გენერალური დირექტორი აფხაზი **ვლადიმერ ხაშიგია**, კომერციული დირექტორი სომეხი - **არამ ფუნდუკიანი.** მათგან კი, რა დასამალია, მოულოდნელი და სასიამოვნოა, ქართველებს რომ აფასებენ, რადგან ზამთარში კლუბში გასინჯვაზე მყოფი **ირაკლი კლიმიაშვილი** "კრასნოდარის" მწვრთნელს არ დაუწუნებია, ის იმიტომ გამოუშვეს, რომ სომხის კონკურენტი იყო, რაც მისი ლობისტის ინტერესში არ ეწერებოდა.

დაბოლოს: გოიხმანის ინტერვიუდან ისიც შევიტყვეთ, რომ თბილისის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველის **ზურაბ არზიანის** გასინჯვა წარმატებით დასრულდა და 23 წლის ჩვენებური კარიერას ნიჟნინოვგოროდულ კლუბში განაგრძობს.

*"ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ახალწვეულებმა. პლეშჩანის ტრავმის გამო მოედნის ცენტრში პრობლემები გვქონდა, მაგრამ არზიანისა და მალიაროვის დამატებით ეს ზონა საკმაოდ კვალიფიციური მოთამაშეებით შევავსეთ"* – ამბობს გოიხმანი.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. საპასუხო მატჩის წინ

# იმერლები პრეზიდენტს ესტუმრებიან

"ზესტაფონი" კიშინიოვისკენ ჩარტერული ავიარეისით დღეს, დილის 11 საათზე მიემგზავრება. გუნდის მთავარ მწვრთნელ **გია გეგუჩაძეს** მოლდოვაში 21 ფეხბურთელი მიჰყავს. აქედან ორი, **ზურაბ მენთეშაშვილი** და **გოგი ფიფია** საქართველოს ჩემპიონებს მხოლოდ უქომაგობენ – ისინი მწყობრში მალე ჩადგებიან და "ზესტაფონსაც" უახლოეს პერიოდში დაეხმარებიან, ჩემპიონთა ლიგის სამეორეეტაპო განაცხადში კი ტრავმების გამო ვერ მოხვდნენ.



გია გეგუჩაძე

დანარჩენი 19 ფეხბურთელის სია, რომელთაც ხვალ "დაჩიასთან" განმეორებით მატჩში თამაში შეუძლიათ, ასეთია:

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე.**

მცველები: **გიორგი ხიდეშელი, გიორგი ონიანი, ზაალ ელიავა, მამუკა კობახიძე, თეიმურაზ ღონღაძე, კახა ალადაშვილი.**

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია, შოთა გრიგალაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, თორნიკე აფციაური, გიორგი ჭანკოტაძე.**

თავდამსხმელები: **ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, რატი წინამძღვრიშვილი, საბა ლომია.**

პირველი მატჩის მონაწილეთაგან ყველა ჯანმრთელადაა. პირად მიზეზთა გამო, "ზესტაფონს" მოლდოვაში ვერ მიჰყვება მარჯვენაფლანგელი **ალექსი ბენაშვილი**, რომელიც "დაჩიასთან" პირველ შეხვედრაში 18-კაციან განაცხადში სათადარიგო იყო.

ქართულ დელეგაციაში კლუბის ხელმძღვანელობის, სამწვრთნელო შტაბის, ფეხბურთელთა და პერსონალის გარდა რამდენიმე ჟურნალისტიცაა. "ზესტაფონი" კიშინიოვის პრესტიჟულ სასტუმრო "პრეზიდენტში" დაბინავდება.

დღეს გეგუჩაძის გუნდი ხვალინდელი მატჩის არენაზე, "ზიმბრუზე" ივარჯიშებს. ფეროელთა თავკაცი წინასამატჩო პრესკონფერენციასაც გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ნაკრების მწვრთნელის აზრით



თემურ ქეცბაია

# ერთხელაც, ერთი ამოსუნთქვით

## თემურ ქეცბაია: აღმოჩენა არა, მაგრამ საინტერესო

**თემურ ქეცბაია** ევროთასებზე მოასპარეზე ქართული გუნდების მატჩებს ზესტაფონშიც დაესწრო და რუსთავშიც.

ცხადია, დავინტერესდით, როგორია ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის შთაბეჭდილება „ზესტაფონისა" და „მეტალურგის" თამაშზე.

*"ვერ ვიტყვით, რომ გულშემატკივარი ორივე შეხვედრით კმაყოფილი დარჩა. მაგალითად, "მეტალურგს" მოსაგები თამაში ჰქონდა, მაგრამ დასახანი გოლი გაუშვა და საქმე გაირთულა. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მეორე მატჩში რუსთაველები უფრო წარმატებით ითამაშებენ.*

*"ზესტაფონმა" კი ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მოლდოველებს ერთი ამოსუნთქვით მოუგო. აშკარაა, გუნდი პროგრესირებს. იმედია, შემდეგ ეტაპზე გავა და უფრო მეტსაც მიაღწევს"* – ამბობს ქეცბაია.

ეროვნული ნაკრების თავკაცს ფეხბურთელების ფიზიკურ მომზადებაზეც დავეკითხეთ: *"ზესტაფონელები საკმაოდ კარგად მომზადებულები ჩანდნენ, მაგრამ რუსთაველებზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ხელოვნურსაფრიან მოედაზე ასეთ სიცხეში თამაში არც შეიძლებოდა".*

ბოლოს კი ქეცბაიას პასუხი კითხვაზე: თუ აღმოაჩინეთ ისეთი მოთამაშე, რომელზეც იტყოდით, ეს როგორ გამომრჩა?

*"მე ყველა მოთამაშეს მეტ-ნაკლებად ვიცნობ და ვერ ვიტყვი, რომ ვინმე აღმოვაჩინე. მაგრამ არიან საინტერესო ფეხბურთელები, რომლებმაც კარგად ითამაშეს, ანუ მოუმატეს. თუმცა საერთო შეფასებისთვის განმეორებით შეხვედრებს უნდა დაველოდოთ. შემდეგ ეტაპებზე უფრო გამოჩნდება, რა შეუძლიათ ჩვენს გუნდებს და ფეხბურთელებს"* – გვითხრა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვ-რთნელმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● მეტალ.ქ. ირტიში

# მეტალურგის საყურადღებოდ: ყაზახები ირტიშს აფრთხილებენ

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის "მეტალურგმა" 14 ივლისს პავლოდარის "ირტიშთან" 1:1 ითამაშა. ერთი შეხედვით, განმეორებით, საშინაო მატჩში ყაზახურ კლუბს მოგების და შემდეგ ეტაპზე გასვლის მეტი შანსი აქვს, მაგრამ, თურმე, ეს თავად ყაზახებს აეჭვებთ.

ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარული ინტერნეტგაზეთი "Sports.kz" მატჩის მიმოხილვაში წერს, რომ "ირტიშს" სიფრთხილე მართებს, შანსებს კი 50/50-ზე ვაფასებთო. ეს იყო საინტერესო მინიშნება, რომელმაც შეგვიქმნა შთაბეჭდილება, რომ ყაზახებს "ირტიშის" იმედი არ აქვთ. საერთოდ კი, ყაზახები ამ კლუბზე ისეთივე აღმატებული ტონით არც წერენ, როგორითაც ევროთასებზე მოასპარეზე სხვა თავისიანებზე.

სამაგიეროდ, თავისი ფეხბურთელების სჯერა **თორნიკე მაისურაძეს**, ის იმედოვნებს, რომ რუსთაველები მოიგებენ საპასუხო შეხვედრას, რომელიც პავლოდარში იქაური დროით 19 საათზე დაიწყება და მას ბულგარელი არბიტრი **გიორგი იორდანოვი** განსჯის.

ამ მსაჯის თანამემამულე **გიორგი დასკალოვმა** კი, რომლის გოლითაც რუსთავში "ირტიშმა" ანგარიში გაათანაბრა, საკმაოდ უცნაური კომენტარი გააკეთა – პირველი ტაიმი მასპინძლებისა იყო, მეორე კი ჩვენიო. ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ კითხვა დაგებადება, ჩვენ სხვა თამაში ხომ არ ვნახეთ? გვახსოვს, რომ ქართულმა გუნდმა "ირტიშის" კართან ხუთი უეჭველი საგოლე მომენტი შექმნა და მხოლოდ ერთი გამოიყენა, ყაზახებმა კი ორიდან ერთით იხეირეს.

პავლოდარელთა მთავარი მწვრთნელი **ტალგატ ბაისუფინოვი** უკმაყოფილო იყო ყაზახეთის ფედერაციის დამოკიდებულებით, რადგან ევროთასზე ასპარეზობის მიუხედავად, გუნდს თავდაპირველად ჩემპიონატის მატჩების გადატანაზე უარი უთხრეს — პავლოდარელებს 14 დღეში 5 მატჩის გამართვა უწევდათ, 17 ივლისს კი ევროპის ლიგის მეორე მონაწილისთვის, ყარაგანდის "შახტიორისთვის" უნდა ემასპინძლათ. თუმცა, მას მერე, რაც ყარაღანდელებმა შინ მოიგეს, პავლოდარელებმა კი ფრედ დაასრულეს მატჩი, ყაზახეთის ფედერაციაში მიხვდნენ, რომ ასეთი გრაფიკით თამაში მათ გუნდებს გაუჭირდებოდათ, ამიტომ 17 ივლისის შეხვედრა ამ კლუბებს გადაუდეს.

ბოლოს ერთი საინტერესო ამბავიც: "ირტიშის" ტრავმირებულმა მეკარემ **დავით ლორიამ**, რომელიც გერმანიაში მკურნალობს და გუნდს "მეტალურგთან" განმეორებით მატჩშიც ვერ დაეხმარება, კიოლნში მონაწილეობა მიიღო კარის დარაჯთა შეკრებაში, რომელსაც ესწრებოდნენ სახელოვანი მეკარეები **ანდრეას კეპკე, ჟან-მარი პფაფი**... შეკრებილებმა განიხილეს მეკარეთა ვარჯიშის მეთოდოლოგია, ლორიამ კი უფროსი კოლეგებისგან მიღებული გამოცდილება და ზოგადი შთაბეჭდილებები ყაზახურ მედიას გაუზიარა.

**მერაბ მამულაშვილი**



# ფული თავზე არც ჩვენ გადაგვდის, მაგრამ თქვენ უფრო ყოჩაღ!

**"ირტიშის" დირექტორი ალექსანდრ გონჩარენკო საქართველოში "მეტალურგი"-"ირტიშის" ევროდაპირისპირებამდეც არაერთხელ ყოფილა - მას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რანგის ჩემპიონატში უთამაშია, მათ შორის, ალმა-ათის "კაირატის" შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში და საქართველოს კარგად იცნობს.
გონჩარენკო საკმაოდ საინტერესო და გულახდილი მოსაუბრე გამოდგა.**

**- საინტერესოა, გუნდების კლასში რა განსხვავება დაინახეთ?**

- არანაირი, ჩემი აზრით, "მეტალურგი" და "ირტიში" თანაბარი ძალის გუნდები არიან, ეგაა, თქვენებს უფრო მეტი ინდივიდუალურად საინტერესო მოთამაშე ჰყავთ.

**- თქვენი კლუბი მდიდარია?**

- ჩვენ ყაზახეთში ყველაზე მდიდრები ნამდვილად არ ვართ, შეიძლება ითქვას, ბიუჯეტით თავს ვერც ვიწონებთ.

**- თუ საიდუმლო არ არის, როგორია თქვენი ბიუჯეტი?**

- ჩვენი წლიური ბიუჯეტი 4 მილიონი დოლარია.

**- ყაზახურ საიტებზე 25 მილიონი დოლარი ეწერა.**



ალექსანდრ გონჩარენკო

- ასე იყო მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე, მერე კი ვითარება მკვეთრად შეიცვალა და გაუარესდა. 4 მილიონი დოლარიც გაზრდილი ბიუჯეტია, თორემ იყო პერიოდი, როცა საკმაოდ გაგვიჭირდა. ჩვენს სპონსორს გარკვეული ვალდებულებები გააჩნია ქვეყნის წინაშე და ყაზახეთში ბევრი სხვა სახეობისა თუ სფეროს დაფინანსება ევალება. ამ ოთხი მილიონისთვისაც მადლობა, თორემ კლუბი თავს ვერ შეინახავდა.

**- 4 მილიონი დოლარი საქართველოში ყველაზე მაღალბიუჯეტიან "ზესტაფონს" აქვს.**

- მეტი არა?! "მეტალურგის" ბიუჯეტი რამდენია?

**- მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თქვენზე სამჯერ ნაკლები მაინც იქნება, ესეც საუკეთესო შემთხვევაში.**

- ვიცოდი, რომ საქართველოში კლუბებს არ ულხინდათ, მაგრამ ასეთ სხვაობას ვერ წარმოვიდგენდი. თუმცა ყველა აღიარებს, რომ ქართველებს მდიდარი ტრადიციები და ნიჭიერი მოთამაშეები ჰყავთ. დაფინანსებაში სერიოზული განსხვავების მიუხედავად, ასეთი კარგი გუნდის ყოლა უფრო დასაფასებელია. ალბათ, "მეტალურგს" ჩვენი ბიუჯეტი რომ ჰქონდეს, ბევრად ძლიერი იქნებოდა. ამას მისი შემადგენლობიდან გამომდინარე ვამბობ - რომ გადავხედე, თეთრი შური გამიჩნდა, სულ ქართული ფეხბურთის გაზრდილები გყავთ, ჩვენ კი გუნდს მოწვეულების ხარჯზე ვაკომპლექტებთ, თორემ საკუთარი რესურსით უმაღლესი ლიგის გუნდებს სათანადოდ ვერც დავაკომპლექტებდით. ფულით მართლაც არ იზომება ყველაფერი.

**- ყაზახურ ფეხბურთში საკმაოდ დიდი ფული ტრიალებს და მაინც მეორეხარისხოვან პოსტსაბჭოელ მოთამაშეებს იწვევთ. ევროპელების დამატება არ გირჩევნიათ?**

- გვირჩევნია, მაგრამ იტალიიდან და ესპანეთიდან ყაზახეთში ვინ ჩამოვა?

**- ახლახან თბილისის "დინამომ" პრიმერადივიზიონის ფეხბურთელი ჩამოიყვანა.**

- მეხუმრებით? ჩვენთან პრიმერადივიზიონიდან ფეხბურთელის წამოყვანა უძნელესი საქმეა, რის საშუალებასაც ფინანსები და კავშირები გვაძლევს, ისეთ ფეხბურთელებს ვიწვევთ. ძლიერი ლეგიონერების გადმოსაბირებლად მხოლოდ ფული არ არის საკმარისი, კავშირებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუმცა ჩვენ ჩამოვაყალიბეთ საკუთარი საფეხბურთო სკოლა და ვიმედოვნებთ, რომ მალე გუნდში პავლოდარული სკოლის გაზრდილებიც ითამაშებენ. გულახდილად რომ ვილაპარაკოთ, ყაზახური სტილი არასოდეს არსებობდა. თავიდანვე ასე იყო – ჩვენი ფეხბურთი რუსულის მსგავსი იყო და დღესაც ასე გრძელდება, მაგრამ ბოლოდროინდელმა ტენდენციებმა დაგვარწმუნა, რომ ბევრი რამ გვაქვს შესაცვლელი, მათ შორის, სტილიც. თუმცა ჩვენ უფრო ძალისმიერი ფეხბურთი შეგვეფერება.

**- ყაზახეთში საფეხბურთო სკოლები ფასიანია?**

- არა, რა ფასიანი?! ჩვენთან შემორჩენილია სპორტული სკოლების საბჭოთა სისტემა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. სამი წლის წინ კი "ირტიშმა" საკუთარი სკოლა ააშენა.

**- სკოლას კარგი ინფრასტრუქტურა აქვს?**

- უმაღლესი ხარისხის ორი ხელოვნურსაფრიანი მოედანი მოვაწყვეთ. პავლოდარის ოლქი ციმბირს ესაზღვრება და ბუნებრივ საფარს ვერ დავაგებთ, ნოემბრიდან მარტამდე საშინელი სიცივეებია, ზაფხულში კი - სიცხეები.

**- ასეთ დროს გუნდი სად ვარჯიშობს?**

- ფიზმომზადება თოვლიან მოედანზეც შეიძლება, ცენტრალური სტადიონის საფარი კი თბება და თოვლს არ აჩერებს. მაგრამ გადახურული დარბაზიც გვაქვს.

**- საბჭოთა კავშირი წარსულია, მაგრამ ბოლო დროს პოპულარულია რეგიონული ტურნირების იდეა. ის საქართველოში რომ გაიმართოს, ჩამოხვიდოდით?**

- რატომაც არა, მთავარია, კალენდარმა არ შეგვიქმნას პრობლემები და დიდი ფინანსური ხარჯი არ დაგვაწვეს. თბილისში პირადად მე სიამოვნებით ჩამოვიდოდი. საქართველოში ბოლოს 1987 წელს ვიყავი. მიყვარს აქაურობა, კარგი ხალხი ცხოვრობს და გული მწყდება, ძველებურად რომ ვერ თამაშობთ. იმედია, ეს დროებითია.

**მერაბ მამულაშვილი**

● სამზადისი



# მუჯირმა პასებში იამირანა

ურეკულ შეკრებაზე მყოფი "სპარტაკი" ბათუმის "დინამოს" გაეჯიბრა და 1:2 დამარცხდა. ბათუმელთაგან ორი საგოლე პასი მიითვალა ვეტერანმა **ამირან მუჯირმა**, რომელმაც 25-ე წუთზე **მაკარიანს** გაატანინა, 70-ეზე კი **აბუსერიძეს**. სპარტაკელთაგან 34-ე წუთზე ანგარიში **ჯიქიამ** გაათანაბრა **შალამბერიძის** პასით.

სპარტაკი: **ლ. ძაგანია, ტეტუნაშვილი, ბურძენაძე, ბოიომო, თ. შონია, კ. კაკაშვილი. ციმაკურიძე, ნარიმანიძე, შალამბერიძე, რ. ჯიქია, ბუზალაძე.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***ნ. დაუშვილი, ნ. მაისურაძე, მამუჩიშვილი, ზერეკიძე, ლობჯანიძე, თუხარელი.***

ბათუმი: **მამინაშვილი, რამიშვილი, ა. ბაჯელიძე, ხუხია, მაკარიანი, სამსეიშვილი, ა. მუჯირი, ზ. ლობჟანიძე, ბერიძე, ჯორბენაძე, ბაციკაძე.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***თ. კაკალაძე, ტაკიძე, გოგიტიძე, ნასუაშვილი, თედორაძე, დიასამიძე, აბუსერიძე.***

"სპარტაკს" ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, მათ შორის **გივი კვარაცხელია** და **ზვიად მეტრეველი**, 19-წლამდელთა ნაკრებში კი **ვალერი კილასონიაა** გამოძახებული.

20 ივლისს ცხინვალელთა სპარინგ-პარტნიორი წალენჯიხის "სქური" იქნება, 21-ში კი – საჩხერის "ჩიხურა".

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერები

# იაშვილი ტურის სიმბოლურშია

**ალექსანდრე იაშვილს** "კიკერმა" მეორე ბუნდესლიგის პირველ ტურში წარმატებული თამაში დაუფასა და სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. შეგახსენებთ, "კარლსრუემ" შინ "დუისბურგს" 3:2 სძლია, მისმა ქართველმა კაპიტანმა კი მე-5 წუთზე ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი საგოლე პასიც მიითვალა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე იაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პორტუგალიური ამბები

# ფალკაო ცოტას დაისვენებს



"რომას" "პორტუდან" ურუგვაელი მარცხენა მცველის **ხორხე ფუსილეს** შეძენა სურს. მოგეხსენებათ, "ჯალოროსიმ" ვეტერანი ნორვეგიელი **იონ-არნე რიისე** "ფულჰემში" გაუშვა და ახლა მის სრულფასოვან შემცვლელს ეძებს. მარადიული ქალაქის მკვიდრთა დაინტერესება იმდენად დიდია, რომ რამდენიმე გავლენიანმა იტალიურმა გამოცემამ ამას სპეციალური სტატიებიც კი მიუძღვნა. სამხრეთამერიკელმა 2006 წლიდან მოყოლებული პორტუგალიის ჩემპიონობა 3-ჯერ მოიპოვა. მთელი ეს პერიოდი ის ძირითადი შემადგენლობის წევრად მიიჩნეოდა.

კოპა ამერიკიდან კოლუმბიის გამოვარდნის შემდეგ "პორტუს" ფეხბურთელები **რადამელ ფალკაო** და **ფრედი გუარინი** სამშობლოში კიდევ რამდენიმე დღე დარჩებიან. პორტუგალიაში ისინი 1-ელ აგვისტოს გაფრინდებიან და გუნდს შეკრებაზე მხოლოდ ამის მერე შეუერთდებიან. ისინი, სავარაუდოდ, ახალ სეზონში პირველად 6 აგვისტოს პორტუგალიის სუპერთასისთვის შეხვედრაში ითამაშებენ (ან სათადარიგოთა სკამზე მაინც ისხდებიან). კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელების თხოვნა გაითვალისწინა და მათ დასვენების საშუალება მისცა.

**ანდრე ვილას-ბოასის** "პორტუდან" წასვლის შემდეგ "დრაკონებს" სათავეში მისი ყოფილი თანაშემწე **ვიტორ ფერეირა** ჩაუდგა. მისთვის ეს პირველი წელი იქნება დამოუკიდებელი მწვრთნელის რანგში. შესაბამისად, ის სხვებზე მოტივირებულია, რათა ხელმძღვანელობის ნდობა გაამართლოს. "პორტუმ" 10-დღიანი შეკრება გერმანიაში, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ქალაქ მარიენფელდში ჩაატარა. ფერეირა პირობებითა და ფეხბურთელების მოტივაციის დონით კმაყოფილი დარჩა. აი, რა განაცხადა მან: *"გუნდური მუშაობა მიმართული უნდა იყოს ფეხბურთელების საუკეთესო თვისებების გამოსავლენად. ჩემი აზრით, გუნდმა უნდა მოახერხოს და დარჩეს შარშანდელივით ძლიერი და წარმატებული. ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი იდეების დამუშავებას და ცხოვრებაში მათ გატარებას. ამ შეკრებაზე ჩემმა შეგირდებმა ძალიან ბევრი იმუშავეს და, რა თქმა უნდა, მე მათით კმაყოფილი ვარ".*

ლისაბონის "სპორტინგის" 32 წლის ნახევარმცველმა **პედრუ მენდეშმა** კლუბი დატოვა და გუშინდელს შემდეგ "გიმარაიშის" ფეხბურთელი ჰქვია. პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა წევრმა ახალ კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მენდეშმა პროფესიული კარიერა სწორედ "გიმარაიშში" დაიწყო და "სპორტინგშიც" აქედან მოხვდა.

გამოცემა "დიარიო სევილიის" ინფორმაციით, "სევილიის" 23 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **დიეგო კაპელმა** შესაძლოა კარიერა "სპორტინგში" განაგრძოს. ანდალუსიური კლუბი ფეხბურთელში 6 მილიონ ევროს ითხოვს. პორტუგალიელები მზად არიან, ეს თანხა გაიღონ. თავის მხრივ ლა ლიგის ბინადრები "ტოტენჰემიდან" მექსიკელი **ჯოვანი დოს სანტოსის** გადაბირებას შეეცდებიან.

"ბენფიკამ" ამ დღეებში ორი ტრანსფერი სრულყო. ერთი ფეხბურთელი იჯარით გაუშვა, ერთი კი შეიძინა. "არწივების" ხელმძღვანელობამ 22 წლის ბრაზილიელი **ალან კარდეკი** "სანტოსში" გაუშვა, რისი მიზეზიც ევროპულ ფეხბურთთან შეუგუებლობაა. 2010 წელს კარდეკმა "ბენფიკას" "ვასკუ და გამადან" მიაშურა და 25 შეხვედრაში სულ რაღაც 6 გოლის გატანა მოახერხა.

"ბენფიკაში" გაატარებს უახლოეს სეზონს ვეტერანი გოლკიპერი **ედუარდუ**. შარშან ის "ჯენოაში" ასპარეზობდა. ეს ინფორმაცია პრესას გენუელთა პრეზიდენტმა **ენრიკე პრეციოზიმ** დაუდასტურა. მან ფეხბურთელს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის და წარმატებები უსურვა. სატრანსფერო თანხა მხარეებს არ გაუხმაურებიათ.

## ფრანგული ამბები

# მენეზი არ იქნება

წელს თუკი ფრანგულ სატრანსფერო ბაზარზე რაიმე საინტერესო ხდება, პირველ რიგში პსჟ-ს თავს. კლუბი ყატარელი ინვესტორების მიერ გამოყოფილ თანხებს ძირითადად მაღალი კლასის ფეხბურთელების შესაძენად ხარჯავენ. თუმცა მუშაობა ჯერ არ დასრულებულა და ეს ყველამ იცის. წინა ნომრებში ვწერდით, რომ პარიზელებს შუა ხაზში მაროკოელი **ადელ ტაარაბტის** დამატება განუზრახავთო. აღნიშნულ ინფორმაციას "ქუინზ პარკ რეინჯერსის" მთავარი მწვრთნელი **ნილ უორნოკიც** ადასტურებს. ის შეგუებულია, რომ ლიდერის გარეშე რჩება. მეტიც, საქმე იმდენად სერიოზულადაა, რომ მან ფეხბურთელი იტალიურ შეკრებაზე აღარც კი იახლა, მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მას არ აწუხებდა. გეტყვით, რომ 22 წლის გამთამაშებელში პსჟ 13,5 მილიონ ევროს იხდის.

ლისაბონის "ბენფიკას" ცენტრალურ მცველ **ლუიზაოს** ბევრი კლუბი ეცილება, მათ შორისაა პსჟ-ც. "არწივებს" ფეხბურთელის გაშვება არ სურთ, მაგრამ "ეკიპის" ცნობით, პარიზელები მათ 8 მილიონ ევროს სთავაზობენ, რაც უზარმაზარი ფულია. ლისაბონელებმა იციან, რომ ამ ფასს მათ ბევრი არ შესთავაზებს და შესაბამისად, ტრანსფერის განხორციელების შანსი ძალიან დიდია.

მარსელის "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს "რომადან" **ჟერემი მენეზის** ტრანსფერზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. პროვანსელთა სპორტულმა დირექტორმა **ჟოზე ანიგომ** ამ ინფორმაციას სიცრუე უწოდა. იმავე "მარსელს" ძალიან არ უნდოდა **ლუჩო გონსალესთან** თანამშრომლობის გაწყვეტა, მაგრამ რაკი ფეხბურთელმა ასე დაიჟინა, ტრანსფერზე დააყენეს. **დიდიე დეშამმა** ფეხბურთელს სთხოვა, რომ საკუთარი მომავალი 15 ივლისამდე გაერკვია, მაგრამ დღეს უკვე 19-ია და ლუჩო ისევ "ოლიმპიკში" ირიცხება. ტრანსფერთან დაკავშირებით ფეხბურთელის აგენტის **ფერედრიკო სიმონიანის** კომენტარი გავრცელდა, რომელიც მოკლე, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ არაფრის მთქმელი იყო: *"საკითხის გადასაწყვეტად ძალიან ბევრს ვმუშაობთ. დარწმუნებული ვარ, უახლოეს დღეებში ყველაფერი გაირკვევა. ყველაზე დიდი შანსია, რომ ჩემმა კლიენტმა კარიერა ინგლისში ან იტალიაში განაგრძოს. "მალაგას" ვარიანტი ამ ეტაპზე აქტუალური აღარ არის. ინფორმაცია, რომ ესპანელები*



*"მარსელს" ლუჩოში 8,5 მილიონს სთავაზობდნენ, არ იყო მართალი".*

"ლილმა" "მონაკოს" ყოფილ წევრს, 31 წლის **ლორან ბონარს** კონტრაქტი შესთავაზა. ვეტერანი ფრანგი ბრაზილიელი **ემერსონის** შემცვლელად განიხილება. ეს უკანასკნელი კარიერას დიდი ალბათობით ლისაბონის "ბენფიკაში" განაგრძობს.

"ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ** განაცხადა, რომ მას დიდი იმედი აქვს, რომ "ლომები" ახალ სეზონში თავის პოტენციალს სრულად გამოამჟღავნებენ. მოგეხსენებათ, წინა 2008/11 წლებში გუნდს სათავეში **კლოდ პიუელი** ედგა, მწვრთნელი რომლის ხელმძღვანელობითაც ჩემპიონთა ლიგის მრავალი სენსაციის ავტორმა გუნდმა შიდა ასპარეზზე კრიზისის დაძლევა ვერაფრით მოახერხა. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მუსიე ოლამ ერთადერთი გამოსავალი ნახა და მწვრთნელი გაათავისუფლა. მისი პოსტი კი გამოუცდელ **რემი გარდს** ჩააბარა. *"შარშან "ლიონი" პოტენციალით ერთ-ერთი საუკეთესო იყო საფრანგეთში, მაგრამ ფეხბურთელებმა ვერაფრით მოახერხეს საუკეთესო თამაშის ჩვენება. მათ ამისთვის გუნდურობა აკლდათ. რემი გარდის უპირველესი მიზანი სწორედ ეს არის, ასწავლოს გუნდს ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. გარწმუნებთ, შენაძენები იქნება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ფეხბურთელი დაგვტოვებს. იმ ფეხბურთელების სია, ვის გადაბირებასაც შევეცდებით, უკვე გარკვეული გვაქვს," –* განაცხადა ჟან-მიშელ ოლამ.

## ჰოლანდიური ამბები



# უარი ფეიენოორდს

"ფეიენოორდის" ფეხბურთელებმა მთავარ მწვრთნელ **მარიო ბეენს** ხმათა უმრავლესობით (23 3 წინააღმდეგ) უნდობლობა გამოუცხადეს და იქამდე, სანამ მას ხელმძღვანელობა გაუშვებდა, ბეენი თანამდებობიდან თავად გადადგა. მას შემდეგ უკვე მთელი კვირა გავიდა, მაგრამ "დე კუიპის" მკვიდრებმა ახალი დამრიგებელი ჯერ ვერ იპოვეს. როტერდამელებმა ამ დღეებში წინადადებით **ლუი ვან გაალს** მიმართეს, თუმცა მისგან თავაზიანი უარი მიიღეს. ამ ფაქტმა ერთობ გააოგნა "ფეიენოორდის" ტექნიკური დირექტორი **მარტინ ვან გეელი**, ვისაც ვან გაალთან წლების მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. "აიაქსის", "ბარსელონისა" და "ბაიერნის" ყოფილმა თავკაცმა მიზეზად ის დაასახელა, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში შვებულებას გეგმავს და სურს, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს ოჯახთან ერთად. ვან გეელის თქმით, მათ კიდევ რამდენიმე კანდიდატურა ჰყავთ, მათ შორის არიან **ჰუუბ სტევენსი, რონალდ კუმანი** და "ფეიენოორდის" ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჟან-პოლ ვან გასტელი**.

"აიაქსს" ყველაზე მეტად ცენტრალური თავდამსხმელის პრობლემა აწუხებს. ამას ყველა აღიარებს, თუმცა ამსტერდამელებმა ამ პოზიციაზე ჯერჯერობით ერთადერთი ფეხბურთელი შეიძინეს, ესაა **კოლბეინ სიგტორსონი**, ფეხბურთელი, რომლის პოტენციალზე უკვე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ რამდენად შეძლებს ის ხვალიდანვე სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშს, ეს სხვა საკითხია. სწორედ ამიტომ, **ფრანკ დე ბურის** თქმით, "აიაქსისთვის" "ბრედას" წევრ **მეტიუ ამოას** შეძენა ერთობ გამოსადეგი საქმე უნდა იყოს... თუმცა მწვრთნელი პარალელურად ეჭვობს კიდეც. აი, რას ამბობს დე ბური შესაძლო ტრანსფერის თაობაზე: *"ამოა საკმაოდ გამოცდილია, მაგრამ უკვე ასაკშია და შევიძინოთ თუ არა, ამაზე ბევრი ფიქრი დამჭირდება, - განუცხადა მან "დე ტელეგრააფს". – აუცილებლად უნდა გადავწყვიტო შემდეგი: თუკი აქცენტს სიგტორსონზე გავაკეთებ და სიმ დე იონგს საბოლოოდ გადავიყვან წინა ხაზში, მაშინ ახალი თავდამსხმელი აღარ დაგვჭირდება".*

"აიაქსს" თავდასხმის გაძლიერება შეუძლია **ჯეფრი კასტილიონითაც**, რომლის ნიჭში დე ბურს ეჭვი არ ეპარება, თუმცა ჰოლანდიური პრესა ვარაუდობს, რომ ახალგაზრდა შემტევს მინიმუმ ერთი წლით "ვაალვაიკში" გაუშვებენ პრაქტიკის მისაღებად.

36 წლის ჰოლანდიელი ვეტერანი **სანდერ ვესტერველდი** კარიერას კეიპტაუნის "აიაქსში" განაგრძობს. როგორც სამხრეთაფრიკული კლუბის პრესსამსახური იუწყება, მოლაპარაკებები რა ხანია დაწყებულია და მალე ალბათ ყველაფერი კონტრაქტით დაგვირგვინდება. ვესტერველდის კარიერის საუკეთესო წლებმა "ლივერპულში", "ევერტონსა" და "რეალ სოსიედადში" ჩაიარა, სულ კი კარიერის განმავლობაში ცაცია მეკარეს 12 კლუბის ღირსება დაუცავს.

ჰოლანდიურ ამბებს "ნარინჯისფერთა" ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ბერტ ვან მაარვიკის** განცხადებით დავასრულებთ. ინგლისური პრესა თუ ერთ დღეს წერს, რომ "ინტერის" ნახევარმცველი **ვესლი სნეიდერი** "მანჩესტერ იუნაიტედში" აუცილებლად გადავა, მეორე დღეს ამ ამბავს უარყოფს და ასე გრძელდება უკვე ერთი კვირაა. ვან მაარვიკს მიაჩნია, რომ ვესლის კარიერისთვის უმჯობესი იქნება, თუკი ის მართლა გადავა "ოლდ ტრეფორდზე". *"მანიუში" გადასვლა სნეიდერისთვის კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, - განაცხადა "დე ტელეგრააფთან" ინტერვიუში მწვრთნელმა. - ის უკვე აქვს ტოპგუნდებში თამაშის გამოცდილება. ასე რომ, ინგლისში სათამაშოდ გადასვლა მისთვის პრობლემად არ უნდა იქცეს. "იუნაიტედში", ისე როგორც არსად სხვაგან, საქმე ძალიან მაღალ დონეზე კეთდება. დარწმუნებული ვარ, რომ ვესლი ადაპტაციას მალე გაივლის. მეტიც, მე დაჟინებით ვურჩევ მას, ეს ნაბიჯი გადადგას".*

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● არსენალი

# ივლისი სესკისთვის

„ბარსელონას" **სესკ ფაბრეგასის** გადასაბირებლად „არსენალმა" ორი კვირა მისცა. თუ ესპანეთის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული 24 წლის ნახევარმცველის გამოსასყიდად ივლისის ბოლომდე 40 მილიონ ფუნტს (45.6 ევრო) არ გაიმეტებს, ის ლონდონში დარჩება. ყოვლისმცოდნე გაზეთი „სანი" „ბარსას" მავან წარმომადგენელს დაუკავშირდა, რომელმაც ასეთი რამ თქვა:

*„ლონდონიდან შემოგვითვალეს, რომ თუ სესკ ფაბრეგასის ტრანსფერი ამ თვეში არ განხორციელდება, ფეხბურთელს აღარ გაყიდიან. მათ თქვეს, რომ საკმარისად დიდი პატივისცემა გამოამჟღავნეს როგორც ფაბრეგასის, ასევე „ბარსას" მიმართ, ახლა კი დროა, ისტორიას წერტილი დაესვას, რადგან დღევანდელი მდგომარეობა მათზე უკვე ძალიან მოქმედებს. ლონდონელებმა აგრეთვე დასძინეს, რომ საკუთარი კაპიტნის გაყიდვას არასდროს აპირებდნენ, თუმცა მის სურვილს, დაბრუნებულიყო მშობლიურ ქალაქსა და კლუბში, გაგებით მოეკიდნენ. სესკის გაყიდვის თემაც ამიტომ აგორდა. ჩვენო - თქვეს „არსენალის" წარმომადგენლებმა, მთელი ზაფხული ხმა არ ამოგვიღია, მაგრამ ივლისის ბოლოს ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებთო. ჩვენთან, კლუბში ყველას ესმის, რომ „არსენალი" ფაბრეგასს ფასს აღარ დააკლებს და ჩვენს შეთავაზებულ თანხას არ დაჰყაბულდება, მაგრამ საბოლოო სიტყვა, რასაკვირველია, პრეზიდენტმა სანდრო როსელმა უნდა თქვას".*




სესკ ფაბრეგასი

მოგეხსენებათ, ფაბრეგასი დაშავებული იყო და „მეთოფეებს" მალაიზიასა და ჩინეთში ამიტომ არ ახლდა. დღეს, როდესაც გუნდი ინგლისში დაბრუნდა, მას და მწვრთნელ **არსენ ვენგერს** შორის შეხვედრაა დანიშნული. წინასწარ ვენგერმა ბრძანა, რომ კაპიტანი პარასკევს კიოლნში ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად გუნდთან ერთად გაემგზავრება. ამ ნათქვამს „ბარსას" პრეზიდენტ როსელზე წესით უნდა ემოქმედა.

ვენგერმა ბრძანა: *„ჯერ უნდა ვნახოთ როგორ არის სესკი, რამდენად შეუშალა ტრავმამ მას ხელი. თუ განსაკუთრებული არაფერი მოხდება, რასაკვირველია, ის ჩვენთან ერთად კიოლნში წამოვა. აქამდე ფაბრეგასი სრულყოფილად არ ვარჯიშობდა, მხოლოდ დარბოდა. ახლა, წესით, გუნდთან ერთად სრულფასოვან ვარჯიშებზე უნდა გადავიდეს. მე სეზონისწინა წვრთნები ისე დავგეგმე, რომ ფაბრეგასი მათ შემადგენელ ნაწილად მყავს მოაზრებული. სხვა საქმეა, რომ გაუთავებელი ჭორაობა თავგზას გვიბნევს და ხელს გვიშლის, თუმცა, ზოგადად, რასაც ადრე ვამბობდი ახლაც იმას გავიმეორებ: „არსენალი" ყველა ღონეს იხმარს, რათა საუკეთესო ფეხბურთელები შეინარჩუნოს".*

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ ფაბრეგასის თემის დაუსრულებელმა ტრიალმა ჩრდილოლონდონელები გვარიანად გაალიზიანა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ „ბარსელონას" ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, **ჩავიმ** ინტერვიუში თქვა სესკი „არსენალში" იტანჯებაო. არ არის გამორიცხული, რომ ვენგერის მოთმინების ფიალა სწორედ ამ გამონათქვამმა აავსო და ივლისის ბოლომდე ვადაც ამიტომ დაითქვა.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ „არსენალი" ფაბრეგასს 45,6 მილიონ ევროდ აფასებს, „ბარსელონამ" კი მას ჯერჯერობით მხოლოდ 31,6 მილიონი ფუნტი შესთავაზა, რაც 36 მილიონი ევროს ტოლფასია. ტაბლოიდების ვარაუდით, საკმარისია, „მეთოფეებს" ტვინი გადაუტრიალდეთ და სესკი „აუქციონზე გაიტანონ", რომ 50 მილიონ ფუნტს ანუ თითქმის 57 მილიონ ევროს ულაპარაკოდ გამოჰკრავენ ხელს. მყიდველები, რასაკვირველია, „ჩელსი" და „მანჩესტერ სიტი" იქნებიან.

● ტოტენჰემ ჰოთსპური

# ის, ბონდია!

ვერ გეტყვით, შთაბეჭდილების მოხდენა უნდოდათ თუ რა იყო, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში ტურნეზე მყოფმა „ტოტენჰემმა" ადგილობრივ „კაიზერ ჩიფსთან" 1:0 წაგების შემდეგ პრესასთან სალაპარაკოდ ბონდი გაუშვა, **კევინ ბონდი**. ის „დეზების" მწვრთნელის, **ჰარი რედნაპის** ერთ-ერთი ასისტენტი გახლავთ, „მანჩესტერ სიტიში" ნათამაშები ყოფილი ფეხბურთელი. სხვა საკითხებთან ერთად, ბონდმა, 25 წლის ხორვატი თამაშებლის, **ლუკა მოდრიჩის** შესახებ ილაპარაკა:

*„ვითარება, რასაკვირველია, რთულია. ლუკამ ყველაფერი კლუბის თავმჯდომარე დენიელ ლევისთან უნდა გაარკვიოს. ჩვენც გაგვიგეთ, სეზონი რომ დაიწყება „სფურზის" ხელმძღვანელებს ნავში ისეთი ხალხი დაგვჭირდება ერთი მიმართულებით და მთელი ძალით რომ მოუსვამენ ნიჩბებს. ჯერჯერობით, ის ვიცით, რომ თავმჯდომარემ თქვა, მოდრიჩს არავითარ შემთხვევაში არ გავყიდიო".*

ხორვატი ვარსკვლავი „სფურზთან" ერთად სამხრეთ აფრიკაშია, მაგრამ „კაიზერ ჩიფსთან" შეხვედრაში კოჭის ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

● ჩელსი

# ეს უცნაური სლობოდანი

იცით, ვინ არის **სლობოდან რაიკოვიჩი?** ის გახლავთ 22 წლის სერბი ფეხბურთელი, რომელიც უკვე ექვსი წელიწადია „ჩელსის" საკუთრება გახლავთ, მაგრამ ფანებს მისი თამაში თვალით არ უნახავთ. „ლურჯების" ახალი მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** რაიკოვიჩს იმედის თვალით უყურებს - მცველი მალაიზიაში წაიყვანა, სადაც გუნდი სეზონისწინა შეკრებას გაივლის და გულშემატკივარიც, ბოლოს და ბოლოს, სერბის თამაშს ნახავს. თუმცა, ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით ერთი პრობლემა მაინც არსებობს — მას დიდ ბრიტანეთში მუშაობის უფლება არ აქვს. დასავლეთლონდონელები შეეცდებიან ეს ბიუროკრატიული პრობლემა რამენაირად მოაგვარონ.

სხვათა შორის, „ჩელსიმ" გასულ კვირას, პრესისა და გულშემატკივრისგან დახურული ამხანაგური თამაში გამართა „უიკომბის" წინააღმდეგ. „ლურჯებმა" 3:0 მოიგეს და ერთი გოლი სწორედ რაიკოვიჩმა შეაგდო. ცნობისთვის: მისი ყიდვა „ლურჯებს" 2005 წელს 4 მილიონი ფუნტი დაუჯდათ.



სლობოდან რაიკოვიჩი



კარლოს ტევესი

● მანჩესტერ სიტი

# ბოლო სიტყვა კარლოსისთვის

„მანჩესტერ სიტის" **კარლოს ტევესთან** ბოლო მოლაპარაკება სურს. თუ ის შედეგს ვერ გამოიღებს, 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელის ბრაზილიურ „კორინთიანსში" გადასვლის საქმე დღეს ან ხვალ გაირკვევა. ამრიგად, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი ბოლოჯერ წონის - ამბობენ, რომ სან პაულუს კლუბმა რამდენიმე დღის წინ მას, დაახლოებით, 40 მილიონი ფუნტი შესთავაზა, რაც 45,6 მილიონი ევროს ტოლია. შეგახსენებთ, რომ ტევესი სწორედ ის ფეხბურთელია, რომლის აცილებული პენალტის გამო არგენტინის ნაკრებმა „კოპა ამერიკას" მეოთხედფინალში ურუგვაისთან წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ისტლენდელთა თავკაცმა, იტალიელმა **რობერტო მანჩინიმ** თქვა, რომ ძალიან უნდა ფორვარდთან დალაპარაკება, მაგრამ აჯობებს ეს ლაპარაკი ოდნავ მოგვიანებით თუ შედგება.

*„მე მას დავურეკავ, მაგრამ ჯერ არა, რადგან ჯერჯერობით ის უგუნებოდ იქნება. ვწუხვარ კარლოსის ნაცვლად. ეს „კოპა ამერიკა" არგენტინის ნაკრებისთვის ხომ მეტად მნიშვნელოვანი იყო".*

გაზეთები წერენ, რომ „მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელები ამ ზაფხულის განმავლობაში იმდენად ტევესთან არ ლაპარაკობდნენ, რამდენადაც მის აგენტ **კია ჯურაბჩიანთან**. როგორც ჩანს, ახლა, საკუთრივ ფეხბურთელთან ამჯობინეს ძალის მოსინჯვა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თუ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, ისტლენდელები თავდამსხმელს გზას დაულოცავენ, თავად კი მადრიდის „ატლეტიკოს" მიადგებიან და სხვა არგენტინელის, **სერხიო აგუეროს** გადაბირებას შეეცდებიან.

საერთოდ, „სიტი" ტევესის გაყიდვას 50 მილიონ ფუნტად აპირებდა. როგორც ჩანს, გაყიდვის შემთხვევაში მანჩესტერელებს ფასის დაკლება მოუწევთ, თუმცა, მანამდე შეეცდებიან არგენტინელს კიდევ უფრო დიდი ხელფასი და საგანგებო საყოფაცხოვრებო პირობები შესთავაზონ.

კლუბის ხელმძღვანელებისა და მწვრთნელისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს „სიტის" გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს, 25 წლის მცველ-ნახევარმცველს, ბელგიელ **ვენსან კომპანის**. ის ამბობს, რომ ტევესი რომც წავიდეს, გუნდი მაინც გაძლიერდება. ფეხბურთელი, რომელიც კაპიტნის წასვლის შემთხვევაში, სავარაუდოდ, მის სამკლავურს გადაიბარებს, დარწმუნებულია, რომ არგენტინელთან განშორება „მანჩესტერ სიტისთვის" ტრაგედია არ იქნება:

*„კარლოსი, რასაკვირველია, დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ ფეხბურთში ასეა, მოთამაშეები მოდიან და მიდიან. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ვინც გინდა წავიდეს, „მანჩესტერ სიტი" პროგრესის გზას არ გადაუხვევს. ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ნებისმიერი შემადგენლობით შარშანდელზე უფრო ძლიერები ვიქნებით. ისტლენდიდან დიდებული ფეხბურთელები წასულან, მაგალითად, რობინიო. მათთან ერთად თამაში დიდებულია, მაგრამ როდესაც ისინი მიდიან, ჩვენ გამოსავლის ძებნას ვიწყებთ და ვპოულობთ კიდეც. გუნდი ცალკე აღებულ ფეხბურთელებზე დიდია. ამიტომაც, მე წავალ, კარლოსი თუ ნებისმიერი სხვა, „სიტი" მაინც უკეთ და უკეთ ითამაშებს".*

● მანჩესტერ იუნაიტედი

# ნემანია და მადა

29 წლის სერბი მცველი, **ნემანია ვიდიჩი** ამბობს, რომ ამ ზაფხულს, ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებული „მანჩესტერ იუნაიტედი" უწინდელზე მადიანად დაერევა ტიტულებს. კაპიტანი მზად არის მტაცებელივით ეკვეთოს ახალ სეზონს, რათა „იუნაიტედს" ინგლისის ჩემპიონის მე-20 ტიტული მოუტანოს და ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონაზე" იძიოს შური.

ვიდიჩმა თქვა: *„ახალი ენერგიის მისაღებად და მადის გასაღვივებლად ახალი ფეხბურთელების შეძენა აუცილებელი რამ არის. ახლა, გუნდში ჯანსაღი კონკურენციაა, რაც ძალიან წაგვადგება".*

შეგახსენებთ, „იუნაიტედის" ახალ ბიჭებს: მეკარე **დავიდ დე ხეა**, გარემარბი **ეშლი იანგი** და მცველი **ფილ ჯონსი**, რომელთაც მალე, „ინტერიდან", ჰოლანდიელი გამთამაშებელი, 27 წლის **ვესლი სნეიდერი** დაემატება. ვიდიჩი ამბობს, რომ ეს კიდევ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ინარჩუნებს სერ **ალექს ფერგიუსონი** გუნდს უმაღლეს დონეზე.

*„მანჩესტერში ჩამოსვლის პირველი დღიდან ვხედავ, რომ მწვრთნელი ყველა ღონეს ხმარობს, რათა გაიძულოს საუკეთესო ფორმაში იყო. აქაურ ხელმძღვანელებს მუდმივად რაღაც სიახლე აქვთ მზად. ხან ინფრასტრუქტურაში დაამატებენ რამეს, ხან წვრთნის მეთოდს შეცვლიან და გაახალისებენ... ეს „მანჩესტერ იუნაიტედის" დამახასიათებელი თვისებაა. წელიწადი ისე არ გავა, სიახლის მოწმენი რომ არ გავხდეთ. სწორედ ამიტომ გავხდით ბოლო ხუთ წელიწადში ოთხჯერ ინგლისის ჩემპიონები. ბოლო ოთხ წელიწადში სამჯერ კი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედით".*

ვიდიჩს 28 მაისს, „უემბლიზე", „ბარსელონასთან" ულაპარაკო დამარცხება (3:1) გულში მწარედ აქვს ჩარჩენილი.

*„ვეთანხმები ყველას, ვინ ამბობს, რომ „ბარსელონა" დიდებულ ფეხბურთს თამაშობს. ეს გუნდი ორჯერ შეგვხვდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ორივეჯერ დაგვამარცხა, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ მესამედაც გადავეყრებით და ამჯერად ჩვენ გავიმარჯვებთ".*




ამჟამად „მანჩესტერ იუნაიტედი" ამერიკაშია, სადაც ამხანაგურ შეხვედრებს მართავს. მანჩესტერელებმა ბოსტონში „ნიუ ინგლენდ რევოლუშენი" დაამარცხეს 4:1 და ოთხშაბათს „სიეტლ საუნდერს" ეთამაშებიან.

● კონკურენცია

# შანსი შონს!

**შონ რაიტ ფილიპსს** სურს ყველას დაუმტკიცოს, რომ „მანჩესტერ სიტიში" მომავალი აქვს. 29 წლის გარემარბს ისტლენდელებთან კონტრაქტის ბოლო წელიწადი დაეწყო და, ბუნებრივია, ყველა ელოდება, რომ „სიტის" თავკაცები გაყიდიან, თუმცა კაცმა არ იცის, როგორ მოტრიალდება საქმე: მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** ძალიან მოეწონა ინგლისელი გარემარბის თამაში მექსიკური „კლუბ ამერიკას" წინააღმდეგ. „სიტიმ" **რაიან მაკგივერნისა** და რაიტ-ფილიპსის გოლებით „ამერიკა" 2:0 დაამარცხა, იტალიელმა მწვრთნელმა კი თქვა:

*„ვნახოთ, რა მოხდება სეზონისწინა შეკრებაზე. ბოლოს და ბოლოს შონს „მანჩესტერ სიტი" ხომ ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. მეორე მხრივ, ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და არ მინდა სათადარიგოთა სკამზე მეჯდეს. ამიტომაც, დავაკვირდები და მერე შევეცდები, ისეთი გადაწყვეტილება მივიღო, რომელიც უპირველეს ყოვლისა მისთვის იქნება სასარგებლო".*

საკუთრივ ფეხბურთელმა კი მოვლენები ასე შეაფასა: *„ბევრს ვმუშაობ. „მანჩესტერ სიტიდან" წასვლა არ მინდა. მწვრთნელსაც ვუთხარი, რომ ჩემთვის იდეალური აქ დარჩენა და თამაში იქნებოდა. ყველამ იცის, რომ „სიტი" ჩემთვის უბრალოდ გუნდი არ არის, თუმცა ჯერ დაბეჯითებით ლაპარაკი ნაადრევია. დავიცადოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები".*



შონ რაიტ ფილიპსი

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევერკუზენი

# არტურო ყველას უნდა

## ბაიერნის და იუვენტუსის შემდეგ, ვიდალისთვის ბრძოლაში ჩელსიც ჩაერთო


არტურო ვიდალზე დიდი მოთხოვნაა

ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ ვწერთ **არტურო ვიდალის** მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ და 24 წლის ჩილელი ნახევარმცველის მომავალი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. ის ფაქტი, რომ ვიდალს ძალიან ბევრი მთხოვნელი ჰყავს, გასაკვირი სულაც არაა, რადგან მან „ლევერკუზენში" ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა – ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო და სეზონის სიმბოლურ ნაკრებშიც აბსოლუტურად ყველა გამოცემამ მოახვედრა. ვიდალი მრავალმხრივი ფეხბურთელია და გარდა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციისა, დაცვაშიც ნებისმიერ ადგილზე შეუძლია ასპარეზობა. თანაც, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და სწორედ ამიტომაა მასზე ასეთი მოთხოვნა.

„ლევერკუზენის" ხელმძღვანელებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ტურინის „იუვენტუსთან" მოლაპარაკებებს აწარმოებენ. მიუხედავად ამისა, „ლევერკუზენიდან" „ბაიერნში" გადაბარგებულ მწვრთნელ **იუპ ჰაინკესს** ჯერ კიდევ აქვს იმის იმედი, რომ არტუროს მიუნხენში წაიყვანს და ამასობაში, ვიდალისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ლონდონის „ჩელსიც" ჩაერთო.

შესაბამისად, გაიზარდა იმის ალბათობა, რომ ვიდალი „ლევერკუზენს" დატოვებს. თვითონ ფეხბურთელი დღენიადაგ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს და ზოგადად ძალიან ორაზროვნად საუბრობს. ხან ამბობს, „იუვენტუსი" შესანიშნავი კლუბია და ტურინში გადასვლის ვარიანტს სერიოზულად განვიხილავო, მერე იტყვის, არც „ლევერკუზენში" დარჩენას გამოვრიცხავ, რადგან „ბაიერმა" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში თამაში კი ჩემი დიდი ხნის ოცნებააო. ამით ჩილელი იმას უსვამს ხაზს, რომ „იუვენტუსი" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს. საერთო ჯამში კი, მხოლოდ ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ვიდალი ძალიან კომფორტულ მდგომარეობაშია, რადგან ბევრი მთხოვნელი ჰყავს და გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებს, რათა კარგ ხელფასს გამოჰკრას ხელი.

გერმანელი ექსპერტები კი თითქმის ასი პროცენტით დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ვიდალი „ლევერკუზენში" არ დარჩება. „ბაიერის" ხელმძღვანელები ხვდებიან, რომ თავიანთი წამყვანი ფეხბურთელის შენარჩუნება არ შეუძლიათ, რადგან „ლევერკუზენი" „იუვენტუსის" დარ გრანდებს კონკურენციას ჯერ მაინც ვერ უწევს და გერმანული კლუბი ახლა იმაზე ფიქრობს, ვიდალში რაც შეიძლება დიდი თანხა მიიღოს. იტალიელი ჟურნალისტები წერენ, „იუვე" მზადაა, 12 მილიონი ევრო გადაიხადოსო. გარკვეულია, რომ ჩილელი საყრდენით სხვა აპენინური გრანდები, „მილანი" და „ინტერიც" არიან დაინტერესებულები.

უახლესი ინფორმაციით, არტუროს შეძენა ლონდონის „ჩელსიმაც" მოისურვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიდალის გარშემო ატეხილ დავი-დარაბას სიმძაფრე შეემატება. „კიკერი" წერს, რომ ლევერკუზენში ლონდონიდანაც მივიდა ფაქსი – „ჩელსის" ბოსები მზად არიან, გერმანელ კოლეგებს შეხვდნენ. „ჩელსის" ახალი საყრდენი ნახევარმცველი მას მერე სჭირდება, რაც **მიკაელ ესიენი** დაშავდა და გაირკვა, რომ წლის ბოლომდე ველარ ითამაშებს. ცნობილია ისიც, რომ „ლევერკუზენი" ვალდებულია, ვიდალის სანაცვლოდ აღებული თანხის 30 პროცენტი მის ყოფილ კლუბს, „კოლო კოლოს" გადაურიცხოს.

რაც შეეხება მიუნხენის „ბაიერნს" - „ლევერკუზენის" სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** ამბობს, ვიდალს ჩვენს კონკურენტს არაფრის დიდებით არ დავუთმობთ, მიუნხენში არტუროს სახელი უნდა დაივიწყონო. მაგრამ არავინ იცის, როგორ იმოქმედებს ფეხბურთელზე ჰაინკესის ფაქტორი, რომელსაც ყოფილი შეგირდის მიუნხენში წაყვანა ძალიან უნდა. აქ მთავარი მაინც ისაა, რამდენადაა მზად „ბაიერნის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე იმისათვის, რომ „ლევერკუზენს" ვიდალში 12 მილიონი ევრო შესთავაზოს – რეკორდმაისტერი აქამდე მხოლოდ 10 მილიონის გადახდაზე იყო ყაბულს.

თავად ჰაინკესი კი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ვიდალის ტრანსფერზე ხელი ჯერ არ ჩაუქნევია. *„მე ვიცი, რომ არტუროს მიუნხენში წამოსვლა უნდა და თუ წელს ტრანსფერი ვერ მოხერხდა, გაისად გადმოვიბირებთ. ვიდალი გერმანიას მიეჩვია და აქ თავს ძალიან კარგად გრძნობს. თანაც, გაისად ის უფასო იქნება და ამიტომაც მჯერა, რომ ადრე თუ გვიან, „ლევერკუზენი" ტრანსფერს დაეთანხმდება. ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ როცა ფეხბურთელს ერთი წლის შემდეგ კონტრაქტი უმთავრდება და მის გახანგრძლივებას არ აპირებს, კლუბს მისი შენარჩუნება უჭირს ხოლმე, რადგან გაუმართლებელია, უფასოდ დაკარგო მოთამაშე, რომლის სანაცვლოდ ახლავე შეგიძლია საკმაოდ კარგი თანხის აღება,"* - ამბობს „დონ იუპი".

ჰო, თუკი „ჩელსი" და „იუვენტუსი" დიდხანს მოითმენენ...

ინტერვიუ. მარიო გიოტცე


მარიო გიოტცე ბაიერნს ემუქრება

**18 წლის მარიო გიოტცეს ზღაპრული სეზონი ჰქონდა და თუ ყველაფერი კარგად იქნება, მისთვის არც მომავალი სეზონი უნდა გამოდგეს ნაკლები. „დორტმუნდის" ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერმა გამთამაშებელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა და გუნდის უმთავრესი ფიგურა გახდა. ამასთან, მარიო გერმანიის ნაკრებშიც გამოიძახეს და გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ლოგიკურად მიიჩნევა. გიოტცეს ერთი სული აქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი. გთავაზობთ ინტერვიუს მარიოსთან, რომელიც „ბილდში" გამოქვეყნდა.**

# ბაიერნი ფულით ვერაფერს იყიდის!

## მარიომ მიუნხენელებს მუშტი მოუღერა: ჩვენ აქ არა ვართ?

**- ჰერ გიოტცე, მიუნხენის „ბაიერნმა" ტრანსფერებში უკვე 44 მილიონი ევრო დახარჯა, დორტმუნდის „ბორუსიამ" კი მხოლოდ 10 მილიონი. ექსპერტები ფიქრობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ჩემპიონი აუცილებლად „ბაიერნი" გახდებაო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- არავითარ შემთხვევაში, რადგან ფულით ტიტულს ვერ იყიდი. აბა, დაითვალეთ, რამდენი აქვს დახარჯული ლონდონის „ჩელსის" ბოლო წლებში? მილიონების ხარჯვა არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად წარმატებული იქნები. მართალია, „ბაიერნს" ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ გასულ სეზონში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არც ჩვენ გვყავს ვინმეზე ნაკლები გუნდი. დორტმუნდელებს ფეხბურთის თამაში ნაღდად არ დაგვიწყებია. ასე რომ, „ბაიერნი" მომავალ სეზონშიც უნდა გვეფრთხილდეს.

**- შვებულების შემდეგ ფიზმომზადების ტესტებში საუკეთესო შედეგები გქონდათ. გამოდის, რომ არ დაგისვენიათ და შვებულების დროსაც ვარჯიშობდით.**

- მშვიდად ყოფნა, წამოწოლა არ მიყვარს. შვებულება ჩემს ძმასთან, ფაბიანთან ერთად იბიცაზე გავატარე. ყოველ დილას, რვა საათზე ვდგებოდით და დავრბოდით. ამიტომაცაა, ფორმა და წონა რომ შევინარჩუნე – წინ ხომ გრძელი და დამღლელი სეზონია.

**- თან, ჩემპიონთა ლიგაშიც უნდა ითამაშოთ...**

- ჩემპიონთა ლიგა მართლაც სასწაული იქნება და ყველანი მოუთმენლად ველოდებით. ლიგის ჰიმნის ცოცხლად, ფეხბურთელის რანგში მოსმენასა და „ნოუ კამპზე" თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობ.

**- „ბარსელონას" ფანი ხართ?**

- ფანი არ ვარ, მაგრამ „ბარსელონას" და „არსენალის" თამაშის ყურება ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**- ჯერ კიდევ მშობლებთან ერთად ცხოვრობთ თუ ცალკე გადახვედით?**

- ცალკე გადასვლის აუცილებლობას ვერ ვხედავ. მშობლებთან ერთად ცხოვრებას რა სჯობია – მათზე და ძმაზე ახლობელი არავინ მყავს. თანაც, სახლში რომ მივდივარ, ყველაფერი გაკეთებული მხვდება.

**- გერმანიის ჩემპიონობამ ბევრი ფულიც მოგიტანათ. ყველაზე ძვირფასი რა შეიძინეთ?**

- მანქანა. ახალი AUDI A5 შევუკვეთე. მანამდე მოძველებული „ფოლკსვაგენ შიროკო" მყავდა, რომელიც ჩავაბარე.

დორტმუნდის ბორუსია

# ჰუმელსი: 10 გოლს გავიტან!

## კაპიტანი ისევ კელი იქნება


მატს ჰუმელსი

დორტმუნდის „ბორუსიას" მცველი **მატს ჰუმელსი** ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელის და სერიოზული მიზნები აქვს. 22 წლის ცენტრალურმა მცველმა მიზნად მინიმუმ 10 გოლის გატანა დაისახა, რაც ამ პოზიციის წარმომადგენლისთვის დიდი სენსაცია იქნება. *„ყველა კუთხურისა თუ ჯარიმის დროს მეტოქის საჯარიმოში ვიქნები და შევეცდები, გოლი გავიტანო. ყველა მიზანთან ერთად, ჩემი სურვილი ისიცაა, რომ მომავალ სეზონში მინიმუმ 10 გოლი გავიტანო და მინდა ვთქვა, რომ ეს რეალურია,"* - აცხადებს ჰუმელსი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, რომ ამ თემაზე მეგობრებს უკვე დაენიძლავა.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ჰუმელსმა 6 გოლის გატანა შეძლო, რაც მცველისთვის ასევე ძალიან კარგი შედეგია. გარდა ამისა, გერმანიის ნაკრებში გაშინაურებულმა უკანახაზელმა ისიც თქვა, რომ „ბორუსიასთვის" ბუნდესლიგის ნომერ პირველი ფავორიტის სტატუსის მინიჭება არასწორია, რადგან ეს სტატუსი „ბაიერნს" ეკუთვნის. *„თუ მიუნხენელები შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოამჟღავნებენ, მათი შეჩერება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ არა მგონია, რომ ასე კარგად ითამაშონ,"* - ამბობს ჰუმელსი.

ამასობაში, დორტმუნდელთა მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** გადაწყვიტა, რომ გერმანიის მოქმედი ჩემპიონის კაპიტანი მომავალ სეზონშიც გამოცდილი საყრდენი ნახევარმცველი **სებასტიან კელი** იქნება. მიუხედავად იმისა, რომ 30 წლის ფეხბურთელი ხშირადაა ტრავმირებული და გასულ სეზონში მხოლოდ 6 ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც მისთვის კაპიტნის სამკლავურის ჩამორთმევა აბსოლუტურად ლოგიკური გადაწყვეტილება იქნებოდა, კლოპმა ასეთი ნაბიჯი არ გადადგა. ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ კლოპი კაპიტნად მეკარე **რომან ვაიდენფელერს** დანიშნავდა (მაისის ბოლოს გერმანიის ჩემპიონთათვის განკუთვნილი „ვერცხლის სინი" ხომ სწორედ ამ უკანასკნელმა ჩაიბარა, რადგან კელი მაშინაც ტრავმირებული იყო). ვაიდენფელერი „დორტმუნდის" მეორე კაპიტნად რჩება, მესამე კაპიტანი კი ჰუმელსია.

შალკე

# რუმ არაო

## გელზენკირხენელები აქცენტს მარიკაზე გადაიტანენ


ბრესტის ფორვარდი ნოლან რუ შალკეში არ გადავა

„ლელოს" მკითხველები ინფორმირებულები არიან იმის შესახებ, რომ „შალკე" ახალ თავდამსხმელს ეძებს. სიახლე ის არის, რომ სასურველ კანდიდატებს შორის ერთ-ერთი მოწინავე ფორვარდი **ნოლან რუ ლევან ყენიას** კლუბში არ გადავა. გელზენკირხენული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ჰორსტ ჰელდტმა** დაადასტურა, რომ „ბრესტისგან" უარი მიიღო. *„თავიდანვე უარი გვითხრეს, მაგრამ მერე გაცილებით უკეთესი წინადადებით მივმართეთ და მაინც უარი შემოგვითვალეს. ერთი სიტყვით, ნოლან რუ ჩვენთან არ გადმოვა,"* - უთხრა ჰელდტმა „ბილდს".

შესაბამისად, „შალკემ" აქცენტი ახლა მთლიანად **ჩიპრიან მარიკაზე** უნდა გადაიტანოს – ფორვარდზე, რომელიც ერთი კვირის წინ „შტუტგარტიდან" გააგდეს და უფასოა. შესაბამისად, წესით, „შალკეს" რუმინელის დათანხმება არ უნდა გაუჭირდეს. ჰელდტი აღიარებს, რომ მარიკას აყვანა გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან მან „შტუტგარტში" იმედები ვერ გაამართლა, მაგრამ სჯერა, რომ რუმინელი „შალკეში" გაიხსნება. ბრაზილიელი თავდამსხმელი **ედუ** კი გელზენკირხენულ კლუბს სავარაუდოდ დატოვებს. ჰელდტის თქმით, მას იაპონიიდან აქვს შეთავაზებები.

მწვრთნელი

# სკიბე თურქეთში წავიდა

ახლა თურქეთში სამუშაოდ წასვლა იქნებოდა? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში უდიდესი საფეხბურთო სკანდალი მძვინვარებს, 45 წლის გერმანელმა მწვრთნელმა **მიხაელ სკიბემ** მაინც გადაწყვიტა, რომ იქ დასაქმდეს. სკიბე, რომელიც მარტში ფრანკფურტის „აინტრახტის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან დაითხოვეს, თურქეთის სუპერლიგის წარმომადგენელ „ესქიშეჰირსპორს" ყველაფერზე შეუთანხმდა და ამ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ სკიბე თურქეთში ადრეც მუშაობდა – ის „გალათასარაის" თავკაცი გახლდათ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

## მეოთხედფინალური მატჩები



# ბრაზილიის პარაგვაება

**ბრაზილია 0 0 პარაგვაი**

**პენალტებით 0:2**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სილვა, სანტოსი - ლუკას ლეივა, რამირესი, განსო (100. ლუკასი) - რობინიო, პატო (111. ელანო), ნეიმარი (80. ფრედი).

**პარაგვაი:** ვილარი - ალკარასი, ვერონი, და სილვა, ტორესი (71. მარეკოსი) - ვერა (63. ბარეტო), რივეროსი, კასერესი, ესტიგარიბია - ვალდესი, ბარიოსი (83. პერესი).

**გაძევება:** ლუკას ლეივა (103), ალკარასი (103)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი**
**ხუსტო ვილარი (პარაგვაი)**

ემანდ, მართლა არ მოუწიოს პარაგვაელ მოდელ **ლარისა რიკელმეს** საჯაროდ გახდა! ყოველ შემთხვევაში, მისი ნაკრები ძალიან ახლოსაა მიზანთან - კოპა ამერიკის მოგებასთან. ქალბატონმა კი ტურნირის წინ დაიქადა, ოღონდ ჩემი ნაკრები გამარჯვებული გამოვიდეს და ბიჭებთან ერთად სადღესასწაულოდ მოედანზე დედიშობილა გადავეშვებიო. რას იფიქრებდა ლარისა, რომ ნაქები ბრაზილიელები, მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონები პენალტების დარტყმას ვერ შეძლებდნენ - **მანო მენეზეშის** ბიჭებმა 4 თერთმეტმეტრიანიდან 4-ივე გააფუჭეს. ასეთ გუნდს კი რა უნდა კოპას ნახევარფინალში?

რად უნდა ლაპარაკი - თამაშით ბრაზილია სჯობდა პარაგვაის, მეტს უტევდა, იყო დრო, როცა ბრაზილიელები მეტოქის ნახევარზე დასახლდნენ და იერიში იერიშს ცვლიდა მატჩის გმირის, **ხუსტო ვილარის** კართან, მაგრამ რად გინდა - ბრაზილიელი ფორვარდები (და არა მარტო, ფორვარდები) ისე ურტყამდნენ კარში, თითქოს, ფეხბურთის ეს ყველაზე მთავარი ელემენტი სულ ახალი შესწავლილი ჰქონდათ.

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები კოპაზე მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს, ისინი B ჯგუფის ბინადარნი იყვნენ, სადაც ბრაზილიის ნაკრებმა საბოლოოდ პირველი ადგილი დაიკავა, პარაგვაიმ კი - მესამე. მათი ჯგუფური დაპირისპირება 2:2 დასრულდა, მაშინ ბრაზილიელმა **ჟადსონმა** გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე ტაიმში უკვე პარაგვაი დაწინაურდა, მას შემდეგ, რაც თავი მათმა ლიდერებმა, **როკე სანტა კრუსმა** და **ნელსონ ვალდესმა** გამოიჩინეს, ბრაზილია მარცხისგან 89-ე წუთზე **ფრედმა** გადაარჩინა, რომელიც სულ რამდენიმე წუთის შესული იყო მოედანზე.

ცხადი იყო, რომ მენეზეშის გუნდისთვის გასეირნება არც ეს მეოთხედფინალური დაპირისპირება იქნებოდა. ამიტომ მათ გადაწყვიტეს პრობლემის თავიდანვე გადაჭრა და ჯიქურ ეკვეთნენ მეტოქეს - პირველი ტაიმი მთლიანად ბრაზილიის იყო, მაგრამ აქედან ხეირი არ ჩანდა. უკვე მე-3 წუთზე გაისროლა **რამირესმა** პარაგვაელთა კარის მიმართულებით და ამით დაიწყო ბრაზილიელთა შეტევები, რომლებიც თითქმის მთელი 120 წუთი ფონად ედო ამ შეხვედრას. თავიდან კარგი შანსები **ნეიმარს** მიეცა, მაგრამ ფეხბურთელმა, რომელზეც ახლა მთელი მსოფლიო ლაპარაკობს და რომლის გულისთვისაც ერთმანეთს გრანდები „ჭამენ", ჯერ კარს გადააცილა ბურთი, შემდეგ კი ძალზე ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა (ამ ეპიზოდში ბრწყინვალედ ითამაშეს **განსომ** და **რობინიომ**). ამაზე კარგი მომენტიც ჰქონდათ ბრაზილიელებს - 31-ე წუთზე საჯარიმოს **ანდრე სანტოსი** აწოდებდა, გამარჯვებული **ლუსიო** გამოვიდა, მაგრამ მან ვერ შეძლო ეჯობნა პარაგვაელთა მეკარისთვის, რომელმაც 100%-იანი გოლისგან იხსნა ნაკრები. ამის შემდეგ ხელსაყრელი მომენტები უკვე ანდრე სანტოსმა და რამირესმა გაანიავეს.

მეორე ტაიმი ძალიან ჰგავდა პირველს, ისევ ბრაზილია უტევდა. ნეიმარის დარტყმულს მცველი **ალკარასი** გადაეღობა. ისევ ნეიმარის აქტიურობას კიდევ ერთი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მანვე ააცილა ბურთი მეტოქის კარს. ამის შემდეგ პარაგვაელებს ისევ ვილარის გმირობა დასჭირდათ, რომელმაც 4-წუთიან შუალედში ორჯერ მოუგო დუელი **ალეშანდრე პატოს**. კიდევ ერთხელ გადარჩა პარაგვაი აშკარა გოლს, როცა რობინიოს მოწოდებულ კუთხურს თავით ფრედი შესწვდა, ბურთი კარის ხაზიდან **ბარეტომ** გამოიტანა.

დამატებით ტაიმებში ორივე გუნდი მოეშვა, ბრაზილია უკვე ფრთხილობდა და ძველებურად ველარ უტევდა, პარაგვაის კი საკუთარი კარის უსაფრთხოების გარდა არაფერი აინტერესებდა. მხოლოდ ნელსონ ვალდესის დარტყმას თუ გავიხსენებთ, ამას კი პენალტების სერია მოჰყვა, რომელშიც ბრაზილიის ნაკრები არნახულად შერცხვა. **ელანომ, ტიაგო სილვამ**, ანდრე სანტოსმა და ფრედმა, ერთმანეთის მიყოლებით გააცუდეს დარტყმები, თანაც ოსტატობის გამოჩენა ხუსტო ვილარს მხოლოდ ერთხელ მოუწია, სამჯერ კი ბრაზილიელებმა უბრალოდ ააცილეს პენალტი. პარაგვაი ნახევარფინალშია, სადაც კიდევ ერთ სიურპრიზს - ვენესუელას - შეხვდება.

ამ კაცმა გააუვნებელყო, რაც კი მისი კარისკენ წავიდა, თუმცა ორჯერ მცველთა დახმარებაც დასჭირდა, მისი ბრალი სულაც არ არის, რომ იმ საღამოს ბრაზილიელები აცილების დიდოსტატებად მოგვევლინენ. ხუსტო ვილარმა ლუსიოს და ორჯერ პატოს საოცარი დარტყმები აუღო, რისთვისაც დაიმსახურა კიდეც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება. გამოკითხვაში მან ხმების 40,2% მიიღო, ასეთი ერთსულოვნება კი იშვიათია.

**რობინიო** (ბრაზილია): *„რაღა დაგვრჩენია, ახლა უბრალოდ ვალდებულები ვართ მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგოთ, რომელიც 2014 წელს ჩვენს სამშობლოში გაიმართება და კრიტიკოსებს დავუმტკიცოთ, რომ მწარედ ცდებიან. არ მიმაჩნია, რომ ამ კოპაზე ცუდად გამოვედით, სულაც არა - გუნდმა კარგად ითამაშა და ტურნირს მხოლოდ პენალტების სერიაში მარცხის გამო გამოეთიშა. ჩვენ სამშობლოში ნაუგებლად მივდივართ. პარაგვაისთან მატჩშიც ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო, ჩვენ უკეთესი გუნდი ვართ, რომელსაც არ გაუმართლდა".*

**მანო მენეზეში** (ბრაზილიის მწვრთნელი): *„რამდენი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ მთავარი, რადგან მათ კარში ხუსტო ვილარი იდგა. ფეხბურთში საკმარისი გამოცდილება დამიგროვდა, ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი გავარდნის შემდეგ გუნდი უფრო ძლიერი ხდება. რაც მთავარია, ჩვენ სწორ გზას ვადგავართ და გადახვევას არ ვაპირებთ".*

**ნელსონ ვალდესი** (პარაგვაი): *„რასაც ფეხბურთი ჰქვია, ჩვენ არ გვითამაშია, თუმცა მთავარი შედეგია - ჩვენ ნახევარფინალში ვართ. დღეს უზომოდ გვიმართლებდა, ჩვენი დღე იყო. ფეხბურთში ასეა, ვენესუელასთან არ გაგვიმართლა, ახლა კი - პირიქით".*

**ჩილე 1 2 ვენესუელა**

**ჩილე:** ბრავო - კონტრერასი, პონსე, ხარა (61. პარედესი) - ისლა, მედელი, კარმონა (46. ვალდივია), ვიდალი - ხიმენესი (84. მუნიოსი)- სანჩესი, სუასო.

**ვენესუელა:** ვეგა - როსალესი, პეროსო, ვისკარონდო, ჩიჩერო - გონსალესი (89. მორენო), ლუსენა, რინკონი, არანგო - მიკუ (60. რონდონი), მალდონადო (65 სეიხასი).

**გოლები:** 0:1 ვისკარონდო (35). 1:1 სუასო (70), 1:2 ჩიჩერო (81).

**გაძევება:** მედელი (83). რინკონი (90+4)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი**
**ოსვალდო ვისკარონდო (ვენესუელა)**

# პირველად ამერიკაში

ერთ დროს სამხრეთ ამერიკის კონტინენტის უსუსტესი ნაკრები - ვენესუელა - ისტორიაში პირველად გავიდა კოპა ამერიკას ნახევარფინალში. ამასთან, ვენესუელის ნაკრები ერთადერთია, რომელმაც საამისოდ ძირითადი დრო იმყოფინა. არადა, მისი მეტოქე კოპას ერთ-ერთი ფავორიტი ჩილე იყო, ერთობ რეკლამირებული **ალექსის სანჩესით**.

ჩილეს ნაკრები, ისევე როგორც წინა მატჩებში, თავს საკუთარ სახლში გრძნობდა, ტრიბუნები სან ხუანში ათიათასობით ჩილელმა გადააწითლა (ნაკრების მაისურის ფერებში). მოკლედ, ყველა ელოდა მათ წინსვლას, მაგრამ ვენესუელა კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. პირველმა ტაიმმა ვერ გაამართლა, ორივე გუნდმა კარისკენ სულ 2-ჯერ დაარტყა, ჯერ **არანგომ** საჯარიმო დარტყმით სცადა ბედი, შემდეგ ვენესუელელმა მცველმა **ოსკარ ვისკარონდომ** თავით გახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმში **ვალდივია** გამოჩნდა ჩილელთა რიგებში, „ათიანმა" მათი შეტევები დაალაგა, რამაც შედეგი გამოიღო - **უმბერტო სუასოს** დარტყმული ძელს მოხვდა და ისე შევარდა ვენესუელელთა კარში. მანამდე ჩილელებმა რამდენჯერმე მოარტყეს ბურთი მეტოქის კარის ძელებს.

მაყურებელთა შეძახილებით გამხნევებულმა ჩილელებმა გადაწყვიტეს, ყველაფრის ძირითად დროში მომთავრება და ვენესუელელთა შეტევა გაეპარათ - **კლაუდიო ბრავომ** უხეში შეცდომა დაუშვა ბურთი ხელიდან გაუვარდა და **გაბრიელ ჩიჩერომ** ვენესუელური ფეხბურთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა - 1:2.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი მცველი ოსკარ ვისკარონდო გახდა, რომელსაც უკვე მეორედ ასახელებენ საუკეთესოებში. ამჯერად, მან ხმების 24,1% მიიღო.

**სესარ ფარიასი** (ვენესუელას მწვრთნელი): *„ჩვენ ამაზე გაჩერება არ გვსურს, ბიჭებს ველაპარაკე და ისინი მიღწეულით არ დაკმაყოფილებულან, მეტის მიღწევა სურთ, როგორც მე. თამაშამდეც ვიძახდით, რომ მოვუგებდით ჩილეს, რადგან ჩვენ საამისოდ მზად ვიყავით. ვფიქრობ, სკეპტიკოსები ჩვენივე თამაშით გავაჩუმეთ".*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## მეოთხედფინალების სიმბოლური ნაკრები. 3-4-3 GOAL.COM



ინტერვიუ კევინ პრინს ბოატენგი

# პრინცის დაუჯერებელი ამბავი

## კალჩო იდეალურია, აქ ყველაფერი ერთად არის

სერია A-ს 2010/2011 წლების გათამაშების ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა უდავოდ კევინ პრინც ბოატენგი გახლავთ, რომელმაც „მილანთან“ ერთად სადებიუტო სეზონში სკუდეტო მოიპოვა. ამასთან, თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა და გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად მოგვევლინა. ერთი სიტყვით, 24 წლის განელ ნახევარმცველს შეუძლია, გასული სეზონი აქტივში ჩაიწეროს. „გაძეტა დელო სპორტმა“ ბოატენგთან საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.


კევინ პრინც ბოატენგი

**- „მილანთან“ ერთად პირველივე სეზონში გახდით იტალიის ჩემპიონი, ამასთან, ხართ გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა. საერთოდ, თუ აცნობიერებთ რა ხდება თქვენს თავს?**

- წლინახევრის წინ ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, „მილანში“ ითამაშებ და ტიფოზების კერპი გახდებიო, ნამდვილად გიჟად ჩავთვლიდი, მაგრამ ფაქტია, ეს მართლაც ასე მოხდა. სეზონის განმავლობაში ამაზე ფიქრისთვის არ მეცალა, ამ ზაფხულს კი ყველაფერს ვაცნობიერებ და ჩემს მეუღლეს სულ ამ სიტყვებს ვუმეორებ: ჩვენ ეს შევძელით. ჩვენ მართლაც ერთად შევძელით ის, რომ გულშემატკივრების მხრიდან უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ, ბავშვებისთვის კი მისაბაძი გავხდი. არადა, ბავშვობის და თინეიჯერობის წლებში მშობლები შვილებს ჩემთან მეგობრობას უშლიდნენ, მგონი სხეულზე გამოსახული ტატუების გამო ცუდი ბიჭის იმიჯი მქონდა. მართლაც ამაყი ვარ იმით, რომ სრულიად საპირისპირო რამ დავამტკიცე.

**- „მილანის“ ყურადღება 2010 წლის მუნდიალზე ასპარეზობით მიიქციეთ, ალბათ ყოველთვის კარგად გემახსოვრებათ სამხრეთ აფრიკაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი...**

- რა თქმა უნდა და არა მარტო იმიტომ, რომ ამ მუნდიალმა „მილანისკენ“ გამიხსნა გზა... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მსოფლიოს ჩემპიონატმა ჩემი კონტინენტი დადებითად წარმოაჩინა. აქამდე ყველას ეგონა, რომ მთელი აფრიკა სილარიბესა და სილატაკეში ცხოვრობს, თუმცა დაინახეს, რომ არც მთლად მასეა საქმე. ვნახეთ ძალიან კარგად ორგანიზებული ტურნირი, შესანიშნავი სტადიონები და ქალაქების ბრწყინვალე არქიტექტურა. აფრიკული მუნდიალი ყოველთვის მემახსოვრება.

**- თუ არ ვცდებით, ნელსონ მანდელასთანაც გქონდათ შეხვედრა...**

- დიახ, ნამდვილად არ გეშლებათ და ეს დღეც სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. მანდელა სიმშვიდის, მშვიდობის და სამართლიანობის განსახიერებაა, რომელმაც ნამდვილად შეცვალა მსოფლიო უკეთესობისკენ. მანდელას და მის მეუღლეს სულ რამდენიმე წუთით ვესაუბრე, თუმცა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მეც უკეთესი გავმხდარიყავი.

**- შეგეძლოთ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში გეთამაშათ, მაგრამ განა აირჩიეთ, რატომ?**

- ნახევრად გერმანელი ვარ და ეს ქვეყანა ძალიან მიყვარს. მაგრამ, როდესაც არჩევანის წინაშე დავდექი, ისტორიული სამშობლოსკენ გადავიხარე. ამ ნაბიჯმა იმის საშუალება მომცა, რომ ახლოს ვყოფილიყავი ჩემს ფესვებთან და უკეთ გამეგო, რა არის ნამდვილი აფრიკა. ერთი წუთითაც არ მინანია, რომ არჩევანი განას სასარგებლოდ გავაკეთე.

**- ერთხელ განაცხადეთ, რომ თქვენი კერპი პელეა, ნუთუ გაქვთ მისი თამაშები ნანახი?**

- ჩანაწერები მაქვს ნანახი და ჩემი თქმა არ სჭირდება იმას, რომ ის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. ფრაგმენტებითაც კარგად ჩანს, თუ რა საოცარ ტექნიკას ფლობდა და როგორ ეპყრობოდა ბურთს. დღეს კი ჩემს აღფრთოვანებას კრიშტიანო რონალდო იწვევს, რომელსაც ძალიან ახლოს ვიცნობ. ბევრს არასწორი წარმოდგენა აქვს პორტუგალიელზე, ქედმაღალი და ვარსკვლავური დაავადებით შეპყრობილი ჰგონიათ, სინამდვილეში კი უბრალო ადამიანია და რაც მთავარია, ძალიან შრომისმოყვარე. ყოველთვის ორჯერ უფრო მეტი დატვირთვით ვარჯიშობს, ვიდრე მწვრთნელები ავალებენ. ამიტომ არის, რომ მოედანზე ყველაფერი შეუძლია.

**- შევცვალოთ თემა. იცით, რომ სექსსიმბოლო ხართ?**

- არ ვიცი ეს წოდება ვინ მომანიჭა, მაგრამ რადგან ასე ამბობთ, ე.ი. სადღაც რაღაც მაგდაგვარი დაიწერა. პრინციპში, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან ესეც პოპულარობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ისე, მას შემდეგ, რაც „მილანში“ გადმოვედი, 6-7 კილო მაქვს დაკლებული და ქალებისგანაც მეტ ყურადღებას ვგრძნობ. თუმცა, დაოჯახებული ვარ და ჩემი გული მხოლოდ ერთ ქალს ეკუთვნის.

**- ფეხბურთს დავუბრუნდეთ. მზად ხართ ნებისმიერ ადგილზე ითამაშოთ, სადაც მწვრთნელი დაგავალებთ?**

- რა თქმა უნდა. მზად ვარ იქ ვითამაშო, სადაც მწვრთნელი დამავალებს და ეს კარგად მაქვს გაცნობიერებული. გასულ სეზონში, მასიმილიანო ალეგრიმ გამთამაშებლადაც მათამაშა და ამ როლის შესრულება ძალიან მომეწონა. გამოგიტყდებით და დიდი სურვილი მაქვს, რომ ფორვარდების უკან მომავალშიც ვიასპარეზო. ვნახოთ, იმედია ასეც იქნება...

**- ე.ი. გირჩევნია, რომ ამ ზაფხულს „მილანში“ სესკ ფაბრეგასი გადმოვიდეს და არა ხავიერ პასტორე...**

- ვინც უნდა მოვიდეს გუნდში, ყველას ხელგაშლილი შევეგებები, მაგრამ პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, „მილანი“ ისედაც შესანიშნავად დაკომპლექტებული გუნდია და აღარავინ გვჭირდება. გვყავს გამოცდილი, შუა ასაკის და ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთა სინთეზსაც ალეგრი ძალიან კარგად ახერხებს. ასე რომ, ახალი ფეხბურთელების საჭიროებას ვერ ვხედავ.

**- რომელი უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, სკუდეტო თუ ჩემპიონთა ლიგა?**

- სკუდეტო, რადგან ამ ტროფეისთვის კვირაში ერთხელ გვიწევს ასპარეზობა. თანაც, სერია A ისეთი ჩემპიონატია, სადაც თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე უნდა დაიხარჯო. კალჩოში იოლად არაფერი მოდის და როდესაც ყოველ კვირას თითოეული ქულისთვის ასეთი შრომა გიწევს, სკუდეტოს თავისთავად ედება განუზომელი ფასი.

**- ჩემპიონთა ლიგა და „მილანი“ განუყოფელი მცნებებია, რა სჭირდება გუნდს იმისთვის, რომ ვთქვათ „ბარსელონას“ კონკურენცია გაუწიოს?**

- ჩემპიონთა ლიგა სპეციფიკური ტურნირია, იქ შეიძლება ყველაფერი ერთ შეხვედრაში, ან სულაც ერთ წუთში გადაწყდეს. ასე რომ, „ბარსასთან“ კონკურენცია ოცნების სფერო ნამდვილად არ არის. ერთი კონკრეტული შეხვედრის მოგება ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება, მათ შორის კატალონიურ გრანდთანაც და ეს არაერთხელ დამტკიცებულა. თუნდაც 2009/2010 წლების სეზონი გავიხსენოთ, როდესაც ლიგა „ინტერმა“ მოიგო და გზად გვარდიოლას გუნდი ჩამოიცილა.

**- და მაინც, ესპანური ფეხბურთი საუკეთესოა ევროპაში?**

- ესპანურ ფეხბურთს საუკეთესო დროება უდგას და შეიძლება დავეთანხმო კიდეც ამ მოსაზრებას. თუმცა, ჩემი პირადი აზრით, იტალიის ჩემპიონატში თამაში და თავის წარმოჩენა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ლა ლიგაში. მართალია, ესპანურ ფეხბურთს შიგნიდან არ ვიცნობ, მაგრამ ფაქტია, რომ იქ გრანდებს უფრო უადვილდებათ თამაში. მაგალითად, „ბარსელონა“ და „რეალი“ ხშირად იგებენ ხუთი, ან ექვსბურთიანი უპირატესობით, რაც იტალიაში წარმოუდგენელია.

**- ანუ, იტალიური ფეხბურთი მაინც ყველაფერს გირჩევნიათ...**

- ესპანეთში ტექნიკურ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას და მაგალითად, „ბარსელონას“ იერიშებისთვის თვალის დევნება ერთი სიამოვნებაა; ინგლისში სწრაფი ტემპია, სტადიონებზე საოცარი ატმოსფეროა, მაგრამ მეორე მხრივ, იშვიათად ნახავ ლამაზ ფინტს, ან გრძელ სოლორეიდს, თანაც იქ მწვრთნელები ფაქტობრივად არ ფიქრობენ ტაქტიკა-სტრატეგიაზე; აი, კალჩო კი იდეალურია, იტალიაში ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი.

**- სკუდეტოს შენარჩუნების შემთხვევაში, კიდევ აპირებთ ცეკვას?**

- ვიცოდი, რომ საცეკვაო ნომერზე აუცილებლად ჩამომიგდებდით სიტყვას და აი ისიც... სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ გავბედავდი და 85 000 ადამიანის თვალწინ საცეკვაო ნომერს შევასრულებდი, თუმცა შევძელი და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. ალბათ კიდევ ვიცეკვებ, თუმცა აუცილებლად სხვა ნომერს, რომ მოსაწყენი არ გავხდე.

**- რა არის ცხოვრებაში მთავარი?**

- ალბათ ტატუები, რომელთა რაოდენობა ჩემს სხეულზე წლიდან წლამდე იზრდება. ეს რა თქმა უნდა ხუმრობით, ისე კი მთავარია, შენ გარშემო მყოფი ადამიანები თავს ბედნიერად გრძნობდნენ და ამით შენც ხარობდე. არ უნდა დავკარგოთ რწმენა ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი და შევინარჩუნოთ ოპტიმიზმი.

ფიორენტინა

# მონტოლივოს სამკლავური ჩამოართვეს

„კორიერე დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომდევნო სეზონიდან „ფიორენტინას“ ახალი კაპიტანი ეყოლება. 2008 წლიდან მოყოლებული, „ვიოლას“ **რიკარდო მონტოლივო** მოუძლვება მოუდანზე, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო ამ საპატიო მისიას **ალესანდრო გამბერინი** იტვირთავს. გარკვეულ მიზეზებში კი ის იგულისხმება, რომ მონტოლივომ კლუბთან ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე უარი განაცხადა, რაც იმის მომასწავებელია, რომ მომავალ ზაფხულს „ფიორენტინას“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს. გახსოვთ ალბათ, ზუსტად ანალოგიური საქციელის გამო, „ლაციოს“ პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** გუნდიდან სამი ფეხბურთელი მოკვეთა და დუბლშემადგენლობაში გადაისროლა. „ვიოლას“ მესვეურები ასეთი რადიკალური ნაბიჯების გადადგმისგან თავს შეიკავებენ, მაგრამ სადამსჯელო ზომები მაინც მიიღეს და 26 წლის ნახევარმცველს კაპიტნის სამკლავური ჩამოართვეს. რიკარდო ამ ამბავს გაგებით მოეკიდა:

*„ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე იმიტომ არ მითქვამს უარი, რომ აუცილებლად სხვაგან ვაპირებ წასვლას - დიდია შანსი, მომდევნო ზაფხულს „ფიორენტინაში“ დარჩენის გადაწყვეტილება მივიღო, მაგრამ თუ სხვაგან წასვლა დავაპირე, მირჩევნია ეს მშვიდად და ჩემს გემოზე გავაკეთო. „ვიოლასთვის“ იმდენი კი მაქვს გაკეთებული, რომ ამას კლუბის მესვეურები გაგებით მოეკიდონ. ჩემის მხრივ, გაგებით ვეკიდები კაპიტნის სამკლავურის გამბერინისთვის გადაცემას“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაური**


რიკარდო მონტოლივო


ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

## აქტიური

ფრანჩესკო ტოტის შეყვარებულმა ქუჩაში უპატრონო კატა იპოვა და სახლში მიიყვანა. შინ დაბრუნებულ ფრანჩესკოს შეყვარებულმა კატა აჩვენა და უთხრა: ნახე ძვირფასო რა საყვარელია.

**ტოტი:** მმმ...

**შეყვარებული:** აბა, თუ გამოიცნობ მამალი კატაა თუ დედალი?

**ტოტი:** ადვილი გამოსაცნობია, მამალია ხომ?

**შეყვარებული:** როგორ მიხვდი?

**ტოტი:** ულვაშები ხომ აქვს? ე.ი. მამალია.

## გაკვეთილზე

ფრანჩესკო ტოტის გამოცდა აქვს გეოგრაფიაში.

**მასწავლებელი:** ბატონო ტოტი, გთხოვთ არაბეთზე მესაუბრეთ. (არრაბბია-ბრაზი; არაბია –არაბეთი).

**ტოტი:** როცა გოლი ვერ გამაქვს მაშინ ვბრაზდები.

## ინტერვიუ

**სახელი:** ფრანჩესკო
**გვარი:** ტოტი
**დაბადება:** დიახ

## შინაარსი

შეყვარებულმა ტოტის წიგნი აჩუქა, გადაშალა და პირველივე გვერდზე წაიკითხა: შინაარსი...

**ტოტი:** სასიამოვნოა, მე ფრანჩესკო ვარ.

## ტოტის ბიბლიოთეკა

იტალიური გაზეთები საშინელ ინფორმაციას იუწყებიან. "ტოტის ბიბლიოთეკა, რომელიც მხოლოდ ორი წიგნისგან შედგებოდა, ხანძრისგან განადგურდა.

შეცბუნებულმა ტოტიმ განაცხადა: ახლა როგორ მოვიქცე, მე ხომ გადაფურცვლა ჯერ დამთავრებული არ მქონდა.

## 50 პროცენტი

**ტოტი მეგობარს ეუბნება:** იცი, წიგნების მაღაზიაში საინტერესო წიგნი აღმოვაჩინე. რა ჰქვია?- ჰკითხა მეგობარმა.

**ტოტი:** „როგორ გადაჭრათ თქვენი პრობლემები 50 პროცენტით“

**მეგობარი:** უკვე შეიძინე?

**ტოტი:** აბა როგორ, ორი წიგნი ვიყიდე.

## სატელეფონო ცენტრში

ტოტი რეკავს სატელეფონო ცენტრის მომსახურების ოფისში და ოპერატორს სატელეფონო ზარს შეუკვეთავს.

**ოპერატორი:** მშვენიერია ბატონო, გთხოვთ თქვენს ტელეფონზე ათი ციფრი აკრიფოთ.

დაბნეული ტოტი ერთი წუთის განმავლობაში ხმას ვერ იღებს. **ტოტი:** კი, მაგრამ, აბა როგორ შევძლებ ათი ციფრის აკრეფას, ჩემს ტელეფონზე ხომ მხოლოდ ცხრაა.

## ქართული სპორტი

**თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა**

გაირკვა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 30-31 ივლისს ბუქარესტში მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებს. **ნუგზარ სხირელმა** შემადგენლობაში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა, ძირითადი ბირთვი კი უცვლელად დატოვა. **ლევან როჭიკაშვილი** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით გალეგაშვილი** (66), **ბექა პეტრიაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **მამუკა კორძაია** (96), **თედო ებანოიძე** (120) – აი, ასეთია სხირელისა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა საკადრო გადაწყვეტილება.



# თავისუფლებმაც გაახალდეს

## ცვლილებები გონივრული და იძულებითი

ეს გუნდი ევროპის ჩემპიონატზე იმდენად დიდი წარმატებით გამოვიდა, მნიშვნელოვანი ცვლილებები არც იყო მოსალოდნელი - ხინჩეგაშვილი და მარსაგიშვილი ჩემპიონები გახდნენ, პეტრიაშვილი მეორეზე გავიდა, ჩოჩიშვილი, ებანოიძე და მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილი** კი მესამეზე, ოღონდ ებანოიძემ მაშინ 96-ში იჭიდავა.

ნათქვამია, გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიანო და მედალოსნები არც სხირელს შეუცვლია. ახალი კადრები მხოლოდ როჭიკაშვილი, ტლაშაძე და კორძაიაა. 50 კილოგრამში ევროპაზე **ლაშა ტალახაძემ** იჭიდავა და მეხუთეზე გავიდა. ის გამოცდილი და ტიტულოვანი ფალავანია – შარშან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ევროპაზე კი მესამე იყო, მაგრამ წონის პრობლემები აწუხებს და კონტინენტის წლევანდელ პირველობაზეც ამიტომ დარჩა უმედლოდ – ნახევარფინალი მწვრთნელებმა შეგნებულად არ აჭიდავეს, იმდენად ცუდად იყო. სხირელს მისი მაშინაც ეიმედებოდა და ახლაც მედლის მოპოვების რეალურ კანდიდატად განიხილავდა, მაგრამ წონის დაკლება კვლავაც დიდ პრობლემად რჩება. თავად სპორტსმენმაც აღიარა, რომ ვერ შეძლებდა დაკლებას და ამიტომ მწვრთნელებმა მისი შეცვლა გადაწყვიტეს, თუმცა მთლად იდეალური წონა არც როჭიკაშვილს გააჩნია.

ცვლილების მიზეზი 66-ში ევროპის ჩემპიონატზე **დავით ტლაშაძის** სუსტი გამოსვლა გახდა. ის და გალეგაშვილი ორივე გორში ვარჯიშობს სხირელთან და მწვრთნელი კარგად იცნობს ორივეს შესაძლებლობებს. თან ორივე დაახლოებით თანაბარი დონისაა – მათი კონკურენცია მთელი წელიწადი გრძელდება და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს, ორივე დაახლოებით ერთნაირ შედეგს აჩვენებს. ურთიერთშეხვედრა თუ ყოფილა, ბრძოლის ბედი იქაც თანაბარ ბრძოლაში, წილისყრით გადაწყვეტილა. ამიტომ სხირელი კარგა ხნის წინ მივიდა დასკვნამდე, რომ შანსი ორივესთვის მიეცა – ერთს ევროპა ეჭიდავა, მეორეს – მსოფლიო. ევროპაზე ტლაშაძემ იასპარეზა და წარუმატებლად, თუმცა გალეგაშვილთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არც მანამდე არსებობდა.

დაახლოებით თანაბარძალოვანმა კონკურენციამ მწვრთნელს უბიძგა იმ გადაწყვეტილების მიღებისკენ, რაც ზედა ორ უმძიმეს წონაში ვიხილეთ, თუმცა აქ საქმეში მძიმე წონაში არსებული საკადრო პრობლემებიც ჩაერია. საქმე ისაა, რომ ამ წონაში ახალგაზრდული ასაკიდან სხირელის მოთხოვნებს ვერავინ აკმაყოფილებს, რასაც არასოდეს მალავდა. ამიტომ ვროპის ჩემპიონატის წინ მიიღო, ერთი შეხედვით თამამი გადაწყვეტილება, რამაც საბოლოოდ გაამართლა – უარი თქვა ამ ასაკის ყველა ლიდერზე და სერბულ ზრენჯანინში ჭაბუკთა გუნდის ლიდერი **გენო პეტრიაშვილი** წაიყვანა. 16 წლის ბიჭის ამ ასაკში გამოყვანა იქნებ ცოტა ნაადრევიც ჩანდეს, მაგრამ სხირელმა იცის თავისი საქმე, რაც პეტრიაშვილის შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ დადასტურდა - ბრინჯაო მოიპოვა. მწვრთნელი მას ახლაც დიდი სიამოვნებით დააყენებდა, მაგრამ შეგირდს ამ ზაფხულს ევროპისა და მსოფლიოს პირველობები ჭაბუკებშიც ელოდება. ამიტომ იმ გუნდის ინტერესებიც გაითვალისწინა და აქ ასპარეზობა აღარ დააძალა. თუმცა ამ წონაში შექმნილი საკადრო ვაკუუმის შესავსებად კვლავაც არაორდინალური გადაწყვეტილება მიიღო – ძველი კადრების ნაცვლად ებანოიძის ზევით ამოწევა განიზრახა. სხირელის აზრით, ის და კორძაია ორივე დაახლოებით თანაბარი დონის და ასაკის კვალობაზე მაღალი კლასის მოჭიდავეა. ის კორძაიასთვის მსოფლიოზე შანსის მიცემას ისედაც აპირებდა, ახლა კი არც ებანოიძეს დასწყვიტა გული და რაკი სჯერა მისი შესაძლებლობების, მძიმე წონაში გადაანაცვლა. დროებით თუ სამუდამოდ, ამას დრო აჩვენებს, ამ ეტაპზე კი გადაწყვეტილებას ებანოიძე და მისი მწვრთნელი ულაპარაკოდ დათანხმდნენ.

თუმცა სხირელისთვის მთავარი პრობლემა არა ეს წონები, არამედ ხინჩეგაშვილისა და მარსაგიშვილის საკითხი იყო, რადგან აქ ერთმანეთს ახალგაზრდული და ეროვნული გუნდების ინტერესები ეჯახებოდა – მოგეხსენებათ, ორივე თავიანთ წონებში მთავარი გუნდის ლიდერები არიან და სექტემბერში სტამბოლში მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატშიც უნდა იჭიდაონ. მათ უფროსებში წლეულს უკვე იასპარეზეს ევროპის ჩემპიონატზე და ვერცხლის მედლებიც მოიპოვეს, რასაც მერე კონტინენტის ჩემპიონობა მიაყოლეს უკვე ახალგაზრდებში.

მსოფლიოს პირველობების წინ კი გაჩნდა კითხვა, რომელ ნაკრებში ეჭიდავათ ამ პრესტიჟულ ტურნირზე? იყო მოსაზრება და საშიშროება, რომ ერთბაშად ორივე შეჯიბრებაში გამოსვლა მათ გადაღლის და რომელიმე გამოეტოვებინათ. ცხადია, ასეთად უფრო ახალგაზრდების პირველობას მიიჩნევდნენ, რადგან უფროსებისა მნიშვნელობით ბევრად აღემატება მას. თან ის ლონდონის ოლიმპიადისკენ მიმავალი პირდაპირი გზაა – ლიცენზიები გაიცემა, ყოველ წონაში 6-6, ამიტომ იქ წარმატებით გამოსვლაზე ბევრი რამეა დამოკიდებული, მაგრამ ამ ეტაპზე სხირელმა დაასაბუთა, რომ ახალგაზრდულ მსოფლიოზე ჭიდაობა ამ ბიჭებს დიდებს შორის ასპარეზობაში ხელს არ შეუშლის. მისი თქმით, სპორტსმენებმა გამოტოვეს **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირი, სანაცვლოდ კი იასპარეზეს ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე; გამოტოვეს „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალური შეჯიბრებაც ბაქოში, მაგრამ სამაგიეროდ გამოვლენ მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე. ანუ, მათ უფროსთა მსოფლიოსთვის მოსამზადებლად სასტარტო შეჯიბრებები მაინც არ მოაკლდებათ, ახალგაზრდული მსოფლიოდან უფროსთა ანალოგიურ ტურნირამდე კი თვენახევრიანი შუალედია და ძალების აღდგენა უნდა მოასწრონო. ვნახოთ, რომელი მხარეა მართალი, ამას დრო გამოაჩენს, ანუ რამდენად მოასწრებენ ფორმის აღდგენას. დროის ასე მცირე შუალედში ამდენის ჭიდაობა აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქეთის და რიგი სხვა გუნდებისთვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ არა ჩვენებისთვის.

ბარემ აქვე შეგახსენებთ ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა მსოფლიოს საჩემპიონატო განაცხადსაც: **ნიკა ცეცხლაძე** (50), **ამირან შავაძე** (55), **ქემალ ხარაბაძე** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **სერგო დიხამინჯია** (96), **შოთა გოგისვანიძე** (120). ბერძენ-რომაელები 24 ივლისს გაფრინდებიან რუმინეთში, „თავისუფლები“ - 28-ში.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**



**ძიუდო. ახალგაზრდული ტურნირი**

ბიბლიოთეკა

# სტამბოლში სამი მედალი მოვიძიეთ

ამ უქმეებზე ახალგაზრდა ქართველ ძიუდოისტთა ერთმა ჯგუფმა საკუთარი ხარჯებით სტამბოლში იჭიდავა ევროპის თასზე და 3 მედალიც მოიპოვა – 1 ოქრო და 2 ბრინჯაო. ვაჟთა შორის ჩემპიონი **ლაშა ზურაბიანი** (81) გახდა, მესამეზე კი **გიორგი ბროლაშვილი** (60) გავიდა. გოგოებში ბრინჯაოს მედალს **ნინო ოძელაშვილი** (70). დაეუფლა.

ზურაბიანმა სტამბოლში ხუთი შეხვედრა გამართა და აქედან სამი იპონით მოიგო. პირველ წრეში მან ვაზარით აჯობა თურქ **ისმაილ სერჰატ კამბურის**, მერე რუსი **ანდრეი პოპოშინი** დააიპონა, მეორე რუს **ადამ კლიშევს** იუკოთი მოუგო, ნახევარფინალში კი იტალიელ მატეო მარკონჩინიზე **ლევან გუგავას** ჯავრი იყარა. საქმე ისაა, რომ იტალიელმა მეორე წრეში გუგავას მოუგო, ზურაბიანმა კი წმინდა გდებით გაუსწორა ანგარიში. ფინალში კიდევ ერთ რუსთან მოუხდა შეხვედრა – **ალან ხუბეცოვთან,** თუმცა იქაც მოწოდების სიმაღლეზე დადგა – მორიგი იპონი და სტამბოლის ტურნირის ჩემპიონობა!

ბროლაშვილმა ორი ვადამდელი გამარჯვებით შეჯიბრება წარმატებით დაიწყო – შვეიცარიელ **დანიელ რუფლის** და მასპინძელ **ჰამზა აკაის** მოუგო, მაგრამ მერე თვითონაც იპონით წააგო საკმაოდ გამოცდილ რუს **ოთარ ბესტაევთან**. სანუგეშო წრეში მორიგი ვადამდელი მოგებები მიითვალა ყაზახ **რუსტემ იბრაევთან** და აზერბაიჯანელ **რასიმ ასადულაევთან**, რომელიც ასევე გამოცდილი ფალავანია.

ოძელაშვილმა პირველ შეხვედრაში წმინდად დაამარცხა ხორვატი **მარია კოშიჩი**, მერე კი ბრიტანელ **სალი კონვაისთან** წააგო. ბრინჯაოსთვის შეხვედრა ჩვენებურმა თურქ **საიდა ბაირამს** იუკოთი მოუგო და პრიზიორიც გახდა.

გოგოებში სხვა მონაწილე არც გვყავდა, ვაჟთა ნაკრების სხვა წევრებიდან კი ყველაზე უკეთ **ალექსანდრე სტეფნაძე** (90) გამოვიდა – მეხუთე ადგილი. თურქ **სამეტ ბულეტთან** მოგების შემდეგ ის სერბ **ალექსანდრ კუკოლთან** დამარცხდა და სანუგეშოში გადავიდა, სადაც ბრიტანელ **თეოდორ სპალდინგ-მაკინტოშს** კი აჯობა, მაგრამ ბრინჯაოსთვის შერკინება დათმო პორტუგალიელ **ტიაგო როდრიგესთან.** ეს როდრიგესი სტამბოლში ბედისწერად გვექცა – პირველივე წრეში **ფრიდონ ზურაბიანს** მოუგო.

ასევე პირველივე შეხვედრაში დამარცხდა **შოთა ჯავახაძე** (81) – თურქ **აჰმეტ სარისთან, იაკობ გაზდელიანი** (66) კი მეოთხედფინალამდე უდანაკარგოდ მივიდა, მაგრამ იქ მომავალ ჩემპიონთან, რუს **არსენ ტოლასოვთან** წააგო. ჩვენებური სანუგეშოში კი გადავიდა, მაგრამ მეტი ვერც იქ შეძლო – მასპინძელ **რამზან ზენგისთან** ვაზარი დათმო.





**სპორტი ყველასათვის**




სპორტის8 სახეობა შედიოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეტა სამინისტროს თაოსნობით გამართულ 2011 წლის მინისტერიალის თასის გატამაშებაში. ასპარეზობა ფეხბურთელთა ფინალურმა მატჩმა დააგვირგვინა - სპორტისა და შს სამინისტროს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა დამატებით დროში კი ძალოვნებმა მიაღწიეს წარმატებას - 2:1. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის გუნდმა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს მოუგო - 3:2. ფეხბურთელთა ტურნირის საუკეთესო მეკარედ **ზაალ ჩიტალაძე** (სპორტის სამინისტრო) დაასახელეს, საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი მის თანაგუნდელ **ბესო ზოიძეს** ხვდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა სპორტის სამინისტრო, მეორეზეა შსს, მესამეზე - თავდაცვის სამინისტრო.

### განცხადება

2011 წლის 15 ივლისის საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასკომის სხდომის გადაწყვეტილებით, 2011 წლის 16 აგვისტოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში (ჩოლოყაშვილის გამზ. №9) ჩატარდება ძიუდოს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. პრეზიდენტის კანდიდატების განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 8 აგვისტო.

დღის წესრიგი:
— ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატთა პროგრამის მოსმენა;
— ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები;
— სხვადასხვა.

**საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი



# ყველა პაპიტაშვილთან შეიკრიბა

ამას წინათ მკითხველს ვაუწყეთ, რომ გორის ცენტრალურ სასპორტო სკოლაში მიმდინარე კაპიტალურმა რემონტმა სპორტსმენთა და მწვრთნელთა გარკვეულ ნაწილს პრობლემები შეუქმნა. ნოემბრამდე იქ მოქმედ ყველა სპორტულ სექციას, ბუნებრივია, შენობა დაატოვებინეს. ძიუდოისტები ქალაქის მეორე უბანში გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლის დარბაზში მოვარჯიშეებს შეუერთდნენ. აი, ყველაზე ნაყოფიერი გარჯით გამორჩეული თავისუფალი ჭიდაობისთვის ადგილი კი სპორტსკოლის ხელმძღვანელობამ მთელი თვე ვერსად გამონახა. არადა, საქართველოს პირველი და ყველა ასაკობრივი ნაკრების თითქმის ნახევარს აქაური ფალავნები წარმოადგენენ. საბოლოოდ, თავისუფლებსაც თავშესაფრად პაპიტაშვილის დარბაზი ექცათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გადანყვეტილებით შიდა ქართლში ყველაზე დატვირთული სამი დარბაზის რამდენიმე ასეული სპორტსმენი დროებით ერთ, არცთუ დიდი ფართის დარბაზში მოიყრის თავს. მიუხედავად ამისა, მწვრთნელებმა ექსტრემალური სამუშაო გრაფიკი შეადგინეს, გადაინაწილეს დრო და შეძლებისდაგვარად ნორმალურად განაგრძობენ მუშაობას. *„ჩვენ ყველა საერთო საქმეს ვემსახურებით და ერთმანეთის გასაჭირის მიმართ გულგრილნი ვერ ვიქნებით! ცხადია, იოლი არაა ამდენი სპორტსმენის სავარჯიშო პროცესის შეფერხების გარეშე წარმართვა, მაგრამ მაინც უნდა შევძლოთ, რადგან მეგობრებს სწორედ ასეთ დროს სჭირდებათ თანადგომა. სხვათა შორის 70-იან წლებში ჩემს პირველ დარბაზშიც გარკვეულ ხანს ერთად იყო ძიუდო და თავისუფალი ჭიდაობა, ვიდრე ცენტრალური სასპორტო სკოლა გაიხსნებოდა, ერთმანეთის გვერდში დგომა არც ახლა გაგვიჭირდება“* - გვითხრა ბატონმა გურამ პაპიტაშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭადრაკი

# სათავეში სტუმარი მოექცა

ფოთში ნანა ალექსანდრიას თასის გათამაშების მთავარი ტურნირის 124 მონაწილეს შორის 4 აზერბაიჯანელია და ერთ-ერთი მათგანი გუშინდელი მერვე ტურის შემდეგ ეულად დაწინაურდა — **ზაურ მამადოვმა** თასის შარშანდელი მფლობელი **კონსტანტინე შანავა** შავი ფიგურებით 36-ე სვლაზე დაამარცხა. არადა, ქართველი დიდოსტატი აზერბაიჯანელ საერთაშორისო ოსტატს რეიტინგში 210 პუნქტით უსწრებს და თეთრებით მისი დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა. ასეა თუ ისე, შანავამ მე-8 ტურის პარტია დათმო და თასის შესანარჩუნებლად ყოველგვარი შანსი დაკარგა, რადგან საქართველოს ნაკრების წევრი **ლევან ფანცულაია**, რომელიც გუშინ **გაიოზ ნიგალიძეს** დაუზავდა და 6,5 ქულა მოაგროვა, დღეს შავი ფიგურებით მამადოვს ეთამაშება. თუ მოიგებს, 7,5 ქულითა და უკეთესი კოეფიციენტით მეტოქეებისთვის მიუწვდომელი ხდება, ამ ორთაბრძოლაში ყაიმის შემთხვევაში, მთავარი ჯილდოს (4000 ლარი) მოპოვების შანსი გაიოზ ნიგალიძესაც უჩნდება. ერთი სიტყვით, გამარჯვებულსა და პრიზიორებს ბოლო ტურის შემდეგი პაექრობები გამოავლენს:

ზაურ მამადოვი (7)-ლევან ფანცულაია (6,5), დავით ბენიძე (6,5)-გაიოზ ნიგალიძე (6,5), დავით ზარქუა (6)-კონსტანტინე შანავა (6), გიგა ყუფარაძე (6)-არმან მიქაელიანი (6), მერი არაბიძე (6)-გიორგი ბალათუროვი (6), დავიდ კალაშიანი (6)-ოვიკ აირაპეტიანი (6), კარენ ღარიბიანი (5,5)-ივერი ჭილლაძე (5,5)-ნინო ბაციაშვილი (5,5)-ბაჩანა მორჩიაშვილი (5,5).

რაც შეეხება სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა ტურნირებს, **8-წლიან** გოგონებში 8 ქულით თამარ ესაძემ ვადამდე გაინალდა პირველი ადგილი. 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილებს სოფიკო გოგინავა და ანაიდ მკრტიჩიანი ინაწილებენ. ბიჭებში 8 ქულით შოთა ხოდაშნელი მეწინავეობს. მას ქულით ჩამორჩება ნიკოლოზ კაჭარავა. 6-6 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს ლაზარე და საბა ლომსაძეები იყოფენ.

**10-წლიან** გოგონებში, ასევე, 8 ქულით პირველობა ელენე კოსტავამ გაინალდა. უახლოესი მდევრები — ლილე ქორიძე და გვანცა მარგველაშვილი მას 6-6 ქულით მისდევენ კვალში. ბიჭებში კოკა ბუკიას და ცოტნე მამულაიშვილს 8 ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულა აქვთ. გოლამიმ (ირანი), ანდრეი მუსტაფინმა (აზერბაიჯანი), გორ ტადევოსიანმა (სომხეთი) და ნიკოლოზ პეტრიაშვილმა 6-6 ქულა მოაგროვეს.

**12-წლიან** გოგონებში 7 ქულით ნარმინ მამადოვამ (აზერბაიჯანი) გაიმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებს ნინო დახუნდარიძე და თეა ჭოლაძე 5,5-5,5 ქულით იყოფენ. ბიჭებში 6,5 ქულით ერთპიროვნულად ავთანდილ ფანჩულიძე მეწინავეობს. გურამ კოკაიას და ლუკა ლიჩელს 6-6 ქულა აქვთ.

ნანა ალექსანდრიას თასის გათამაშება დღეს დამთავრდება.

**ვაჟა დანელია**

# ევროპა და აზია დაზავდნენ

ხუთი შესაძლებლიდან 4 ქულა - ასეთი შედეგით ლიდერობს ხანჩჟოუში მოჭადრაკე ქალთა სუპერტურნირს ჩინელი **ძიუ ვენძიუნი**, რომელიც გუშინ თეთრი ფიგურებით **ნადეჟდა კოსინცევას** დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი)-**ნანა ძაგნიძე** (საქართველო), **ანა ზატონსკიხი** (აშშ)-**ჩჟაო სიუ** (ჩინეთი). ორგზის ევროპის ჩემპიონმა **ტატიანა კოსინცევამ** (რუსეთი) მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს - **ჰოუ იფანს** (ჩინეთი) აჯობა, ხოლო მსოფლიოს ექსჩემპიონმა **ჟუ ჩენმა** (ყატარი) ფრანგ **მარი სებაგს** მოუგო. ფაქტობრივად, გუშინ ევროპისა და აზიის საუკეთესო დიდოსტატი ქალები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს (მერე რა, რომ ზატონსკიხი ამერიკის სახელით გამოდის, იგი ხომ წარმოშობით უკრაინელია და წლების განმავლობაში ამ ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდა) და ორი კონტინენტის რჩეულ მოჭადრაკე მანდილოსანთა პაექრობა ფრედ (2,5:2,5) დამთავრდა.



სატურნირო მდგომარეობა ხუთი ტურის შემდეგ: ვენძიუნი - 4, დები - ნადეჟდა და ტატიანა კოსინცევები - 3-3, დრონავალი, ჰოუ იფანი, ჩჟაო სიუ-2,5-2,5, ძაგნიძე, სებაგი, ჟუ ჩენი - 2-2, ზატონსკიხი - 1,5 ქულა.

დღეს მოჭადრაკეები დაისვენებენ. ხვალ მე-6 ტურში ითამაშებენ: ძაგნიძე-ჩჟაო სიუ, ნ. კოსინცევა-ზატონსკიხი, ჰოუ იფანი-ვენძიუნი, სებაგი-ტ. კოსინცევა, დრონავალი-ჟუ ჩენი.

**ვაჟა დანელია**

# კოეფიციენტით მეორე ადგილი ერგო

ბერძნულ რეტიმნოში მოჭადრაკეთა მე-3 საერთაშორისო ფესტივალის ბოლო ტურში გუშინ **სოფიკო გურამიშვილი** თურქ **მუსტაფა ილმაზს** დაუზავდა და 9 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა, რაც ურიგო შედეგი არ არის, თუმცა საერთო ჩათვლაში ამ მონაგრით მხოლოდ 27-ე ადგილი დაიკავა, ქალებში კი მე-2 ადგილი ერგო. მართალია, ამდენივე ქულა მოაგროვა ვადიმ ფაბისოვიჩის (რუსეთი) მძლეველმა **ვიტა ჩულივსკამ** (უკრაინა), რომელმაც უკეთესი კოეფიციენტით აჯობა ჩვენებურს. ბულგარელმა **ელიზა რაევამ** იტალიელი გიუსეფ ვალენტი დაამარცხა და მანაც 6 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ გურამიშვილზე უარესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და მე-3 ადგილით დაკმაყოფილდა. ქალთა შორის პრიზიორებს, შესაბამისად, 500, 300 და 200 ევრო გადაეცათ.

მთავარი პრიზი - 2200 ევრო იური კრივორუჩკომ (უკრაინა) მოიპოვა. გუშინ იგი მომჩილ ნიკოლოვს დაუზავდა და 9 შესაძლებლიდან 7 პირველი ადგილი დაიკავა. ასევე, 7-7 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე-მეათე ადგილებზე გავიდნენ: პეტერ პროჰაზკა (უნგრეთი, 1500 ევრო), დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა, 1000), ხრისტოს ბანიკასი (საბერძნეთი, 600), ალექსანდრ ბუზარევი (უკრაინა, 400), მომჩილ ნიკოლოვი (ბულგარეთი, 400), ალექსანდრ იპატოვი (ესპანეთი, 250), მარინ ბოსიოჩიჩი (ხორვატია, 250), მისა პაპი (სერბეთი, 250), აშვინი (ინდოეთი, 250 ევრო).

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი




# ქართველი დირექტორი და სამი ჩვენებური WTA-ს ტურნირის ძირითადში

გუშინ მორიგი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა, რომლებშიც 10 ქართველი პროფესიონალი მოხვდა. ქალთა შორის საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** 10 საფეხურით დაქვეითდა და 733 ქულით რეიტინგში 93-ეა. სხვები: 195 (-2). **ოქსანა კალაშნიკოვა** - 292 ქულა; 224 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 257; 245 (+11) **სოფიო შაფათავა** - 227; 377 (-32) **თათია მიქაძე** - 119; 449 (-1) **სოფიო ქვაცაბაია** - 87; 471 (-1) **ეკა გორგოძე** - 78; 1219 (-4) **მანანა შაფაქიძე** - 3.

ვაჟთა რეიტინგში ისევ 2 ჩოგბურთელი გაგვიხდა. არა, სამწუხაროდ, **ნიკოლოზ ბასილაშვილს** არ დაუბრუნებია საქართველოს მოქალაქეობა - უბრალოდ, რეიტინგში 18 წლის **გიორგი ცივაძემ** შეაღწია (პირველად, კარიერაში). ერევნის ტურნირში მეოთხედფინალში გასვლამ გიორგის პირველი 3 ქულა მოუტანა. ცივაძე მსოფლიოს 1212-ე ჩოგანია, ხოლო **ლადო ჩიხლაძე** 13 ქულით 838-ეა.

ამ დღეებში ბაქოში WTA-ს ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია. ამ შეჯიბრების დირექტორი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხია**. ბუნებრივია, ტურნირი ქართველების გარეშე არ ჩაივლიდა. საკვალიფიკაციო ბადეში სამი ჩვენებური იყო: თათია მიქაძე (მე-5 ნომრად განთესეს), სოფიო ქვაცაბაია და ეკა გორგოძე. მე-2 საკვალიფიკაციო წრეში (პირველში ჩვენები ისვენებდნენ) ორმა ქართველმა მოიგო: გორგოძემ მე-8 ნომრად განთესილი **დანიელა დომინკოვიჩი** (ავსტრალია, 396) დაამარცხა - 6:2, 6:2, ხოლო მიქაძემ - „უაილდ ქარდით“ მიწვეული უზბეკი **საბინა შარიპოვა** - 7:5, 6:4. ქვაცაბიამ კი მე-6 ნომრად განთესილ რუს **იანა ბუჩინასთან** (367) წააგო - 4:6, 7:5, 3:6. ფინალურ წრეში ეკას და თათიას სერიოზული მეტოქეები ჰყავდათ და მათ ვერ შეძლეს ამ ბარიერის გადალახვა. გორგოძემ პირველ ნომრად განთესილ ბერძენ **ეირინი გეორგატუსთან** (197) დათმო - 3:6, 1:6, მიქაძემ მე-3 ნომრად განთესილ **ვალერია სოლოვიევას** (რუსეთი, 278) სამსეტიანი ბრძოლა გაუმართა - 6:1, 3:6, 1:6. გორგოძემ და მიქაძემ 10-10 სარეიტინგო ქულა მიიღეს, ხოლო ქვაცაბაიამ - 6.

ძირითად ბადეში ორი ქართველი იყო - ანა ტატიშვილი და სოფიო შაფათავა, თუმცა მათ „იღბლიანი დამარცხებულის“ სტატუსით თათია მიქაძეც მოხვდა. თუმცა ჩვენებურთა რიცხვი უკვე ერთით შემცირდა - სოფიო შაფათავამ ვერაფერი გააწყო ყაზახ **გალინა ვოსკობოევასთან**, მას ერთი გეიმიც კი ვერ აართვა - 0:6, 0:6. მიქაძე „უაილდ ქარდით“ მიწვეულ რუს **ნინა ხრისანოვას** ეთამაშება, ტატიშვილის მეტოქე კი მე-8 ნომრად განთესილი რუსი **ევგენია როდინაა** (77). ეს მატჩები დღეს გაიმართება და იცით რა მოხდება, თუ ჩვენებურები მოიგებენ - ტურნირის მეოთხედფინალში გარანტირებულად გვეყოლება ქართველი, რადგან მოგების შემთხვევაში მერვედფინალში ტატიშვილი მიქაძეს დაუპირისპირდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო. ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი

# ტიტულის გადასარჩენად

23 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** ნაგოიას ბაშოზე პირველად შეხვდა მასზე დაბალი რანგის სუმოისტს და მოიგო. აქამდე მას მოწინავე ათეულის 9 წევრიდან (მე-10 თავადაა) 8 შეხვდა (ქართველს არ უჭიდავია მხოლოდ ოძეკი **კაიოსთან**) და მხოლოდ ორ შემთხვევაში გამოვიდა ჩვენებური გამარჯვებული. მოკლედ, კომუსუბის ტიტული საფრთხეშია, ტოჩინოშინს მხოლოდ ერთი წაგების უფლებაღა აქვს. გუშინ მან მე-2 მაეგაშირა **კიოკუტენჰოს** გაუფორმა უარყოფითი ბალანსი, რომელსაც იორიკირით აჯობა. დღევანდელი მეტოქე პირველი მაეგაშირა **იოშიკაძეა**, ვისაც წაგების უფლება აღარ აქვს.

კიდევ უფრო რთულად აქვს საქმე ყველაზე მძიმე სუმოისტ **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)** - მან წაგებების ლიმიტი უკვე ამოწურა, დღეს ბრაზილიელ **კაისეისთან** დამარცხდა. ახლა დარჩენილი 6 ორთაბრძოლიდან ყველა უნდა მოიგოს, თუკი რეიტინგში დაწინაურება სურს. სხვათა შორის, გაგამარუს ახასიათებს ტურნირის დასკვნით ეტაპზე ძალების მოკრებვა, თუმცა მისი ამოცანა ძალზე რთულია. დღეს გაგამარუს მეტოქე **ტაკეკაძეა**.

ძურიოს დივიზიონში დადებითი ბალანსი დაიბრუნა **ლევან ცაგურიამ (კოკაი)**, რაც მას ელიტაში დაბრუნების საშუალებას მისცემს. კოკაის 5-4 ბალანსი აქვს, მას მერე, რაც **კანბაიაში** დაამარცხა.

ნაგოიას ბაშოზე მხოლოდ ორი დაუმარცხებელია, ორივე მონღოლი - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი**.

**IX დღე**: ჰაკუჰო-კაკურიუ (იორიკირი), ბარუტო-კისენოსატო (ჰატაკიკომი), ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ (იორიკირი), ვაკაკოიუ-კაიო (ჰიკიოტოში), კოტოოშუ-ამინიშიკი (ოშიდაში), იოშიკაძე-გოეიდო (ჰიკიოტოში), **ტოჩინოშინი**-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტოიონოშიმა-ოკინოუმი (ცუკიოტოში), ტოკიტენკუ-ტაკეკაძე (იორიკირი), კაისეი-**გაგამარუ** (იორიკირი), ვაკანოსატო-ჰომაშო (იორიკირი), მიაბიამა-ტამავაში (ჰიკიოტოში), არანი-ასასეკირიუ (იორიკირი), ტოჩიოძანი-ტაკაიასუ (იორიკირი), საგაცუკასა-კიტატაიკი (ოშიდაში), ტაკარაფუჯი-ფუჯიაზუმა (უვატედაშინაგე), დაიდო-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), კიმურაიამა - ტოიოჰიბიკი (ცუკიოტოში), ტოჩინონადა-შოტენრო (იორიკირი), მასუნოიამა-ტაკამისაკარი (იორიკირი). ძურიო: **კოკაი**-კანბაიაში (ოშიტაოში).



**სატურნირო მდგომარეობა**

**9-0**: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი).
**8-1**: ბარუტო (ოძეკი).
**7-2**: კოტოოშუ (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 8), ჰომაშო (მ 9), ტაკაიასუ (მ 11), ფუჯიაზუმა (მ 15)... 3-6: **ტოჩინოშინი** (კომუსუბი)... 2-7: **გაგამარუ** (მ 7).

**X დღე**: ჰაკუჰო-კისენოსატო, ჰარუმაფუჯი-ვაკაკოიუ, კოტოოშუ-კაიო, ბარუტო-კოტოშოგიკუ, კაკურიუ-ტოიონოშიმა, **ტოჩინოშინი**-იოშიკაძე, გოეიდო-კიოკუტენჰო, კაისეი-ამინიშიკი, ტაკეკაძე-**გაგამარუ**, ოკინოუმი-არანი, ვაკანოსატო-მიაბიამა, ასასეკირიუ-ტამავაში, ტოკიტენკუ-შოტენრო, ტოჩიოძანი-ტოიოჰიბიკი, ჰომაშო-ტოჩინოვაკა, ტაკარაფუჯი-საგაცუკასა, კიტატაიკი-კიმურაიამა, ტაკაიასუ-ფუჯიაზუმა, დაიდო-ტაკამისაკარი, ტოჩინონადა-იოშიაზუმა. ძურიო: **კოკაი**-ჩიონოკუნი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

# ჯგუფი გადავლახეთ, ვლახეთი ვნახეთ...

**18 ივლისი**

**საქართველო-რუმინეთი 85:89 დ.დ.**

19:19, 17:12, 19:24, 21:21, 9:13

**საქართველო:** ბაქრაძე (25 ნთ, 11ქ, 2მ, 3პ, 3ჩ), ლომოური (24 ნთ, 18ქ, 4მ), ჩიკვილაძე (21 ნთ, 3ქ, 3მ, 5ფ), შენგელია (32 ნთ, 22ქ, 11მ, 2პ, 3დ), თავართქილაძე (8 ნთ), ბექაური (12 ნთ), ბოქოლიშვილი (28 ნთ, 2ქ, 3მ), ლეჟავა (7 ნთ, 3ქ), სანაძე (20 ნთ, 10ქ, 5მ), რევაზაშვილი (18 ნთ, 3ქ, 3მ), დვალიშვილი (30 ნთ, 13ქ, 11მ).

**რუმინეთი:** ტელინოიუ (12ქ, 6მ), ნუნა (9ქ, 9მ), იოანი, მილენკოვიჩი (12ქ), ტოთი, კორპოდეანი (20ქ, 8მ), ჩიროფი (19ქ, 7მ), ტიბირნა (17ქ, 7მ).

20-წლამდელთა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** რუმინეთთან მატჩამდე თქვა:



*- მართალია, ჯგუფში პირველი ადგილი გარანტირებული გვაქვს, მაგრამ რუმინელებთან მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ. თან ვეცდები დრო იმ კალათბურთელებსაც მივცე, ვისაც აქამდე ცოტა თამაში უწევდა.*

მწვრთნელზე რაც იყო დამოკიდებული ყველაფერი შეასრულა: სასტარტო ხუთეულში დააყენა **გიორგი რევაზაშვილი** და **აკაკი ლომოური,** რომელსაც მანამდე მთელ ჩემპიონატზე მხოლოდ 1 წუთი ჰქონდა ნათამაშები. ასევე, დრო ერგოთ სხვა სათადარიგოებს, თუმცა რუმინეთთან მატჩის სიმძიმემ მხოლოდ მათზე არ გადაიარა - მწვრთნელმა გუნდის წამყვან კალათბურთელებზეც არ თქვა უარი.

40 წუთის ფრედ დასრულებაც ნათელჰყოფს, რომ მატჩი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა, თუმცა ქართველებს მეორე ათწუთეულში მცირე უპირატესობა ჰქონდათ, რაც მესამეში ვლახებმა სრულად გააბათილეს. საინტერესო გამოდგა შეხვედრის ბოლო წუთები. საფინალო სირენას 39 წამი უკლდა, როცა **მილენკოვიჩმა** ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და რუმინეთი სამით წინ გაიჭრა - 76:73. 13 წამში ლომოური იმავე მილენკოვიჩზე დაჯარიმდა, მაგრამ ბედად რუმინელმა ერთი თავისუფალი ტყორცნაც ვერ გამოიყენა. ქართველებმა ჩაიფიქრეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ანგარიში სამქულიანით გაეთანაბრებინათ. ბოლო იერიშისას **თორნიკე შენგელიას** მიერ აცილებული ბურთი **ბოქოლიშვილმა** მოხსნა, ისევ თორნიკე მოძებნა, მაგრამ ვერც ზედიზედ მეორე სამქულიანმა მიაღწია მიზანს. თუმცა, ფარიდან ასხლეტილი ბურთი ისევ ჩვენ დაგვრჩა - ლომოურმა მოხსნა, პერიმეტრზე ავიდა, ისროლა და 76:76.

დამატებითი დროის დასაწყისში **სანაძემ** სამქულიანი გამოიყენა, მაგრამ ეს რუმინელთა გასატეხად საკმარისი არ აღმოჩნდა - ყვითლებმა 89:85 იმარჯვეს. მართალია, მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდნენ, მაგრამ ჯგუფური ეტაპი ღირსეულად დაასრულეს.

ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლას 8 ნაკრები აგრძელებს. ისინი ორ ჯგუფად გაიყოფიან, საიდანაც ნახევარფინალში ორ-ორი გავა, ხოლო ფინალისტები ელიტის საგზურს მოიპოვებენ.

მეორე ეტაპზე E ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები იქნებიან ესტონეთი, ბულგარეთი და დანია. მატჩები 20 და 21 ივლისს გაიმართება. თითო გუნდს (მაგალითად, საქართველოს) თანაჯგუფელთან (ესტონეთთან) გამარჯვება მეორე ეტაპზეც გადაჰყვება.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 5 | 4 | 1 | 418/394 | 9 |
| 2. ესტონეთი | 5 | 3 | 2 | 424/353 | 8 |
| 3. პოლონეთი | 5 | 3 | 2 | 366/358 | 8 |
| 4. რუმინეთი | 5 | 3 | 2 | 311/343 | 8 |
| 5. მაკედონია | 5 | 2 | 3 | 359/361 | 7 |
| 6. შვეიცარია | 5 | 0 | 5 | 316/385 | 5 |



# დავით უსტიაშვილი: ესტონეთთან მოგება არასოდეს დამავიწყდება

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე დაიბევა პირველი ადგილი. ეს მას შემდეგ გადაწყდა, რაც დავით უსტიაშვილის შეგირდებმა უშუალო კონკურენტი ესტონეთი ბოლო წამებზე 88:87 დაამარცხეს.**

როგორც კალათბურთის ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელმა, **ირაკლი პერტაიამ** გვითხრა, ქართველებმა გადამწყვეტი ბურთი სირენამდე 1.4 წამით ადრე ჩააგდეს. არადა, მატჩის ქრონოლოგიაში დაიწერა, რომ ბოქოლიშვილმა ანგარიშს საბოლოო სახე მატჩის დასრულებამდე 6 წამით ადრე მისცა. კალათბურთის ფედერაციის საიტზე დავით უსტიაშვილის კომენტარი გამოქვეყნდა.

*- საოცარი შეხვედრა იყო. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ბოლო წამები არასდროს დაგვავიწყდება. დიდი დაძაბულობა იყო და ბოქოლიშვილის ჩაგდებული ორქულიანის შემდეგ ყველამ ძალიან გაიხარა. მატჩი ცოტა ხნით შეჩერდა, რადგან ემოციები არ ცხრებოდა. ესტონელები კი გონს მოსვლას ცდილობდნენ.*

მწვრთნელმა გადამწყვეტი ეპიზოდი დეტალურად გაიხსენა:

*- სანამ მერაბის რეალიზებულ ტყორცნაზე გეტყოდეთ, გავიხსენებ გივი ბაქრაძის გარღვევას, რომელიც ბოლო წუთზე განახორციელა (მაშინ 1 ქულას ვიგებდით). ბურთი კალათში ჩაეშვა და ბიჭებიც გახარებულები წამოიშალნენ, მაგრამ ბურთი კალათში დატრიალდა და რკალიდან ამოვარდა. ეს დიდი იმედგაცრუება იყო, რადგან ესტონეთი უკვე იშტაზე იყო მოსული, მომდევნო შეტევა ვეიდემანმა დააგვირგვინა და 1 ქულით დაწინაურდა. საერთოდ, ესტონეთი ისეთი გუნდია, რომ პატარა შეცდომას არავის ჰპატიობს. ბოლო წუთებზე ვიედმანმა რაც ესროლა, ყველა ბურთი ჩააგდო. ჩვენ კი რამდენიმე ბურთი კალათში რომ გვეგონა, უკან ამოვარდა. თამაშის დასრულებამდე 12 წამით ადრე ვიედმანმა საჯარიმოები გამოიყენა და ურთულეს სიტუაციაში აღმოვჩნდით. წუთშესვენება ავიღე, ბიჭებს კომბინაციის შესრულების დავალება მივეცი. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც დავგეგმეთ, თუმცა ნოდარ თენიეშვილის ნასროლი ბურთი მიზანს ასცდა. ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის რევაზაშვილი და ორი ესტონელი იბრძოდნენ, თუმცა ბურთი ფართან მდგომმა მერაბ ბოქოლიშვილმა მოხსნა, ესროლა და გამარჯვებისა ჩააგდო.*

ბოლო შეტევის უფლება ესტონელებს დარჩათ...

*- თეორიულად კი შეეძლოთ ბურთის ჩაგდება, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებელი იყო. ბოქოლიშვილმა 88:87 რომ დაგვაწინაურა, საფინალო სირენამდე 1,4 წამი რჩებოდა. ესტონელებმა ამ მოკლე დროში ვერაფერი მოახერხეს. დაბნეულები იყვნენ.*

მატჩის ბოლო წუთები სათადარიგოთა სკამზე გაატარა ლიდერმა თორნიკე შენგელიამ, რომელსაც ხუთი ჯარიმა ჰქონდა მიღებული...

*- შენგელიას გავარდნამ შანსები შეამცირა, მაგრამ გუნდის ბოლომდე მჯეროდა. ამიტომაც გამიხარდა განსაკუთრებულად ეს გამარჯვება. ლიდერის გარეშე დარჩენილმა საქართველოს ნაკრებმა ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა და მაშინაც კი, როცა ბოლო წამებზე ჩამორჩა, გამარჯვების მოპოვება შეძლო. კალათბურთში ყველაფერი ხდება და თუ ლიდერის გარეშე დარჩები, იმ შემთხვევაშიც უნდა შეგეძლოს თავის გატანა. ჩვენმა ბიჭებმა ეს მოახერხეს. ცაკლე თემაა, რომ შენგელია მე-5 ჯარიმას არ იმსახურებდა. მსაჯებზე ლაპარაკი არ მჩვევია. უბრალოდ, არბიტრს აშკარა შეცდომა მოუვიდა. შენგელიამ ბურთი ჩააგდო და მასზე ესტონელი დაჯარიმდა. აშკარა იყო, რომ მეტოქე შენგელიას მოძრაობაში მიჰყვებოდა და დაეჯახა. მორიგი ორი ქულა, ყველამ ვიზეიმეთ და შენგელია 1 საჯარიმოს სასროლადაც მოემზადა, თუმცა მსაჯმა არა ესტონელს, არამედ მას მისცა პერსონალური, რომელიც მისთვის მეხუთე აღმოჩნდა. იმ ეპიზოდში 4 ქულას ვიგებდით. იმის ნაცვლად, რომ სხვაობა გაზრდილიყო და საჯარიმოც გვესროლა, გუნდის ლიდერი მოედნიდან გაგვიგდეს. ურთულეს სიტუაციაში აღმოვჩნდით, რადგან მანამდე ხუთ-ხუთი ჯარიმა მიღებული ჰქონდათ დუდა სანაძესა და აკაკი დვალიშვილს. ყველაფრის მიუხედავად, გუნდმა მებრძოლი ხასიათი გამოავლინა და მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო.*

როგორც გუშინ მოგახსენეთ, საქართველოს ნაკრები მეორე ჯგუფურ ეტაპს ერთი მოგებით ხვდება...

*- ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დიდი შანსია, ჯგუფში ჩასატარებელი 2 მატჩიდან ნახევარფინალში გასასვლელად ერთის მოგებამაც იკმაროს. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

18-წლამდელთა ნაკრები. საკონტროლო მატჩი

# ბახ!რეინი და 48-ქულიანი გამარჯვება

**მიხეილ ბერუაშვილის** განვრთნილი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ დასკვნით შეკრებას თურქეთში გადის. ქართველმა 18-წლამდელებმა მეზობელ ქვეყანაში პირველ ამხანაგურ მატჩში ბაჰრეინი არაამხანაგური ანგარიშით დაამარცხეს - 104:46. ნახევარკუნძულელები აზიის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და საქართველოს ნაკრების მსგავსად შეკრებას თურქეთში გადიან. მატჩის შესახებ ჩვენი ნაკრების მწვრთნელი მიხეილ ბერუაშვილი მოგვითხრობს, რომელსაც კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებ-გვერდის ჟურნალისტი შეეხმიანა.



*- მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა, ვერავის გამოვყოფ, თითოეულმა კალათბურთელმა მაქსიმუმი გაიღო. ბაჰრეინის ნაკრები აზიის ჩემპიონატისთვის ემზადება და მათაც ჩვენსავით გუნდის შეთამაშებაზე აქვთ აქცენტი გადატანილი. მეტოქეს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ და დამაჯერებელი ანგარიშით მოვიგეთ. თურქეთში სულ 3 შეხვედრას ვატარებთ და ბულგარეთში, ევროპის პირველობის შესარჩევ ეტაპზე აქედან გავემგზავრებით.*

მატჩის სრული სტატისტიკა ვერ მოვიპოვეთ, გთავაზობთ მეოთხედების შედეგებს: 29:13, 24:11, 33:11, 18:11.

საქართველოს ნაკრები

# ახალი სლოგანი ახალ მაისურებზე



საქართველოს ნაკრები ვაკეში, „აკადემიას" დარბაზში ემზადება. გუნდი ფიზმომზადების მწვრთნელის **ავთო ბერიძის** ხემძღვანელობით ვარჯიშობს. გუშინ კალათბურთელებს ახალთახალი მაისურები გადაეცათ წარწერით: „როცა გვერდში ქომაგია, მონდომებაც ორმაგია".

ეს მაისურები სპეციალურად „სახალხო ბანკმა" დაამზადებინა, რომელიც საქართველოს ნაკრების პარტნიორია.

როგორც ჩანს, ახალ მაისურებში კალათბურთელებიც კარგად გრძნობენ თავს. მოვუსმინოთ **ნოკოლოზ ცქიტიშვილს:**

*- მოხარულები ვართ, რომ სპონსორი ასეთ ყურადღებას იჩენს ჩვენი ნაკრების მიმართ. სლოგანი ძალიან მომწონს და ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს გულშემატკივრებს ერთ მუშტად შეკრავს.*

● საქართველოს ნაკრები



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

# ბორჯღალოსნების მზადების მეორე ეტაპი დაიწყო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები გუშინ გამთენიისას საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადებას განაგრძობს. „ბორჯღალოსნები" ლაჟვარდოვან სანაპიროზე, საკურორტო ქალაქ კანიდან 10 კილომეტრში, მანდიო დე ნაპულიში დაბანაკდნენ.

ამ პატარა, წყნარ ქალაქში კარგად განვითარებული სარაგბო ინფრასტრუქტურაა. აქაურ კლუბში კი სხვადასხვა დროს თამაშობდნენ ქართველი მორაგბეები: **ბესიკ ხამაშურიძე, რეზო ბელქანია, მალხაზ ურჯუკაშვილი, ილია კახოიძე** და **დიმა პავლოვი.**

მანდიო დე ნაპულიში „ბორჯღალოსნები" 6 აგვისტომდე დაყოფენ და მერე, კლერმონის მახლობლად, ქალაქ ისუარში გადაბარგდებიან, სადაც 21 აგვისტომდე საერთაშორისო ტურნირ „ჩელენჯ ისუარში" იასპარეზებენ.

საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას 13 აგვისტოს ელიტური, მეორე დივიზიონის გუნდ „ორიაკთან" გამართავს, რომელშიც ქართველი **მორაგბეები ლევან დათუნაშვილი, კარლენ ასეიშვილი** და **გიორგი ნაცარაშვილი** ირიცხებიან. 19 აგვისტოს კი ჩვენების მეტოქე ამავე დივიზიონის კიდევ ერთი გუნდი, პირველი დივიზიონიდან წლეულს დაქვეითებული „ბურგუენი" იქნება.

ამავე ტურნირში ითამაშებს საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელიც 19 აგვისტოს უელსურ „ჰლანეჰლის" დაუპირისპირდება. ისუარში უნდა ეთამაშა **მამუკა გორგოძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიესაც", თუმცა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიენ გალტიემ** მზადების გეგმა ბოლო მომენტში შეცვალა.

„ჩელენჯ იასუარის" დასრულების შემდეგ „ბორჯღალოსნები" ისევ მანდიო დე ნაპულიში დაბრუნდებიან, სადაც 3 სექტემბრამდე ივარჯიშებენ. ამის შემდეგ კი ჩვენი ეროვნული გუნდი ახალ ზელანდიაში გაემგზავრება.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ორივე-ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), ილია ზედგინიძე (კარკერენი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი).

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი (ორივე-ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

N:9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები).

N:10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟინიენი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ლაშა ხმალაძე (ლელო).

N:12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო).

N:11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია).

N:15: მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).

| მსოფლიოს თასი |
| --- |
| B ჯგუფი |
| 14 სექტემბერი |
| საქართველო-შოტლანდია |
| 18 სექტემბერი |
| საქართველო-ინგლისი |
| 28 სექტემბერი |
| საქართველო-რუმინეთი |
| 2 ოქტომბერი |
| საქართველო-არგენტინა |



● შვიდკაცა რაგბი. ევროპის გრან პრი

# ევროპის შვიდკაცაში მეექვსე

შვიდკაცა რაგბის ევროპული სერია, რომელიც წლეულს ახალი ფორმატით გათამაშდა და „ევროპის გრან პრის" სახელი დაერქვა, პორტუგალიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა.

ევროპული შვიდკაცა რაგბის ბატალიები ოთხ ეტაპად ჩატარდა. საწყის ორ ტურნირზე, რომელიც რომსა და მოსკოვში გაიმართა, პირველობა არავის დაუთმო ინგლისის ნაკრებმა. ორი ბოლო ეტაპი კი, ბარსელონასა და ბუქარესტში, პორტუგალიელების ზეობით დასრულდა და საერთო ჩათვლაში, შვიდკაცა „ლობუშებმა" ინგლისელებს ერთი ქულით აჯობეს.

საქართველოს ნაკრებმა ყველაზე უკეთ მოსკოვსა და ბუქარესტში იასპარეზა და ჯამში 35 ქულა დააგროვა, რაც, საბოლოოდ, მე-6 ადგილის დასაკავებლად აღმოჩნდა საკმარისი.

ევროპის ელიტური დივიზიონი დატოვა, ანუ გრან პრის გათამაშებას გამოეთიშა ბოლო ორ ადგილზე გასული რუმინეთისა და მოლდოვის ნაკრებები, რომლებსაც მომავალი სეზონიდან შოტლანდიისა და გერმანიის შვიდკაცა რაგბის გუნდები ჩაანაცვლებენ.

**საქართველოს ნაკრები**

გიორგი კალმახელიძე, ბექა ბიწაძე (ორივე-არმია), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ირაკლი გეგენავა, ალექსანდრე ნიჟარაძე, შალვა მახარაშვილი (სამივე-ყოჩები), დავით ჩიტიძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ირაკლი ღვინჯილია (სამივე-ლოკომოტივი), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი XV), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი), გიორგი კაჭარავა (ლელო)

**საერთო ჩათვლა**

1. პოტუგალია - 63 ქულა, 2. ინგლისი - 62, 3. ესპანეთი - 59, 4. რუსეთი - 52, 5. საფრანგეთი - 50, 6. საქართველო - 35, 7. იტალია - 34, 8. უელსი - 30, 9. უკრაინა - 20, 10. ჰოლანდია - 15, 11. რუმინეთი - 11, 12. მოლდოვა - 5.



საქართველო-იტალია

● მეტოქეები

# სტეუარიმ გვიან დაიწყო

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე რუმინეთის ეროვნულმა გუნდმა, სხვა ნაკრებებთან შედარებით მზადება გვიან დაიწყო. „სტეუარის" ფრანგმა თავკაცმა **რობერ ანტონენმა** ნაკრები მხოლოდ გუშინ, 18 ივლისს შეკრიბა.

„მუხის ფოთლები" მზადებას ოთხ ეტაპად, რუმინეთის ოთხ სხვადასხვა ქალაქში გაივლიან. პირველი ორი ეტაპი, რომელიც 1 აგვისტოს დასრულდება, მთლიანად ფიზიკური კონდიციების დახვეწას დაეთმობა. მერე კი, ახალ ზელანდიაში გამგზავრებამდე, რუმინელები ტაქტიკური სქემების დამუშავებაზე განაგრძობენ მუშაობას.

ალსანიშნავია, რომ ანტონენმა შეკრებაზე 31 მორაგბეს უხმო. ცხადია, ერთი ზედმეტია და ის, სავარაუდოდ, ახალგაზრდა ცხრა ნომერი **ფლორინ სურუჯუ** იქნება. გუნდში ყველაზე გამოცდილი ორი მაღალი კლასის მორაგბეა, შერკინების კვაჭი **მარიუშ ტინკუ** და მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცა.** საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ასევე ვეტერანები, საკვანძო პოზიციებზე მოთამაშე, მგეზავი **დანუც დუმბრავა** და ფულბეკი **იულიან დუმიტრაში.**

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ახალ ზელანდიაში არ ითამაშებს მესამეხაზელი **ალექსანდრუ მანტა,** რომელმაც სანაკრებო კარიერა დაასრულა. მწვრთნელებთან კონფლიქტის გამო არ არის „მუხის ფოთლების" შემადგენლობაში მეორეხაზელი, ნაკრების ყოფილი კაპიტანი **სორინ სოკოლი.**

რუმინელები აგვისტოს ბოლო დეკადაში, ლვოვში უკრაინის ნაკრებს ევროპის ერთა თასის გამოტოვებულ შეხვედრაში დაუპირისპირდებიან. ახალ ზელანდიაში კი ჯგუფური ტურნირის პირველ შეხვედრას შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან 10 სექტემბერს გამართავენ.

**რუმინეთის ნაკრები**

პირევლი ხაზი: ნიკოლაე ნერე, მიჰაიტა ლაზარი, სილვიუ ფლორეა, დრაგოშ დიმა, პაულიკა იონი, მარიუს ტინკუ, ბოგდან ზებეგა, ანდრეი რადოი.

მეორე ხაზი: ვალენტინ ურსაკე, კრისტიან პეტრე, ვალენტინ პოპირლანი, კოზმინ რატიუ.

მესამე ხაზი: ოვიდიუ ტონიცა, მიჰაი მაკოვეი, დანიელ კარპო, დანიელ იანუსი, სტელიან ბურეა.

N:9: ლუჩიან სირბუ, ვალენტინ კალაფეტეანუ, ფლორინ სურუჯუ.

N:10: დანუც დუმბრავა, იონუც დიმოფტე

N:12-13: ჩაბა გალი, კონსტანტინ გეარა, იონელ კაზანი

N:11-14: კატალინ ფერკუ, მადალინ ლემნარუ, სტეფან ჩუნტუ.

N:15: ფლორინ ვლაიკუ, იულიან დუმიტრაში, კატალინ ნიკოლაე.

# მზე, ზღვა და ქვიშა

მსოფლიოს თასზე ჯგუფურ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქე, შოტლანდიის ეროვნული გუნდი შეჯიბრებისთვის მზადებას ედინბურგში განაგრძობს. „სკოტები" თავის პირველ საწვრთნელ მატჩს „მერიფილდზე" 6 აგვისტოს ირლანდიის ნაკრებთან გამართავენ. ორი კვირის შემდეგ კი იქვე იტალიას უმასპინძლებენ.

ეს ტესტები ევროპული გუნდებისთვის უჩვეულო დროს იმართება. შესაბამისად, ქომაგებიც მიჩვეულნი არ არიან აგვისტოში ეროვნული ნაკრების ბატალიების ცქერას. ამ დროს ყველა შვებულებაშია და ისვენებს. ამიტომ, შოტლანდიის რაგბის კავშირმა სპეციალური PR კამპანია წამოიწყო.

დილის ვარჯიშის შემდეგ, რომელიც ძალოსნობის დარბაზში ჩატარდა, **კრის პატერსონის** გარდა ყველა დასასვენებლად გაემართა. შოტლანდიელთა ლიდერმა ედინბურგის პლაჟ პორტობელოსკენ გასწია, სადაც აუტანელ სიცხეში, სარეკლამო რგოლის გადაღებაში მიიღო მონაწილეობა.

„სკოტების" მთავარი მწვრთნელი, ინგლისელი **ენდი რობინსონი** ახალ ზელანდიაში წამსვლელთა ვინაობას 20 აგვისტოს, იტალიასთან მატჩის შემდეგ დაასახელებს.

**შოტლანდიის ნაკრები**

შერკინება: ჯონ ბარკლი, ჯონ ბიტი, კელი ბრაუნი, ჯოფ გროსი, დევიდ დენტონი, ალასდაირ დიკინსონი, როს ფორდი, რაიან გრანტი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, ჯიმ ჰამილტონი, რობ ჰარლი, ნათან ჰინესი, ალან იაკობსენი, ალისტერ კელოკი, სკოტ ლაუსონი, მორეი ლოუ, ევან მურეი, როს რენი, ალასდაირ სტროკოში, ფერგიუს თომსონი, რიჩი ვერნონი.

უკანა ხაზი: ჯო ანსბრო, მაიკ ბლერი, ბენ კაირნსი, კრის კასიტერი, ჯეკ კუტბერტი, საიმონ დენიელი, ნიკ დე ლუკა, მაქს ევანსი, რუარიდ ჯექსონი, გრეგ ლაიდლოუ, რორი ლამონტი, შონ ლამონტი, რორი ლაუსონი, გრემ მორისნი, დენ პარქსი, კრის პატერსონი, ჰუგო საუთვილი, ნიკი ვოლკერი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

ბაქოს კომპლექსის ცენტრალური კორტი



# ამერიკული ჰარდის წინ

ივლისში მამაკაცთა ტურის ჩოგბურთელები ორ ნაწილად იყოფიან: ერთნი ევროპაში გრუნტის მცირე ტურნირებს თამაშობენ, მეორენი კი პირდაპირ ამერიკაში მიემგზავრებიან და იქ US Open Series-ის შეჯიბრებებისთვის მზადებას იწყებენ. გასულ კვირას აშშ-ში ტურნირი არ ჩატარებულა, შვედეთის ბაშტადსა და გერმანიის შტუტგარტში კი გრუნტის ორი შეჯიბრება გაიმართა.

შტუტგარტის ტურნირი 1949 წლიდან ტარდება. თავის დროზე აქ ისეთ დიდ ჩოგბურთელებს გაუმარჯვიათ, როგორებიც არიან: **ბიორნ ბორგი, ივან ლენდლი, ანდრე აგასი, ტომას მუსტერი, რაფაელ ნადალი...**

გერმანიაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ერთ დროს რუსების ლიდერის, **ნიკოლაი დავიდენკოს** კრიზისი. საუკეთესო ხუთეულის ყოფილმა წევრმა მსოფლიოს 197-ე ნომერთან **სედრიკ-მარსელ შტებესთან** წააგო, რაც მისი მეხუთე მარცხი გახლდათ ბოლო ექვს შეხვედრაში.

შტუტგარტში მეოთხედფინალამდე ვერც ერთმა განთესილმა ვერ გააღწია. პირველი წრე წააგეს განთესვის ლიდერმა **გაელ მონფილსმა, იურგენ მელცერმა, ფლორიან მაიერმა** და **ჟილ სიმონმა**. მეორე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას ტურნირის ყოფილი ჩემპიონი **მიხაილ იუჟნი** - მას ვეტერანმა **ხუან-კარლოს ფერერომ** მოიგო, რომელმაც შტუტგარტში ახალგაზრდობა გაიხსენა.

ტურნირის ნამდვილი სენსაცია გახდა **ფრედერიკო დელ ბონისი**, ვინც კარიერაში პირველად მიაღწია ნახევარფინალს. იქ კი ფერეროს დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ მაინც დამარცხდა. ფინალში ხუან-კარლოსს თანამემამულე **პაბლო ანდუხარი** გადაეყარა. თუმცა გადამწყვეტ მატჩში ბრძოლა არ შედგა, რადგან ფერეროს გამოცდილებამ თავისი გაიტანა - 6:4, 6:0. ფერეროსთვის ეს იყო მე-16 ტიტული კარიერაში. მოქმედ ჩოგბურთელებს შორის ეს მეცხრე შედეგია.

■ ■ ■

გაცილებით ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა ბაშტადში - **რობინ სიოდერლინგი, დავიდ ფერერი, ტომაშ ბერდიხი** და **ნიკოლას ალმაგრო**. აქ მოულოდნელობები თითქმის არ ყოფილა და ლიდერები დამაჯერებლად მივიდნენ ნახევარფინალამდე. წელს ATP-ში მესამედ საუკეთესო ოთხეული პირველ ოთხ ნომრად განთესილებმა დააკომპლექტეს.

ნახევარფინალური ეტაპი კი საკმაოდ მოსაწყენი იყო, რადგან ბრძოლა თითქმის არ ყოფილა. დავიდ ფერერმა ნიკოლას ალმაგროსთან ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 8:0-მდე აიყვანა. მაგრამ თუ ადრე მათ მატჩებში გარკვეული დაძაბულობა შეინიშნებოდა, ამჯერად ნიკოლასმა მხოლოდ ოთხი გეიმი აიღო. კიდევ უფრო მეტი სირცხვილი ელოდა მეორე ნახევარფინალში ტომაშ ბერდიხს - მან რობინ სიოდერლინგთან 1:6, 0:6 წააგო. ჩეხს ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით ათწლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში არ წაუგია. ტომაშმა წინა პირადი ანტირეკორდი ასევე შვედთან მატჩში დაამყარა - 1:6, 1:6 ერთ-ერთი ჩელენჯერის ფინალში.

გადამწყვეტ მატჩში სიოდერლინგმა ძალიან დამაჯერებელი თამაში აჩვენა და საკმაოდ იოლად მოუგო ფერერს - 6:2, 6:2. დავიდი გასულ კვირას ამერიკასთან დევისის თასის მეოთხედფინალის გმირი გახდა, სიოდერლინგმა კი საერთოდ გამოტოვა ეს ეტაპი და უფრო დასვენებული ჩანდა. რობინისთვის წელს ეს მეოთხე და კარიერაში მეცხრე ტიტულია.

აღსანიშნავია, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში სიოდერლინგმა სულ რაღაც 13 გეიმი წააგო.

**ATP**

**Swedish Open**

ბაშტადი (შვედეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 398 250 ევრო

**რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1)**-დავიდ ფერერი (ესპ, 2) 6:2, 6:2.

**Mercedes Cup**

შტუტგარტი (გერმანია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 398 250 ევრო

**ხუან-კარლოს ფერერო (ესპ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:4, 6:0.



ფერერო კუთვნილ მერსედესთან ერთად

# ბაქოს დებიუტი აქვს

**მიმდინარე კვირას იწყება პოპულარული ამერიკული საჰარდო სერია, თუმცა ჩოგბურთელების ნაწილი კვლავაც ევროპაში რჩება და გრუნტის სეზონს ასრულებს.**

**ATP**

**Atlanta Tennis Championships**

ატლანტა (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 531 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა***: მარდი ფიში, კევინ ანდერსონი, ჯონ ისნერი, ქსავიე მალისე, გრიგორ დიმიტროვი, იგორ კუნიცინი...

ეს ტურნირი ადრე არა ჰარდის, არამედ გრუნტის საფარზე იმართებოდა და მასზე ერთხელ **ენდი როდიკსაც** აქვს მოგებული. მაგრამ მისი ტრიუმფის შემდეგ ტურნირმა კარგა ხანს შეწყვიტა არსებობა და მხოლოდ გასულ სეზონში განახლდა, თანაც ადგილობრივი გულშემატკივრების გასახარად, ამერიკული ფინალი გათამაშდა - **მარდი ფიშმა ჯონ ისნერი** დაამარცხა. ეს ჩოგბურთელები ამჯერადაც ჩავიდნენ ატლანტაში, თანაც ფიში რეიტინგის პირველი ათეულის წევრის რანგში, რაც მას მთავარ ფავორიტად აქცევს.

რაც შეეხებს ისნერს, სეზონის არცთუ ისე შთამბეჭდავი დასაწყისის შემდეგ, მან ორი კვირის წინ ნიუპორტში მოიპოვა კარიერაში მეორე ტიტული, ასე რომ, ჯონს ახლა ყველაფერი წესრიგში აქვს.

ასევე უნდა მივაქციოთ ყურადღება **ლეიტონ ჰიუიტს**, რომელსაც ისევ არ აძლევს მოსვენებას ტრავმები და ამის გამო რეიტინგის მეორე ასეულში დაქვეითდა. ატლანტაში ვნახავთ სხვა საინტერესო ჩოგბურთელებსაც: **ქსავიე მალისეს**, პერსპექტიულ **გრიგორ დიმიტროვს**, **ტომი ჰაასს**...

**German Tennis Championships**

ჰამბურგი (გერმანია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: მილიონი ევრო

***მონაწილეთა შემადგენლობა***: გაელ მონფილსი, იურგენ მელცერი, ნიკოლას ალმაგრო, მიხაილ იუჟნი, ჟილ სიმონი, ფლორიან მაიერი...

მართალია, ამ კვირას ამერიკული ჰარდის სერია იწყება, თუმცა პარალელურად გაგრძელდება გრუნტის სეზონი. წელს ამ საფარზე ერთ-ერთი ბოლო დიდი ტურნირი სწორედ ჰამბურგში გაიმართება.

ამ ტურნირზე ერთ დროს **რაფაელ ნადალსა** და **როჯერ ფედერერს** გაუმარჯვიათ, მაგრამ ამჯერად ისინი ჰამბურგში არ ჩასულან, თუმცა მათ გარეშეც შემადგენლობა საკმაოდ სოლიდურია.

საინტერესოა, რომ მოქმედი ჩემპიონი არ მიიჩნევა გამარჯვების პრეტენდენტად. ყაზახ **ანდრეი გოლუბევს**, რომელმაც შარშან სენსაციურად მოიპოვა მთავარი პრიზი, ამჟამად 15-მატჩიანი წაგებათა სერია აქვს და მისი შანსი მიზერულია.

**WTA**

**Baku Cup**

ბაქო (აზერბაიჯანი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა***: ვერა ზვონარევა, ანასტასია პავლიუჩენკოვა, ელენა ვესნინა, ეკატერინა მაკაროვა, მონიკა ნიკულესკუ, ელენა ბალტაჩა...

ბაქოს დებიუტი აქვს WTA-ის ტურში და სასიამოვნოა, რომ ამ ტურნირის დირექტორი ჩვენი სახელოვანი ჩოგბურთელი **ლეილა მესხი** გახლავთ. „ბაქოს თასი" ქალებისთვის საზაფხულო ჰარდის სერიას გახსნის და ჩოგბურთელებს ამერიკული ტურნირებისთვის მომზადების შესაძლებლობა მიეცემათ.

ისე კი ბაქოს ტურნირი ერთგვარად რუსეთის ჩემპიონატი გახლავთ - რვა განთესილი ჩოგბურთელისგან ექვსი ამ ქვეყნის წარმომადგენელია. მათგან ფავორიტი, რა თქმა უნდა, **ვერა ზვონარევაა**, რომელიც სეზონის ამ ნაწილისთვის სერიოზულად ემზადება.

თუმცა რუსებს კონკურენტებიც ეყოლებათ. ეს არის **პატრიცია მაირ-ახლაიტნერი**, ვინც გასულ კვირას ბად-გაშტეინის ტურნირის ფინალში გააღწია, აგრეთვე ფრანგი **არავან რეზაი** - ის ბოლო დროს ძალიან ცუდად თამაშობს, მაგრამ ყოველთვის სახიფათოა.

კალათბურთი

## დღეს კალენდარი გამოქვეყნდება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ 2011-12 წლების რეგულარული ჩემპიონატის კალენდარი 19 ივლისს გამოქვეყნდება. ამას ხელს არ შეუშლის ლოკაუტი, რომელიც მომავალ სეზონს გაუქმებით ემუქრება. ნიღისყრას პირდაპირ ეთერში გადასცემს NBA TV.

სეზონის სტარტი პირველი ნოემბრისთვის არის დაგეგმილი. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, ლიგის ჩემპიონი „დალასი" ჩემპიონატს „ჩიკაგოსთან" საშინაო მატჩით გახსნის. შობა საღამოს დაგეგმილია შარშანდელი ფინალის გამეორება „დალასსა" და „მაიამის" შორის.

## ბაზილე კანტუში წავიდა

ცნობილი იტალიელი მცველი **ჯანლუკა ბაზილე**, რომელმაც მთელი შარშანდელი სეზონი სხვადასხვა ტრავმის გამო გამოტოვა, კარიერას იტალიის „კანტუში" გააგრძელებს.

შარშანდელი სეზონის ბოლოს ვეტერანმა აპენინელმა „ბარსელონა" დატოვა, სადაც რამდენიმე სეზონი გაატარა. კატალონიური კლუბის შემადგენლობაში ბაზილემ ერთხელ მოიგო ევროლიგა და ორჯერ ესპანეთის ჩემპიონატი.

# ესპანური დუბლი

მამაკაცების მსგავსად, ქალთა ტურშიც არ არის დიდი ტურნირების დრო. ნამდვილი ვარსკვლავები ისვენებენ და „მეორე ეშელონის" მოთამაშეებს აძლევენ თავის გამოჩენის საშუალებას. გასულ კვირას WTA-ის გრუნტის სეზონის ორ ტურნირს ავსტრიის ბად-გაშტეინი და იტალიის პალერმო მასპინძლობდა.

ავსტრიაში ერთადერთმა განთესილმა ჩოგბურთელმა გააღწია მეოთხედფინალში. რუსმა **ქსენია პერვაკმა** 16 წლის სლოვენიელთან **ნასტია კოლართან** ექვსი მატჩბოლი მოიგერია და საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის შეაღწია. სხვა განთესილები, ძირითადად, პირველ წრეში გამოეთიშნენ ბრძოლას. ასეთები იყვნენ: გერმანელი **იულია გორგესი**, რუმინელი **სიმონა ჰალეპი** და ჩეხი **ბარბორა ზაჰვალოვა**. სხვათა შორის, ბად-გაშტეინში უნდა ეთამაშა უიმბლდონის ჩემპიონ **პეტრა კვიტოვას**, მაგრამ ბოლო მომენტში კუნთის დაზიანების გამო განაცხადი გამოიტანა.

საბოლოოდ, პერვაკმა ფინალში ვერ გააღწია, რაშიც ნაწილობრივ დამნაშავე ამინდი იყო - შაბათს მას ორი მატჩის ჩატარებამ მოუწია. ჯერ პარასკევს წვიმის გამო გადატანილ შეხვედრაში დაამარცხა ესპანელი **პოუს ტიო**, მაგრამ შემდეგ ძალა აღარ ეყო **პატრიცია მაირ-ახლაიტნერის** წინააღმდეგ და მასპინძელთან ისე დათმო მატჩი, რომ გეიმი არ აუღია.

მეორე ნახევარფინალში **მარია-ხოსე მარტინეს სანჩესმა** გაიმარჯვა. ესპანელმა, რომელმაც შარშან სენსაციურად მოიგო რომის უმაღლესი კატეგორიის ტურნირში, **კატერინა ბონდარენკო** დაამარცხა ორ სეტში - 6:1, 7:6(5), ფინალში კი მაირ-ახლაიტნერსაც მოუგო - 6:0, 7:5. ეს ტიტული ესპანელისთვის პირველია რომში ტრიუმფის შემდეგ.

■ ■ ■

პალერმოში განთესილი ჩოგბურთელების მხრივ სრულიად განსხვავებული სურათი ვიხილეთ - მეოთხედფინალში გააღწია რვიდან შვიდმა განთესილმა. ერთადერთი გამონაკლისი გახდა იტალიელი **რობერტა ვინჩი** - მეორე ნომერმა **ირინა ბეგუსთან** წააგო. სხვათა შორის, ეს რუმინელი ერთადერთი იყო ამ ტურნირზე, ვინც **ანაბელ მედინა გარიგესს** სეტი მოუგო - ესპანელმა ბეგუ სამ სეტში დაამარცხა - 6:2, 1:6, 6:0.

ფინალში ანაბელი **პოლონა ჰერცოგს** ხვდებოდა, რომელმაც ერთი დღით ადრე იოლად მოუგო პირველ ნომრად განთესილს **ფლავია პენეტას**. მაგრამ გადამწყვეტ მატჩში სლოვენიელმა ვერ შეძლო სრულად თავის შესაძლებლობების გამოვლენა. ჰერცოგი ბევრს უტევდა, მაგრამ ასეთ ტაქტიკას შეცდომაც მრავლად ახლდა. მედინა გარიგესმა კი კარგად ააწყო ტაქტიკა და ორ სეტში მიაღწია გამარჯვებას - 6:3, 6:2. საინტერესოა, რომ ანაბელმა პალერმოში მეხუთე ტიტული მოიპოვა, სულ კი კარიერაში 11 გამარჯვება აქვს.

მარია-ხოსე მარტინეს სანჩესი



**WTA**

**XXIV SNAI Open**

პალერმო (იტალია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**ფინალი**

**ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 5)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ, 7) 6:3, 6:2.

**Gastein Ladies**

ბად გაშტეინი (ავსტრია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**ფინალი**

მარია-ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)-პატრიცია მაირ-ახლაიტნერი (ავსტრია) 6:0, 7:5.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# კულმინაცია იზრდება

მოტოგრანპრიში გერმანული უქმეები ჩემპიონატის ლიდერის, **კეისი სტოუნერის** დომინირებით დაიწყო და ავსტრალიელმა ლოგიკურად დიდი უპირატესობით მოიგო კვალიფიკაცია, მაგრამ რბოლის სტარტზე ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინა და წინ გაუშვა **დანი პედროსა** და საერთო ჩათვლაში მთავარი კონკურენტი **ხორხე ლორენსო**. პირველი წრის ბოლოსთვის ლიდერთა მდგომარეობას ვერ იცნობდით. ბოლო მოსახვევში მოტომრბოლელები ასეთი თანამიმდევრობით შევიდნენ: ლორენსო, პედროსა, **დოვიციოზო, სიმონჩელი, სპისი...**

ორი წრის შემდეგ დოვიციოზომ პედროსას გაუსწრო და მეორე ადგილზე გადავიდა, შემდეგ სერიოზულად მიხედა საქმეს კეისი სტოუნერმა. ავსტრალიელმა თითქმის შეუძლებელი შეძლო: ორი წრის განმავლობაში სამი მეტოქე ჩამოიტოვა უკან და რბოლის ლიდერი გახდა! განსაკუთრებით კარგი იყო შეტევა დოვიციოზოზე, რომელიც სტოუნერმა სიმონჩელის სტილში ჩაატარა, ოღონდ უფრო კორექტულად და ყოველგვარი კონტაქტის გარეშე. იმ მომენტისთვის პირველ ხუთეულში სიმჭიდროვე იყო, მხოლოდ სპისი ჩამორჩა დაწინაურებულებს.

ამის შემდეგ პილოტებმა მცირე პაუზა აიღეს, რომელიც პირველმა პედროსამ დაარღვია, როცა მე-9 წრის დასაწყისში სწორედ მონაკვეთზე გაუსწრო დოვიციოზოს. სტოუნერმა სცადა ლორენსოსთან დიდი ჰანდიკაპის შექმნა, მაგრამ არ გამოუვიდა. რბოლის ბოლოსკენ კეისიმ საბურავის დაზოგვა გადაწყვიტა და ლორენსომ ამით მე-14 წრეზე კარგად ისარგებლა, მით უმეტეს, რომ მისი „იამაჰა" მოსახვევებში კარგად გამოიყურებოდა. უფრო მეტიც, მე-16 წრეზე ხორხეს პედროსამაც მიჰბაძა და საფინიშო სწორზე კარგად შესვლის ხარჯზე გაასწრო სტოუნერს. სამი ლიდერი იმდენად სწრაფ ტემპს აჩვენებდა, რომ სიმონჩელი და დოვიციოზო კარგა მანძილით ჩამორჩნენ და თან ამ დუეტს სპისი წამოეწია.


დანი პედროსა

მაგრამ ლორენსოს ლიდერობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ფინიშამდე რვა წრით ადრე პედროსამ ასი პროცენტით გამოიყენა თავისი „ჰონდას" სიმძლავრე და უპრობლემოდ გაუსწრო მოქმედ ჩემპიონ ლორენსოს. ხორხე თავდაპირველად ვერც კი მიხვდა, სინამდვილეში რა მოხდა. კიდევ სამი წრის შემდეგ კი ესპანელმა სტოუნერის შეტევას ვერ გაუძლო. ავსტრალიელი მეორე ადგილზე გადავიდა და პედროსას გამოეკიდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა დამაჯერებლად გააკონტროლა სიტუაცია და სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. საბოლოოდ ყველაფერი ასე დასრულდებოდა, ბოლო წრეზე ხორხე ლორენსოს თითქმის ბოლომდე გაცვეთილი საბურავებით საპასუხო შეტევა რომ არ წამოეწყო და კიდევ ერთხელ არ ჩამოეტოვებინა უკან სტოუნერი.

ცალკე უნდა მოვყვეთ **ვალენტინო როსის** შესახებ. ლეგენდარულმა იტალიელმა სტარტი მე-16 პოზიციიდან აიღო, მესამე წრისთვის ხუთი პოზიცია მოიგო, მაგრამ შემდეგ მისი წინსვლა შეფერხდა. ვალენტინომ ბევრი დრო დახარჯა **კოლინ ედვარდსთან** და **ალვარო ბაუტისტასთან** ბრძოლაში და ეტაპი მე-9 ადგილზე დაასრულა. სამწუხაროა, რომ „დუკატი" კვლავაც ვერ ახერხებს იტალიელისთვის კარგი მოტოციკლის შეთავაზებას.

გენერალურ კლასიფიკაციაში ხორხე ლორენსომ კიდევ ცოტათი შეამცირა სხვაობა კეისი სტოუნერთან, პედროსა კი მეხუთე ადგილზე გადავიდა. თუმცა რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ დანიმ შეძლოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

**გერმანიის გრან-პრი**

1. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 41.12,482 (30 წრე); 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - +1,477; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - +1,568; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - +10,513; 5. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +10,719; 6. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა") - +10,923; 7. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „სუძუკი") - +27,451; 8. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - +27,510; 9. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +27,576...

**საერთო ჩათვლა**

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - 168 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 153; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - 132; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - 98; 5. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 94; 6. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - 85...

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ბულონი-ჰავრი | 1:1 |
| სპორტინგი-ანკარაგიუჯუ | 3:0 |
| ბრესტი-ნანტი | 3:1 |
| ვასალუნდსი-ლესტერი | 1:4 |
| კილმარნოკი-პრესტონი | 1:1 |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-ბოხუმი | 2:0 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-ლუნგბიუ | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| ფრედრიკსტადი-ბრანი | 4:2 |
| **შვედეთი** | |
| კალმარი-ჰელსინგბორგი | 1:2 |
| ტრელებორგი-გიოტებორგი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრომაპიოკარნა-ატვიდაბერგი | 2:2 |
| ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 0:2 |
| ოსტერი-ჰამარბიუ | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ინტერი-მიუპა | 5:2 |
| **[illegible]. II დივიზიონი** | |
| ლინცი-ლასკ | 1:1 |
| **ისლანდია** | |
| ტორი-კეფლავიკი | 2:1 |
| ვიკინგური-ფრამი | 0:1 |
| **იაპონია** | |
| ჰიროშიმა-ფუკუოკა | 0:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ჰამბურგი | |
|---|---|
| სტახოვსკი-მ. გონსალესი | 6:2, 6:3 |
| მანარინო-**რამოს ვინოლასი** | 2:6, 4:6 |
| **ნიემინენი**-ხირალდო | 6:4, 6:3 |
| **კნიტელი**-დოდიგი | 6:4, 6:3 |
| **კრივოი**-ოლასო | 6:4, 6:3 |
| **ბერლოკი**-ჰაასე | 6:2, 6:2 |
| **კამკე**-რიბა | 6:1, 6:1 |
| **როსოლი**-სტარაჩე | 7:6, 6:1 |
| ისტომინი-**რაისტერი** | 3:6, 4:6 |
| **WTA. ბაქო** | |
| **ვოსკობოევა**-შაფათავა | 6:0, 6:0 |
| ა. ბონდარენკო-**დოლონცი** | 3:6, 3:6 |
| **კორიტცევა**-ბალტაჩა | 6:1, 7:5 |

● TV პროგრამა

**18 ივლისი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. კურიტიბა-ფლუმინენსე.
**12:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ინტერნაციონალი-სან პაულუ.
**14:00** სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო.
**15:30** სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი.
**17:00** კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. არგენტინა-ურუგვაი. არგენტინა.
**19:50** სუპერმატჩი. გერმანიის თასი. შალკე-დუისბურგი.
**22:15** ამხანაგური მატჩი. ტოტენჰემი (ინგლისი)-ორლანდო პაირეთსი (სამხრეთ აფრიკა).
**00:10** გადაცემა - დაუბრუნდი დინამოს.
**02:40** კოპა ამერიკა 2011. მიმოხილვა.
**03:10** სუპერმატჩი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**04:10** გადაცემა - დაუბრუნდი დინამოს.
**04:35** კოპა ამერიკა 2011. 1/2 ფინალი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა (LIVE).

**GMG-სპორტი**

**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი.
**14:30** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.
**16:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ფინალი. კუბა-იაპონია. შვეიცარია.
**17:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-ინგლისი.
**19:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/2 ფინალი. რაფაელ ნადალი-ენდი მიურეი.
**22:15** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. III ეტაპი. ყაზანი. რუსეთი.
**23:05** ყოველკვირეული გადაცემა - გზა ლონდონისკენ.
**23:25** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი.

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**20:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ინდიანა (LIVE).

**EUROSPORT**

**15:55** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი (LIVE).
**21:00** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. კვალიფიკაცია. პოლონეთი (LIVE).

● ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# სპრინტი ისევ კევენდიშისაა

წინადღეს მშვიდობიანად ჩატარებული სამთო ეტაპის შემდეგ ტურ დე ფრანსის პირენეული ნაწილი დამთავრდა. მისი მთავარი დასკვნა შემდეგში მდგომარეობს: გამარჯვების ექვს-შვიდ მაძიებელს სულაც არ აქვს ულაპარაკო ლიდერობა კონკურენტებზე. ლეგენდარულმა **ლენს არმსტრონგმა** ფავორიტთა რიცხვში შეიყვანა ყვითელი მაისურის მფლობელი **ტომას ვიოკლერიც**, რომელმაც პირენეს მთებში არანორმალური ამტანობა გამოავლინა.

ამჯერად ფავორიტებმა პაუზა აიღეს და ეტაპზე ურთიერთობის გარკვევა სპრინტერებს დაუთმეს. მთებში მოგზაურობით დაღლილი **მარკ კევენდიში** მაინც აქტიური იყო. მისი სერიოზული განწყობა დაადასტურა საშუალედო ფინიშმა, რომელშიც მან მწვანე მაისურისთვის ბრძოლაში მთავარი კონკურენტები - **ფილიპ ჟილბერი** და **ხოსე როხას ჰილი** დაამარცხა.

რა თქმა უნდა, იყო გაქცევა, რომელსაც შედეგი არ მოუტანია - პელოტონი დაწინაურებულ ჰოლანდიელ **ტერპსტრას** ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე დაეწია. ამის შემდეგ, ტრადიციულად შეტევაში წავიდა ჟილბერი, მაგრამ რბოლის ტემპი იმდენად მაღალი იყო, რომ ბელგიელმა ასეთ ნაკადს ვერ გაუძლო და დანებდა. „ჰაიროუდმა" კვლავ ოსტატურად გაითამაშა თავისი კოზირი. მთავარი დამხმარის, **მაიკ რენშოუს** დახმარებით კევენდიშმა შიდა რადიუსი დაიკავა და წინ აღარავინ გაუშვა. **ტაილერ ფარარი** ვერაფრით გადავიდა შეტევაზე და მეორეზე დარჩა, მესამით დაკმაყოფილდა **ალესანდრო პეტაკი**.

ახლა ველომრბოლელებს ერთდღიანი დასვენება აქვთ, რის შემდეგაც ალპური ნაწილი დაიწყება, რომელიც შაბათის განცალკევებით რბოლასთან ერთად საბოლოო სიცხადეს შეიტანს ტურის მთავარ ინტრიგაში, რასაც გენერალური კლასიფიკაცია ჰქვია.

■ ■ ■

ამასობაში, ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ ცნობილმა ყაზახმა ველომრბოლმა **ალექსანდრ ვინოკუროვმა**.

*„თუ ბედი რაიმეზე მიგანიშნებს, მას ოდნავ მაინც უნდა დაუგდო ყური. ვფიქრობ, უკვე საკმარისზე მეტი გავაკეთე ყაზახური და მსოფლიო ველოსპორტისთვის. ჩემს ცხოვრებაში ახალი კარიერის დაწყებას ვაპირებ"*, - განაცხადა „ასტანას" 37 წლის წევრმა.

შეგახსენებთ, რომ ამ ტურ დე ფრანსის ერთ-ერთი ეტაპზე ვინოკუროვი ტრასაზე დაეცა და ბარძაყის ძვალი გაიტეხა.


კევენდიშმა მეოთხე ეტაპი მოიგო

**XV ეტაპი**

1. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, THR) - 4.20,24; 2. **ტაილერ ფარარი** (აშშ, GRM) - იგივე დრო; 3. **ალესანდრო პეტაკი** (იტა, LAM) - იგივე დრო; 4. **დანიელ ოსი** (იტა, LIQ) - იგივე დრო... 5. **ხოსე როხას ხილი** (ესპ, MOV) - იგივე დრო; 6. **ბენ სვიფტი** (ბრიტ, SKY) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - 65.24,34; 2. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +1,49; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +2,06; 4. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,15; 5. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +3,16; 6. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +3,44; 7. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +4,00; 8. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +4,01... 25. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +16,48...

● ველოსპორტი


ალბერტო კონტადორი

# ალბერტო ალპებში შეუტევს

ტურ დე ფრანსზე მეორე დასვენებას ველომრბოლელები ალპური ეტაპის წინ საბოლოო შეტევის მოსამზადებლად გამოიყენებენ. მათ რიცხვშია ტურის სამგზის ჩემპიონი, ესპანელი **ალბერტო კონტადორი**, რომელსაც სერიოზული ჩამორჩენა აქვს ფრანგ ლიდერ **ტომას ვიოკლერთან**.

*„ჩემი სტილი - იერიშია. თუ ფეხები წესრიგში მექნება, აუცილებლად შევუტევ. ალპებში სამი დღე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ამ ტურ დე ფრანსზე"*, - აცხადებს ფრანგული ველომარათონის მოქმედი ჩემპიონი.

წლევანდელი ტურის პირველივე დღეს კონტადორი ავარიაში მოხვდა და მუხლთან დაკავშირებული პრობლემის გამო 1,14-წუთიანი ჩამორჩენა მიიღო. *„რომ არა ეს ტრავმა და ავარია, არ მომიწევდა გრენბოლში ბოლოსწინა ეტაპამდე ლოდინი ტურ დე ფრანსის მოსაგებად. ეს ბოლო 16 დღე ყველაზე რთული იყო ჩემს კარიერაში"*, - აგრძელებს „საქსო-ბანკის" ლიდერი, რომელიც ამჟამად ვიოკლერთან ზუსტად ოთხ წუთს აგებს, **ფრანკ შლეკთან** კი ორ წუთზე მეტს.

დანიური ველოსაჯინიბოს მენეჯერი **ბიარნე რიისი** ჯერაც დარწმუნებულია თავისი კაპიტნის მომავალ ტრიუმფში, რადგან მას ალბერტო უნიჭიერეს და უძლიერეს სპორტსმენად მიაჩნია. სიმშვიდე - ეს არის რიისის მთავარი დევიზი. ეს ეხება არა მხოლოდ წლევანდელ ტურში გამარჯვებას, არამედ სასამართლო გარჩევას, რომელიც შარშანდელ დოპინგსკანდალს შეეხება.

*„ჩვენ არ ვიცით რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ალბერტოს გაამართლებენ"*, - აღნიშნა დანიელმა.

რიისი უარყოფს იმას, რომ კონტადორის გამტყუნების შემთხვევაში, მას თავისი გუნდის განვითარების სათადარიგო გეგმა აქვს შემუშავებული. *„სხვა არაფერი დაგვიგეგმავს"*, - ამბობს ტურის ყოფილი ჩემპიონი, თუმცა ისიც ფაქტია, რომ კონტადორის დასჯის შემთხვევაში „საქსო-ბანკი" მთავარი ლიდერის გარეშე დარჩება.

*„ამ ცხოვრებაში რისკი გამართლებულია. სხვანაირად ყოველთვის ნაგებული დარჩებით"*, - თავისი ფილოსოფიური აზრი გამოთქვა ბიარნე რიისმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი



# მილიონი ერთი დარტყმისთვის

ლეგენდარული კანადელი ჰოკეისტი, სტენლის თასის ორგზის ჩემპიონი **ჯო საკიკი** სპორტის ახალ სახეობაში სცდის ძალებს და საკმაოდ წარმატებულად. „კოლორადო ეველანშის" ყოფილმა კაპიტანმა გოლფის ტურნირზე მილიონი დოლარი მოიგო! საკიკმა ასეთი სოლიდური თანხა ორმოში ბურთის ერთი დარტყმით ჩაგდების სანაცვლოდ მიიღო (ეგრეთ წოდებული hole-in-one). ამის შესახებ სააგენტო Associated Press-მა დაწერა.

ტრადიციულ ტურნირზე - American Century Celebrity Golf Championship-ზე მონაწილეობას იღებდნენ ამერიკული სპორტის ვარსკვლავები (მაგალითად, **მაიკლ ჯორდანი, ბრეტ ჰალი**...). საკიკმა 150 მეტრიდან ჩააგდო ბურთი. ყოფილმა ჰოკეისტმა გადაწყვიტა, ნახევარი თანხა - 500 ათასი დოლარი კიბოთი დაავადებულების ფონდში გადარიცხოს, რომელიც ლეგენდარული ველომრბოლის **ლენს არმსტრონგის** მიერ არის დაარსებული.

*„ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მანძილიდან ერთი დარტყმით მოვათავსებდი ბურთს ორმოში,* - განაცხადა იღბლიანმა საკიკმა. - *მაგრამ ვცადე და გამომივიდა".*

საკიკმა NHL-ში გატარებულ 20 სეზონში 1246 მატჩი ითამაშა და 1641 ქულა დააგროვა. სტენლის თასის გარდა მას მოგებული აქვს სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადა. ჯომ თამაში ორი წლის წინ დაასრულა და ახლა, „კოლორადოში" საკალათბურთო ოპერაციების საკითხებში მრჩევლად მუშაობს.

ფორმულა 1

# სავარაუდო მარცხის ხუთი მიზეზი

**ცხრა ეტაპის შემდეგ სებასტიან ფეტელი უახლოეს კონკურენტებს 80 ქულას უგებს, რაც საკმაოდ სოლიდური უპირატესობაა. თანაც გერმანელისა და მისი გუნდის - „რედ ბულის" გამოსვლა მეტად სტაბილურია და ჯერჯერობით არ ჩანს არანაირი წინაპირობა იმისა, რომ ფეტელის კონკურენტები მოახერხებენ ამ ჩამორჩენის გაბათილებას. შესაბამისად, ბევრს მიაჩნია, რომ სებასტიანს ზედიზედ მეორე ტიტული უკვე გარანტირებული აქვს, თუმცა ზოგიერთს ინტრიგის შენარჩუნებისა მაინც სჯერა და ხუთ მიზეზს ასახელებს, რომლის მიხედვითაც 23 წლის ფეტელი შეიძლება ვერ გახდეს ჩემპიონი.**

## ფედერაცია და წესებში ცვლილებები

ქალარათმიანები **ჩარლი უაიტინგი** და **ჰერბი ბლაში**, პატარა **ჟან ტოდტი** და ჩასუქებული **ჯო ბაუერი** - ესენი არიან სებასტიან ფეტელის კონკურენტების მთავარი იმედი. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია ბევრი ილაპარაკოს არასწორი მიმართულებით წასულ ახალ ტექნოლოგიებზე, თანასწორობასა და რბოლის ყველა მონაწილისთვის წესებში ერთნაირად მისაღებ ეფექტურ ცვლილებებზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია - რეგლამენტი არ უნდა იცვლებოდეს სეზონის მსვლელობისას.

მაგრამ ინტრიგის თვალსაზრისით, ეს ჩამორჩენილებისთვის შანსია. შანსი „მაკლარენისა" და „ფერარისთვის". შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ მაინც... იქნებ „რედ ბულმა" „ლოტუს-რენოს" მსგავსად დაკარგოს კონტროლი სიტუაციაზე, ბოლიდის განვითარებაზე, საკვალიფიკაციო რბოლებზე - ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს ლიდერთან ბრძოლის გაჩაღების შანსი.

ბრიტანეთის გრანპრის წინ ყველას აინტერესებდა რამდენს დაკარგავდა ავსტრიული საჯინიბო ჩასაბერი დიფუზორების აკრძალვის გამო? ან საერთოდ დაკარგავდა თუ არა, რადგან სხვა გუნდებიც იყენებდნენ იმავე სისტემას და ისინიც დაკარგავდნენ მოჭიდების ძალას. შესაძლოა, ამის გამო კონკურენტებმა მართლაც მიიღეს გარკვეული უპირატესობა, მაგრამ ძალიან მცირე. „სილვერსტოუნში" „რედ ბულმა" ისევ მოიგო კვალიფიკაცია და შეიძლება რბოლაშიც გაემარჯვა, რომ არა ბოქსებში გაუმართლებელი შეყოვნება. რა თქმა უნდა, ამით არ ვაკნინებთ „ფერარის" გამარჯვებას, პირიქით, „სკუდერიას" პირველმა გამარჯვებამ, შესაძლოა, გარკვეული გარდატეხა შეიტანოს ჩემპიონატის მსვლელობაში, მაგრამ ჩასაბერი დიფუზორების შეზღუდვამ დიდი უპირატესობა ვერ მოუტანა „რედ ბულის" მდევრებს. საბოლოოდ კი ეს წესიც გაუქმდა და ყველაფერი ძველებურად დარჩა.

## საკუთარი შეცდომები

შეუძლებელია მთელი სეზონის უშეცდომოდ გავლა და ამ მხრივ, სებასტიანი გამონაკლისი არ არის. ამის მაგალითია კანადის გრანპრი, სადაც ფეტელმა გამარჯვება ბოლო წრეზე გაუშვა ხელიდან. სებასტიანი რობოტი არ არის და მასაც სჩვევია შეცდომა.

2009 წელს **ჯენსონ ბატონს** ქულების რაოდენობასა და მანქანის ტემპში უდიდესი უპირატესობა ჰქონდა, მისთვის პოდიუმზე ასვლა პრობლემას არ წარმოადგენდა. შესაბამისად, ბრიტანელმა ნაადრევად იგრძნო ჩემპიონობის მოახლოება, უფრო კონსერვატული, ფრთხილი და... ნელი გახდა. საბოლოოდ, ეს მას კინაღამ ჩემპიონობის დაკარგვად დაუჯდა. დღეს „რედ ბულის" ლიდერს შესანიშნავად ესმის, რამდენად სერიოზულია მისი უპირატესობა და ამიტომაც, შეიძლება უნებლიედ გადავიდეს ტაქტიკაზე - „მიაღწიე ტიტულამდე". ასეთი ტაქტიკა კი იმით არის გამორჩეული, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კვანძი სეზონის ბოლო ეტაპებზე იხსნება: თავდაპირველად ლიდერს მინიმუმამდე დაჰყავს რისკი და მცირდება გამარჯვებებისა და პოდიუმების რიცხვი, შემდეგ ცდილობს, ძველ რიტმში დაბრუნებას, მაგრამ ტრასაზე ინციდენტები ხშირდება, შემდეგ ფსიქოლოგიური პრობლემაც იჩენს თავს, რადგან სეზონის ლიდერზე ზეწოლა ყოველთვის კოლოსალურია...

## კონკურენტები და თანაგუნდელი

ფეტელზე ზეწოლას მისი ძველი ნაცნობებიც გააგრძელებენ: **ფერნანდო ალონსო, ლუის ჰემილტონი**, ჯენსონ ბატონი და **მარკ უებერი**.

სამი მათგანი მსოფლიოს ჩემპიონია და მათ ხასიათში არ არის დროზე ადრე დანებება. თუ რომელიმე მათგანი განაცხადებს, რომ დანებდა და ახალი სეზონისთვის ფიქრი დაიწყო - არ დაუჯეროთ, რადგან ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ილეთია კონკურენტის ყურადღების მოსადუნებლად და საკუთარი პიროვნების მიმართ ზეწოლის მოსახსნელად. ისინი მხოლოდ მაშინ დანებდებიან, როცა ტიტულის მოპოვების მათემატიკური შანსი გაქრება.

მართალია, ლუის ჰემილტონი ტრასაზე ზედმეტად აქტიურია, მაგრამ ამასთან, ძალიან სწრაფიც გახლავთ. იმ დღეს, როცა ლუისი გრძნობს, რომ ფორტუნა მის მხარეზეა, შეუძლია შავი დღე აყაროს პელოტონს და გამარჯვებას მიაღწიოს.

ჯენსონ ბატონი სხვებზე მეტად ფიქრობს ტრასაზე და თუ სიჩქარის ნაკლებობას გრძნობს, ამას გონივრული ტაქტიკური სვლებით უკეთებს კომპენსაციას. თუმცა კანადაც შეგვიძლია გავიხსენოთ და ისიც ვთქვათ, რომ ბატონმა ჰემილტონზე ცუდად არ იცის გასწრება.

ფერნანდო ალონსო - თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი პილოტი. ჭკვიანი, კარგი ტაქტიკოსი და სწრაფი, რომელიც მზად არის თუნდაც ნელი მანქანით მაქსიმალურად შეავიწროვოს კონკურენტი.

ფეტელის მეოთხე მოწინააღმდეგე მსოფლიოს ჩემპიონი არასოდეს ყოფილა, თუმცა მისი სიჯიუტე და მონდომება ათ პილოტს ეყოფა. „რედ ბულის" შეფის **კრისტიან ჰორნერის** თქმით, უებერმა უკვე ისწავლა „პირელის" საბურავებთან გამკლავება და სულ უფრო უახლოვდება ფეტელს.

## გაუთვალისწინებელი გარემოებები

არსებობს კიდევ ერთი იქს-ფაქტორი - რაღაც უცნობი და გაუთვალისწინებელი, რამაც შეიძლება ფეტელს ტიტულისთვის ბრძოლაში ხელი შეუშალოს. მაგალითად, გამორიცხული არ არის მექანიკური პრობლემები. დღემდე „რედ ბულმა" ყველა რბოლაში მიაღწია ფინიშს, მაგრამ შეიძლება გავიხსენოთ შარშანდელი სეზონი: ხან შასი გამოდიოდა მწყობრიდან, ხან ძრავა ინვებოდა... მიმდინარე სეზონის დასრულებამდე 11 ეტაპია დარჩენილი და ვერავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ სებასტიანს ტექნიკური პრობლემები არ შეხვდება.

დაბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს ტრავმები. ფორმულა 1 - მაღალი სიჩქარის სამყაროა და მართალია, სერიოზული გართულებები აქ უკვე დიდი ხანია არ ყოფილა, ფატალური ავარიებისგან და მათი გამოვლინებებისგან დაზღვეული არავინაა. რა თქმა უნდა, ფეტელს მხოლოდ ჯანმრთელობას ვუსურვებთ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ რბოლაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

## სებას უკვე ვერაფერი შეუშლის ხელს

და იქნებ, ფეტელი უკვე მიუღწეველია მეტოქეებისთვის? რეალურად, იმისთვის, რომ სებასტიანმა ტიტული დაკარგოს, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი ერთად უნდა შედგეს - მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წააგებს გერმანელი თითქმის გარანტირებულ მეორე ტიტულს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


სებასტიან ფეტელი

სანყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი

ჩემპიონების გამოსვლა


# ჩინეთის ოთხიდან ოთხი...

სანყლოსნო სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატზე გრძელდება ჩინელთა დომინირება - მასპინძლებს წყალში ხტომაში ოთხიდან ოთხი ოქრო აქვთ მოგებული.

გუშინ, შანხაიში მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა - კაცებს შორის ერთმეტრიანი ტრამპლინი ადგილობრივმა **ლი შისინმა** მოიგო. ვერცხლის მედალიც ჩინელის - **ჰე მინიუს** საკუთრება გახდა, ბრინჯაო კი გერმანელმა **პაველ როზენბერგმა** მიიღო.

ამის შემდეგ ქალების ჯერი დადგა - ისინი 10-მეტრიანი კოშკურადან სინქრონულ ხტომებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ჩინელებმა - **ვან ჰაომ** და **ჩენ რუოლინმა** ჯამში 362,58 ქულა დააგროვეს და უახლოეს მდევრებს, ავსტრალიელებს **ალექსანდრა კროაკსა** და **მელისა ვუს** თითქმის 40 ქულით გაუსწრეს. მესამე ადგილი აქაც გერმანიის ნაკრებს ერგო. ბრინჯაო მოიპოვეს **კრისტინ შტოიერმა** და **ნორა სუბშინსკიმ** - 316,29 ქულა.

მსოფლიოს ჩემპიონატს უკვე ორგზის გამარჯვებული ჰყავს. ეს გახლავთ სინქრონულ ცურვაში რუსეთის ნაკრების ლიდერი **ნატალია იშჩენკო**. ორი დღის წინ მან ოქრო მოიგო სოლო გამოსვლებისთვის, ახლა კი **სვეტლანა რომაშინასთან** ერთად დუეტების ასპარეზობაში მოიპოვა გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ 25 წლის იშჩენკო მსოფლიოს 12-გზის ჩემპიონი გახდა, რომაშინასთვის კი ეს მერვე ოქრო იყო მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ამ წყვილს 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზეც აქვს ჩემპიონობა მოპოვებული.

დუეტებში მეორე ადგილზე გავიდა ჩინელთა წყვილი **ჰუან სიუეჩენისა** და **ლიუ ოუს** შემადგენლობით, მესამეზე იყვნენ ესპანელები **ონე კარბონელი** და **ანდრეა ფუენტესი**.

შანხაიში მიმდინარე ჩემპიონატში მედლების ექვსი კომპლექტი გათამაშდა და ჯერჯერობით პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ჩინელი და რუსი სპორტსმენები ადიან. მასპინძლებს ოთხი ოქრო აქვთ მოგებული, რუსებს - ორი.